გივი ალხაზიშვილი

მარადი მგზავრი

თბილისი
2015

გივი ალხაზიშვილი – მარადი მგზავრი

დაკაბადონება და დიზაინი: ნიკა ხვედელიძე

ნახატი გარეკანზე:
მიქალოიუს კონსტანტინას ჩურლიონისი, „მზის ჩასვლა“
Mikalojus Konstantinas Čiurlionis - Saulelydis

© გივი ალხაზიშვილი – მარადი მგზავრი

„საუნჯე“, გამომცემელი ვაჟა წოწკოლაური
SAUNJE Publishing House, Vazha Tsotskolauri

ISBN 978-9941-451-77-5

წიგნი გამოიცა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით



მთარგმნელისაგან

კრებულში წარმოდგენილია ათანას ფეტის, ვლადიმირ სოლოვიოვის, ალექსანდრ ბლოკის და ანდრეი ბელის პოეზია. ამ პოეტებიდან ქართულად პირველად ითარგმნა ვლადიმირ სოლოვიოვის და ანდრეი ბელის მრავლი ლექსი. საერთოდ, დასახელებული ოთხივე პოეტის ლექსები ასეთი მოცულობით ჩვენში არასოდეს უთარგმნიათ და არც გამოქვეყნებულა.

კრებულში დაბეჭდილია რაინერ მარიამ რილკეს და გეორგ ჰაიმის ლექსები. ეს ორი პოეტი რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან. რაინერ მარია რილკე სიცოცხლეშივე იქცა ლეგენდად და მისმა გენიალურმა პოეზიამ თავის სიღრმით და სტილისტური ნოვაციებით უდიდესი გავლენა მოახდინა ლიტერატურულ პროცესზე ევროპასა და დანარჩენ მსოფლიოში. აქვეა გამოქვეყნებული აღიარებული ექსპრესიონისტი, გეორგ ჰაიმის რამდენიმე ლექსი.

ტუდორ არგეზი რუმინული პოეზიის კლასიკოსია. იგი ჯერ მართლმადიდებლურ ეკლესიას მიეკედლა, მერე კათოლიკურს და ბოლოს ორივე ეკლესია მიატოვა. მან მთელი ევროპა ფეხით შემოიარა და პოეზიას მიუძღვნა დარჩენილი სიცოცხლე. ტუდორ არგეზი რუმინული პოეზიის ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურაა მეოცე საუკუნეში.

კრებულს აგვირგვინებს პოლონელი პოტის, ნობელის პრემიის ლაურეატის (1996), ვისლავა შიმბორსკას უაღრესად რაფინირებული და ინტელექტუალური პოეზია.

თითქმის ნახევარი საუკუნეა, სამოცდაათიანი წლებიდან ოცდამეერთე საუკუნის პირველი ათწლეულის ჩათვლით – ინტენსიურად ვთარგმნიდი და პერიოდულად ვაქვეყნებდი აქ წარმოდგენილი პოეტების ლექსებს, რომელიც ერთ კრებულად პირველად დაიბეჭდა. ვფიქრობ, ეს წიგნი გემოვნებიან მკითხველს დააინტერესებს.

ათანას ფეტი

ათანას ფეტი დაიბადა 1820 წელს ორიოლის გუბერნიაში. ქალაქ ვირუს (ესტონეთი) გერმანული პანსიონის დამთავრების შემდეგ ათანას ფეტი სწავლას მოსკოვის უნივერსიტეტში აგრძელებს.

ფეტის პოეტურმა ტალანტმა თავიდანვე მიიპყრო ყურადღება. 1840 წელს გამოვიდა ცხრამეტი წლის პოეტის ლექსების წიგნი „ლირიკული პანთეონი". მისი პირველი წიგნის გამოსვლის სამი წლის შემდეგ ბელინსკი წერდა, მოსკოვში მცხოვრებ პოეტებს შორის ბ-ნი ფეტი ყველაზე ნიჭიერიაო.

ფეტის პოეზია ჟუკოვსკისა და ტიუტჩევის შემოქმედებიდან იღებს სათავეს. მისი პირველი წიგნი ლერმონტოვის პირველ წიგნთან ერთად გამოვიდა (1840 წელი), ხოლო უკანასკნელი კრებული — საუკუნის მიწურულში, როცა რუსეთში სიმბოლიზმი მკვიდრდებოდა.

ფეტის ლექსების მუსიკალურობაზე ჩაიკოვსკი წერდა: „იგი არა მარტო პოეტი, არამედ პოეტი-მუსიკოსია, რომელიც თითქოს განგებ გაურბის ისეთ თემებს, სიტყვებით რომ ადვილად გადმოიცემა... სცდება პოეზიის საზღვრებს და თამამად შემოდის ჩვენს სფეროში (მუსიკის სამყაროში)."

ათანას ფეტი „წმინდა ხელოვნების" თემატიკისაკენ ისწრაფვოდა მარად. ის დარწმუნებული იყო, რომ შემოქმედისათვის ძვირფასია საგნის „მხოლოდ ერთი

მხარე – მშვენიერება, სილამაზე", „ხელოვნებაში სხვა მიზანი წარმოუდგენელიაო". ფეტის ლიტერატურული პოზიცია მისსავე შემოქმედებაში გამჟღავნდა. ლამაზი პეიზაჟები, დახვეწილი პოეტური ნიუანსები, მუსიკის დონემდე ამაღლებული შინაგანი რიტმი და ბგერწერული ჰარმონია ქმნის ერთ, მთლიან განწყობილებას და ჩვენ ნათლად წარმოგვიდგება ნიადაგ ვარსკვლავებისაკენ მომზირალი, ცას მიყურადებული პოეტი. იგი ბოლომდე ერთგული დარჩა „წმინდა ხელოვნებისა" და რუსული ლექსი გაამდიდრა უფაქიზესი ლირიზმით, რომელსაც ლიტერატურის ისტორიკოსები ფეტისეულს უწოდებენ ამჟამად. სწორედ ამიტომ ითვლება ფეტი მე-19 საუკუნის რუსული პოეზიის ერთ-ერთ თვალსაჩინო პოეტად.

ა. ფეტი გარდაიცვალა 1892 წლის 21 ნოემბერს მოსკოვში.

* * *

გამოვერიდეთ ბრბოს და სინათლეს,
გადავარჩინეთ სული მკვნესარე,
ჩრდილში ორნი ვართ (როგორც ვინატრე)
და წყნარი ღამე არის მესამე.

გამოიღვიძა გულმა მთვლემარემ
და მოლოდინში ძგერს გამალებით,
ხალხს გავექეცით და დავემალეთ,
ვარსკვლავებს ვერსად დავემალებით.

მიმოეფინა ღამეს დარდიანს
მსუბუქი კვამლი მაღლა წასული,
იმას სჭვრეტს ღამე – რაც მარადია,
არ აქვს საწყისი და დასასრული.

* * *

აღარ მოვუხმობ ჩავლილ სიხარულს,
რად ავაჩქამო სისხლი დაღლილი,
აღარ მოვუხმობ გამქრალ სიყვარულს
და სიყმაწვილეს ჩუმი ძახილით.

ბედს დავმორჩილდი უმკაცრესს, მარადს –
წარვსთქვამ ლოცვას და შევიგრძნობ შვებას,
ჩააქრე, ქარო, ჩააქრე ჩქარა
დაუცხრომელი და შმაგი ვნება.

დაე, ცხოვრება – ავადმყოფ სულთა
ბრძოლით დაღლილი – დასრულდეს შვებით,
გავჩნდე იქ, სადაც მდინარის სუნთქვას
ლურჯ გორაკებთან აგრძელებს სტეპი.

იქ, სადაც ყვავის კენტი მაჟალო
და უმჩატესი მიცურავს ნისლი,
იქ, სადაც ძეწნამ თმები გაშალა
და მხოლოდ ფუტკრის ზუზუნი ისმის.

თვალი იმედით შეჰყურებს შორეთს,
სად წმინდა ძმათა მელის საუფლო,
მესაიდუმლეთ და გულისსწორებს
ვეძებ და მათთან ჩუმად ვსაუბრობ.

მივყვებით ნათლის უეცარ ციაგს,
თითქოს აღსრულდა ბედის მისნობა,
მე ვტოვებს მიწას, მშობლიურ წიალს
და ვუერთდები მარადისობას.

* * *

როგორ მოხვედი, ვერცხლისფერო ღამეო, ახლოს
და აათრთოლე სული ჩემი სიმად გაბმული,
მომეცი ფრთები უძლეველი, რომ გადავლახო
ჭაობი ესე, უსულგულო და მოჟამული.

შუალამეა, მოციაგე ალმასთა ცვარი –
მთიების შუქი – პირველყოფილ სიწყნარეს ითხოვს,
ვით ოკეანე – ზეციური განიხვნა კარი
და სძინავს მიწას და შრიალებს წიაღის სითბო.

და ეს ცოდვილი ანგელოსი – ან ჩემი სული,
ესწრაფვის სივრცეს, სად ღრუბელთა გაქრა აფრები...
შენი სიმაღლით, უხილავო, ვარ ფრთაშესხმული
და შემწევს ძალი ფრინველივით ცაში გაფრენის.

* * *

ფარავდა წყაროს თხელი ყინული,
ყინულს კი თოვლის ღრმა ჩაძინება,
მარტოდენ ფიქრში იყო ხილული
შეუმჩნეველი მისი დინება.

მერე დაენთო სხივი ციმციმა,
გამოკრთა წყაროს თვალი კრიალა,
მზემ მოაცილა ყინვის სიმძიმე
და მწვანე ველზე გაინკრიალა.

ჟამი ტრფობისა, მე რომ ვინატრე,
ისე ახლოა, ისმის ბგერებად,
ჩანს განთიადის ლურჯი სინათლე
და აყვავებულ სულს ეფერება.

ალვა

ბაღები დუმან და მოწყენილი
ვათვალიერებ მბჟუტავ გარემოს,
თრთიან ფოთლები ჩამოცვენილი –
გამოიღვიძეთ, მწუხრის ზარებო!

ჩემო ალვის ხევ, მხოლოდ შენ ერთი
ირწევი ველზე ნაირფერებად,
შენი ოცნება გაზაფხულს ერთვის,
თუმც შემოდგომის მზე გეფერება.

ჩუ... გაძარცვული დღეები ისევ
დაფერფლილ სულით კივიან თითქოს,
შენ დგახარ მარტო, ისწრაფი ცისკენ
და გახსენდება სამხრეთის სითბო.

* * *

ბურუსში გაქრა ხეივნის ბოლო,
დამძიმებულა გული კაეშნით
და უცნაური ნისლი თუ ბოლი
გაბლანდულია დილის ჰაერში.

ცა მოქუფრული შავ ღრუბლებს აშლის,
სტეპებზე თოვლი მიმოიფინა,
მარტოდენ ყვავი, სუსხიან ქარში,
ფრთების სავსავით მძიმედ მიფრინავს.

გამეფებულა სულში სიცივე,
შემოგარენის სიცივე მკაცრი,
დაღალულ გულში ფიქრი იძინებს,
თვლემა ერევა ვნებისგან დაცლილს.

მაგრამ იმედი ისევ აშუქებს
მიმქრალ ოცნებას, მოჟამულ არეს,
იქნებ კვლავ შევხვდე ძველ სიჭაბუკეს
და მშობლიური ვიხილო მხარე?!

მხარე ძვირფასი, მყუდრო სავანე,
სად ვნებიანი ოცნება ილტვის,
სად ლაჟვარდების მოჩანს თავანი
და გაზაფხულის ფაჩუნობს კვირტი.

არ შეიძლება

მზე აღმოსავლით ამოიზიდა,
აღმოსავლეთი ჰგავს ზღაპრულ გვირგვინს
და მგზავრს მიწიერს ისევ იზიდევს
სუყველაფერი, რაც მოჩანს ირგვლივ.

გადაეფინა ლურჯ ზეცას თრთოლვით
მზის შუქი, გალღვა ღამის სიმძიმე
და ჩაბჟუტული ვარსკვლავთა ხომლი,
მოვა ღამე და კვლავ იციმციმებს.

შორი სიცოცხლის ბრწყინვა მეფური
არ მამშვიდებს და არ მეფერება,
არ შეიძლება, შეძრწუნებული
ვუჭვრეტდე ციურ მშვენიერებას.

ცაში რას ვპოვებ? ცაში მარტოდენ
უსასრულობას თვალნი ერთვიან,
ღამის წყვდიადი და სიმარტოვე –
ეს გზა ღმერთამდე ერთადერთია!

* * *

ოდეს ოცნება უსაზღვრო და მიუტეველი
ისევ გიპოვნის, მოგაცილებს ნისლიან ფარდას,
მე ავტირდები, ვით პირველი იუდეველი,
აღთქმული მიწის სანატრელ ზღვართან.

არ მენანება ის სიზმარი, რომელიც გასცდა
ზღაპრულ სამყაროს და აენთო, როგორც სანთელი,
ოდეს სხეულში სანეტარო ღვიოდა განცდა
და ათრთოლებდა სულს ურუანტელი.

ოცნების ფსკერზე გარინდულხარ ფრთაშერუჯული
და შენი სუნთქვა – მძიმე, დაღლილი –
მე მესმის, როგორც შორეული შენი ჩურჩული
და ჩვენი ვნების გამოძახილი.

* * *

მოგესალმები, ისევ მიყვარხარ,
ვერცხლისფერ შუქზე ათრთოლებულო
მყუდრო ღამეო.
ჩავაქრობ სანთელს,
გამოვაღებ ფანჯარას ფრთხილად
და ირგვლივეთს მივაყურადებ...

დაველოდები, უცილობლად დაველოდები,
ოდეს ჭიშკარი გაიღება ჩუმი ჭრიალით
და გამძაფრდება სურნელება
ბნელში დარწეულ ყვავილნარისა
და მთვარის შუქზე აფარფატდება
შენი თეთრი თავსაბურავი.

* * *

რა თავისუფლად ვსუნთქავ ღამით,
თითქოს სივრცე ღამით მეტია,
უეცარ ნიავს გამოვუღებ
დაგმანულ სარკმელს;
რა მსუბუქია და გამჭვირვალე სუნთქვა ღამისა.

მიცურავს მთვარე – ჯადოქარი,
სახურავები მთვარის შუქით მოსარკულია,
ბრწყინავენ ჯვრების ბრილიანტები
და შორს, მთვარესთან, ცის თავანი
ნათელია და უნაპირო.

გარინდებული ვაყურადებ საკუთარ სუნთქვას,
შორეული საათის რეკვას
და გუშაგების გადაძახილს
და აისის მოახლოების მაუწყებელ იდუმალ ჰანგებს,
განთიადისას თვლემამორეულ თვალს ძლივსღა ვახელ,
თუმც ღია სარკმლის მიტოვება კვლავ მენანება.

* * *

ყოველი განცდა ღამით უფრო გასაგებია,
შემკრთალი სახე
ბნელში უფრო დიდხანს ცახცახებს,
ძლივს გასაგონი ბგერებიც მესმის,
უმოძრაოდ რომ ვწევარ წყვდიადში.

ო, გონებაში გაიქროლებენ:
მიუღწეველი, მისაღწევი, დრო გარდასული...
ჩემს სარეცელთან ბუუტავს ლამპა
და ფანჯარას მთვარე ანათებს,
შორს უცაბედი ისმის ზარის ხმა,
მოცურავენ წმინდა ბგერები
და სულს მთრთოლვარეს ეუფლებიან.
მარად ჰპოვებდა გული ამ ხმებში
ღამის ცვარ-ნამის ნეტარ სიგრილეს...
კვლავ მეორდება, სულ სხვაგვარად
მეორდება ჩქამი ზარისა,
მიმატებია სპილენძის და ვერცხლის ბგერები.

გასაკვირია, როცა მგონია არაფერს ვუსმენ, –
ყურს მაინც ესმის,
ენაცვლება ტალღებივით ფიქრები ფიქრებს,
მერე კი ფსკერზე მინაბული მზერა მოიცავს
ყოველივეს: ლამპას, ღამეს, შორეულ ბგერებს.

შუაღამისას ზოგჯერ ცხადლივ ვხედავ სიზმარს,
როგორც დახრუკულ ჯაგნარებში – მთვლემარ ყაყაჩოს.

* * *

გულო, ჩემო პატარავ,
იყავ მარად მშვიდი,
გულო, ჩემო პატარავ,
რატომ შემიშინდი?!
მოურჩენელ იარებს
სული გაიზიარებს,
უფალია მფარველი,
იავ ნანინაო!

ნუ იდარდებ, ჭრილობა
მალე დაგიყუჩდება,
შენი კარგი გადია
მალე დაგიბრუნდება.
ვიცი, ძლიერ გწადია –
მოვა შენი გადია,
დაიძინე, პატარავ,
იავ ნანინაო!

ის არ მოვა? – სხვა მოვა,
მოვა, ყელს მოიღერებს,
ახლო ჩამოგიჯდება
და ნაზი ხმით გიმღერებს:
„ნუთუ არ გებრალები,
გთხოვ, დახუჭო თვალები,
დაიძინე, პატარავ,
იავ ნანინაო!“

რატომ დარდობ, ნუთუ ძველი
გაგახსენდა გადია?
სევდიანი დღეები
ასე ჩუმად გადიან.

რატომ აღარ მოდის,
ვეღარ უძლებ ლოდინს,
დაიძინე, პატარავ,
იავ ნანინაო!

მალე მოვა ზაფხული,
ჩუმად მეტყვი: – გამიშვი.
ამოგიყვან აკვნიდან
და დიდ საწოლს გაგიშლი.
გენთოს ჩემი სანთელი,
განათებდეს ნათელი,
დაიძინე, პატარავ,
იავ ნანინაო!

და გაივლის ზაფხული,
რა იქნება შემდეგ?
– დაიძინე ტკბილად
განშორების დღემდე.
დათმობ ბრძოლას მედგარს,
შეწყვეტ გულის ფეთქვას,
სამუდამოდ დაიძინებ,
იავ ნანინაო!

* * *

ნისლი დაეცა ველებს შორეულს,
ოდეს დაისი სივრცეს ტოვებდა,
შევყურებ ტყეებს წყნარს, ბინდმორეულს
და შუქს მთრთოლვარეს მაღალ რტოებთან.

განიბნევიან, თრთოლვით ქრებიან,
იკარგებიან სხივნი დროებით
და ნელინელად უერთდებიან
სიბნელეს ხეთა კენწეროები.

ასე თანდათან, დაუსაბამოდ,
ამოიყრიან ჩრდილებს, ვით სიზმრებს,
თქვენ გითვალთვალებთ მთელი საღამო,
დაუსრულებლივ გიმზერთ და გიმზერთ.

ჩამავალი მზის ისრუტავთ ციაგს,
მერე საკუთარ შარიშურს ისმენთ –
რაც უფრო მძრაფრად განიცდით წიაღს,
მით უფრო მეტად ისწრაფით ცისკენ.

ავადმყოფი

მას აწვალებდა მძიმე სენი, სიცხით იწვოდა,
სიცოცხლე სურდა ხველებით დაღლილს.
სად გაქცეოდა ხალხის ყაყანს, აღარ იცოდა,
სამარადისოდ შესძულდა ხალხი.

იჯდა ოთახში, ვით საკანში ზის პატიმარი,
იმზირებოდა ფანჯრიდან ხარბად,
სურდა სიცოცხლე, ფანჯრის იქით წყნარად მდინარი
ენატრებოდა გამჭვირვალე ჰაერი ალბათ.

ცხოვრებას სჭვრეტდა,
ვით ზმანებას ცხადივით ხილულს,
თეთრი დღეები მოცურავდნენ, როგორც გედები
და მოკაშკაშე მზე ალღობდა დარჩენილ ყინულს
და სახურავზე წკრიალებდნენ მძიმე წვეთები.

იჯდა სარკმელთან, მოწყენილი ასე ფიქრობდა:
– ო, გაზაფხული მალე მოვა – ჩემი მკურნალი.
გაზაფხულისკენ ოცნებაში სწრაფად მიქროდა,
ღია სარკმელთან იჯდა მდუმარი.

* * *

ნუ მეკითხები, რაზე ვფიქრობ, რომ ვირინდები,
ო, ვერ გაგიმხელ, მერიდება გამხელა თითქოს,
შმაგი ოცნებით სული ივსება
და უნებლიეთ წარსულისკენ გაფრენას ითხოვს.

მშვენიერებამ შემიტყუა წრეში მორჩილად,
შევხედე, გული შეტოკდა და დღემდის არ ცხრება.
ასე თრთის მტრედი ფრთაშეკრული და შებორკილი,
მონუსხულივით ფანჯრის მინებს რომ ენარცხება.

იმავ ვნებებით აღარა ვარ აწ აგზნებული,
ბრმად არ ვესწრაფი მშვენიერის ბრწყინვას წამლეკავს,
თუმც ძველისძველი საათივით თითქოს ეს გული
ჟამიდან ჟამად უცაბედად მაინც დარეკავს.

მე მახსენდება სიყმაწვილე, ცა იდუმალი,
იასამანი ცრემლში კრთებოდა,
ო, იმ დღეს დედა ავად იყო, იწვა მდუმარე
და მეგობარი შორი გზისკენ ეშურებოდა.

ღრუბლიანი და მოჟამული ჩანდა ხედები,
დუმდნენ მერცხლები, გაზაფხულის ლაღი მგოსნები
და სახურავზე მობუზულნი ისხდნენ მტრედები
და ცახცახებდნენ, შეყუჟულნი თვლემდნენ ფრთოსნები.

ჭასთან, სად მოლი ფეთქავს ბიბინა,
სადაც ბადია ჩანდა პატარა,
შავმა ყორანმა გადაიფრინა
და შემზარავად დაიყრანტალა.

გავიდა ჟამი, გაიფანტა კვამლი კაეშნის,
გულში ეჭვებად დაილექა ტყუილ-მართალი,
გიმზერ თვალებში, ვნებიან და ჭკვიან თვალებში,
და ათრთოლებულს კვლავ ჩამესმის ყორნის ყრანტალი.

* * *

დრო რაც უფრო გვაშორებს
და გვაფარებს ღამეს,
უფრო ხშირად ვიგონებ
დაუვიწყარ წამებს.

არ ვგრძნობ წლების სიმკაცრეს,
სიახლოვეს სიბერის,
ოდეს წამწამებიდან
გამოკრთება ცისფერი.

მეძალება ეჭვები,
ველარ ვუძლებ ნაღველს –
ბრბოში როგორ დავტოვო
ეგ უმანკო სახე?!

აუხდენელ ოცნებას,
ვიცოდი, ვერ ჰპოვებდი, –
შენი წმინდა ტაძარი
არის სული პოეტის.

* * *

გუშინ ტყე თრთოდა უკანასკნელი
ფოთლის თრთოლვით და ზამთარს ელოდა,
საშემოდგომო ყანა გაფენილ
ხალიჩას ჰგავდა, მზეზე თბებოდა.

დღეს კი ვიგონებ გაქცეულ ზაფხულს
და ცივი ქარი რტოებს აწვალებს,
კვლავ გადაჰყურებს ხეებს გაძარცულს
ფიჭვი ამაყი და მარადმწვანე.

უეცრად ჩაქრა სიტურფე ფერთა
და დაეუფლა ყოველს სიბერე,
ცასა და მიწას, ყველაფერს ერთად
დაეპატრონა სინაცრისფერე.

ჩაქრა მინდორი, გადამხმარ ბალახს
მობეზრდა ცივი ქარის წანწალი,
აღარ იგრძნობა მფეთქავი ძალა,
სიცოცხლის კვალი და ნიშანწყალი.

და მოიისფრო ბურუსთან ერთად,
ჰაეროვანი, მსუბუქი ქროლვით,
უცებ აღმოვჩნდით თოვლიან მთებთან,
სად საუფლოა მარადი თოვლის.

* * *

ჩამოშალა აკაციამ
მოყვავილე ტოტი,
გაზაფხული ამ ხეივანს
გადახურავს როდის?

ცხელი ქარი უბერავდა,
ჩვენ ვისხედით ჩრდილში,
ოქროსფერი დღე ქრებოდა.
ხმა ისმოდა ქვიშის.

ყურს ვუგდებდი ფუტკრის ზუზუნს,
და გულს – ვნებით ავსილს,
ეშინოდა, რამე გეთქვა
ალსარების მსგავსი.

გაზაფხული რთავდა სტეპებს,
ქარი ქროდა ცხელი
და შენს ლამაზ წამწამებზე
ენთო წვრილი ცრემლი.

მსურდა, შენთვის რამე მეთქვა –
საამო და მშვიდი,
რომ უეცრად ჩვენთან ახლოს
შეფრთხიალდა ჩიტი.

უნებლიეთ გავირინდეთ.
მომეჩვენა ვითომ?
რომ თვალებით სთხოვდი ფრთოსანს –
არ გაფრინდე, ჩიტო!

რა უმანკოდ გვიყურებდა –
შიშითა და რიდით,
გასაფრენად ფრთაგაშლილი
მინდვრის ჭრელი ჩიტი.

* * *

ნაძვმა ტოტით წამიშალა გზა-კვალი...
ქარი...
ტყეში მივსეირნობ მარტო,
ტყე ირწევა – უსასრულო აკვანი –
უცნაურად მაშინებს და მართობს.

ქარი დაქრის, როგორც უცხო ფრინველი...
ფოთოლცვენა და ტოტები დახრილი...
ჩუ... შორიდან ისმის გასაკვირველი
უხილავის მარადისი ძახილი.

ულრანებში კვლავ გუგუნებს ქარი,
ხმა გაისმის გადანისლულ გორითა,
მეჩვენება, თითქოს ვინმე ყარიბს
მოწყენილი ესალმები შორიდან.

* * *

მთვარის შუქი იღვრება,
დღე შორს დარჩა ჩავლილი,
სულში ამოიღერა,
გაიშალა ყვავილი.

გულში ვით არ გავივლო
ფიქრი შეუჩვეველი,
მავანთათვის, ყვავილო,
რომ ხარ შეუმჩნეველი.

მთვლემარ ბაღში გავივლი
სიმარტოვის მსურველი,
თან მომყვება ყვავილის
საოცარი სურნელი.

Romanzero

I

ვიცი, რად მიმზერ ავადმყოფი ბავშვი ნიადაგ
და მოგონებებს თავს რად ევლები,
რად გამომხედავ ჩაფიქრებით და სევდიანად,
გაბრწყინებული ალალ ცრემლებით.

სულშემხუთველი, საშინელი სიცხეა თქვენთან
და გენატრებათ გრილი ჰაერი,
გაფიქრებს შავი წრეები დღეთა –
შიშისმომგვრელი და სხვანაირი.

მხოლოდ ამ ბაღში ყვავის უცვლელი –
სულის სიმშვიდე და ირწევა ხალიჩა ჩრდილის
და ახლადგაშლილ ვარდის ფურცლებზე
ბრწყინავს უმანკო ცრემლები ჩვილის.

II

ოდეს პირველი სხივი ანთია,
ჩემს საიდუმლოს ვუმხელ განთიადს
და ოდეს მესმის წყაროს ჩუხჩუხი,
ჩემს საიდუმლოს წარვსთქვამ ჩურჩულით.

ღამით, როს მღერის ვარსკვლავთა ქორო,
გულს გადავუხსნი ვარსკვლავებს მხოლოდ.
შენ როცა გიმზერ, შევკრთები უმალ,
არაფერს გეტყვი და ჩემთვის ვდუმვარ.

III

განამებული და წმინდანი მე შენთან ვდგავარ,
თვალებში მიმზერს სული ობოლი,

მე იმქვეყნიურ არსებას ვგავარ,
თითქოსდა ვიყო სამოთხიდან გამოხმობილი.

არა შემთხვევით – ზეციური მოფრინდა წამი,
გაუფერულდა მიწიერი ტანჯვა და სევდა,
ჩაქრება წამი, დაიძინებს მარადი ძილით,
მარადი ძილით – შენს ცრემლიან თვალებში ვხედავ.

ხელები მითრთის, დიან წამები,
უცხო განგებას ქედს ვუხრი და ცრემლი მერევა,
ისმის ბგერები უწმინდესი, განაწამები
და ამ ბგერებში ვეძებ, ვეძებ ბედნიერებას.

IV

გუშინდელი დღის ვიხსენებ სითბოს,
ცას, უსასრულო სილურჯით დაღლილს,
ფოთოლი თრთოდა, მღეროდა თითქოს
და დაგვყურებდნენ ვარსკვლავნი მაღლით.

და შადრევანი შორეულ შუქით
გადაიშალა უთვალავ ფერად,
განიხვნა ზეცა, ხმა მესმის ბუკის,
ცამ მიიზიდა დაღლილი მზერა.

დღეს დასცემია ძილქუში ყოველს,
ჩაძირულია ნისლში ნაპირი,
ამ სიბნელეში ვეღარსად ვპოვე
გადასარკული წყლის ზედაპირი.

არ ვიქანცები ბურუსით, ნისლით,
გულს არ მიწვრილებს ეს ბნელი წუთი,
ხმა შადრევნისა აქ სადღაც ისმის,
იქ, სადღაც, მღერის ვარსკვლავთა გუნდი.

* * *

ცა, ტოტებიდან ჩამოჟონილი,
შემოეხეტა თვალებში მაინც
და ოქროსფერი, მჩატე ქსოვილი
გადაეფინა მდინარე მაინს.

ბჟუტავს სინათლე – თან იმალება,
თან გამოსჭვივის ცაცხვის გრილოდან,
აღსრულდა მკაცრი იდუმალება,
ბნელში გარინდულ ვიოლინოთა.

ხმაურში უფრო გასაგებია
და ძვირფასია ხმები ღვთიური, –
თითქოს ბავშვობის ზღაპრებს ჰყვებიან
და სულს ათრთოლებს ხმა მშობლიური.

აუსრულებელს ვიხსენებ სურვილს,
აღსრულებულიც თვალწინ ინთება
და მელოდიას მიჰყვება გული,
ხან ვნებით ფეთქავს, ხან ირინდება.

წარხდნენ ჯადოსნურ ოცნებით მთვრალი
მოგონებები, წარილტვნენ მაინც,
და ისევ ვხედავ – ბილიკი მთვარის
როგორ ათრთოლებს მდინარე მაინს.

* * *

ოდეს ვუცქერდი ვარსკვლავთა ციაგს,
თვალი ამაოდ ეძებდა ნაპირს,
ფრთხილად გაება ჩვენს შორის ძაფი,
ნეტარი თრთოლვით მოწყვიტა წიაღს.

ღამის მუსიკა მოჰქონდა ნიავს,
ასე მეგონა ვუსმენდი გუშინ,
ო, ვარსკვლავები მას შემდეგ კრთიან,
უფალო, აღარ ქრებიან სულში.

ზმანება

მესიზმრა, თითქოს დამეუფლა მარადი ძილი,
გარდავიცვალე, თვალებს ვერ ვახელ
და სიზმარშივე იმედის ჩრდილი
ამოდ და ნაზად ეფინა სახეს.

და გაურკვეველ ბედნიერებას ველოდი ისევ,
როს უეცრად დარეკეს ზარი,
განათდა სული და მივხვდი მყისვე: –
ბედნიერება ამ უწმინდეს ბგერებში არის.

უწმინდესია, სმენას აოცებს
ხმა ზეციური, ვუსმენ და ვტკბები
და მეჩვენება, შორეული სასაფლაოსკენ
მიმაცილებენ სამრეკლოდან დაძრული ხმები.

თითქოსდა სევდის ყინული გალხვა,
წამით აღვსდექი და ვიმზირები...
მერე ცასავით გამჭვირვალე ბგერათა ტალღას
გავყვები შორს და სიბნელეში ჩავიძირები.

პირველი შროშანი

ჩემო შროშანო, თოვლის საფარველს
შემოიცილებ და მაღლა, ცისკენ,
გაოცებული თვალს გააპარებ
და გაზაფხულის სიმღერას ისმენ.

ზეციურ სხივის გშვენის ნათელი,
სიზმარეული ბურუსი გართობს,
ტკბილი ზმანებით და ჟრუანტელით
გაზაფხულის მზეს მიჰყვები მარტოდ.

და ისე ფეთქავ, როგორც ქალწული
გაბრუებული ვნებიან წამით,
არ გახსოვს თოვლი და გარდასული
და აგრერიგად მუხთალი ჟამი.

მაისის ღამე

გადაიარეს ღრუბლებმა ზანტად,
ვიგრძენი შვება.
ბოლო ღრუბელი, ცაზე რომ ჩანდა,
ახლადმოსულ მთვარესთან ქრება.

ო, ვარსკვლავებით მზერა ამევსო,
თრთიან კვირტები,
ბედნიერებას – თქვი, უნაზესო,
– ამ ცრუ სოფელში ისევ მპირდები?!

ბედნიერება – ეს უღმერთო ყოფა კი არა,
უმსუბუქესი კვამლია ველთა,
ციური გზებით ერთად ვიაროთ,
რომ ვეზიაროთ მარადისს ერთად.

ციური ქალაქი

მიდის ღრუბლების თეთრი ქალაქი,
ჩემი ქალაქი – მსუბუქ ღრუბლების,
ციხის კედლებით, ძვალთშესალაგით,
ეკლესიებით, წყნარი უბნებით.

ვარდისფერ ცაზე თეთრი ქალაქი,
ქვევით მიწაა მთვლემარე, ბნელი,
მიდის ღრუბლების თეთრი ქალაქი,
რა უმწეოა გაწვდილი ხელი.

უკვე ახლოა დასალიერი,
მიცურავს თეთრი ქალაქის ლანდი,
არ მიწყალობე ფრთები ძლიერი
და რად მიღვივებ გაფრენის წადილს?!

ბუხართან

მიმქრალი ცეცხლის სინათლე მკრთალი,
ცხელი ნაცარი და ნაკვერჩხლები
ღვივიან ბნელში, ფარფატებს ალი
ყაყაჩოებზე, როგორც პეპლები.

დაღლილი მზერა თითქოს მოელის
ლანდს – დამშვიდებას რომ არ მაცლიდა
და სახეები შეუცნობელი
მითვალთვალებენ თითქოს ნაცრიდან.

მომეფერება სრულიად მარტოს
წარსულის სევდა, ლაღი ზმანება
და თავს ვიტყუებ, თითქოს არ ვდარდობ
იმ დღეებს, ახლაც რომ მენანება.

სერენადა

ახლოვდება შეღამება,
ქრება ლილო-ჭრილო,
მზე მწვერვალებს ეფერება,
დაიძინე, შვილო.

გესმის, ბულბულები მღერენ,
ვარდო, ნაზად შლილო,
ნეტა სიმებს ვინ აჟღერებს?!
დაიძინე, შვილო.

ანგელოზთა თვალნი ამო
ნათელს ფენენ გრილოს,
და მსუბუქად სუნთქავს ღამე,
დაიძინე, შვილო.

* * *

მთვარე ანათებს ციურ უდაბნოს,
ბრწყინავს ბალახი მთვარის შუქზე ჩამოცვარული,
თითქოს აგუბებს და აღრმავებს შორეულ დაბლობს,
გრძელი ჩრდილების შრიალი და თრთოლვა ფარული.

ვით ოცნებაში, ყოველივე არის უსაზღვრო,
ზეციურ სწრაფვას გაურკვეველს ეზრდება ფრთები,
ჩემთან რომ იყო, წავიდოდით ისე, უაზროდ,
მთვარით მოქსოვილ ვერცხლისფერ გზებით.

არ გამოჩნდება დამტანჯველი ფიქრის სამანი,
როდის გაქრება ზმანებანი ცხადში ნანახი?
ანათებს მთვარე ცის უდაბნოს – სულის სავანეს
და მთვარის შუქზე დაცვარული ბრწყინავს ბალახი.

* * *

სამხრეთის ღამე, ბულული თივის,
გულალმა ვწევარ, ახლოა წუთი,
ოდეს ღამეში ზღაპრულად ღვივის
მარად მთრთოლვარე ვარსკვლავთა გუნდი.

და დედამიწა (თვალს ვახელ ვიდრე)
მიექანება, როგორც მეწყერი,
როგორც სამოთხის პირველი მკვიდრი –
სრულიად მარტო ღამეს შევცქერი.

მე ვისწრაფოდი ცისკენ დაღლილი,
თუ ვარსკვლავიან ზეცის კიდური
მოცურდა ჩემთან, ოდეს კვამლივით
ცაში ვიყავი გამოკიდული.

ღამის სილრმეებს ვუმზერდი მაშინ,
ოდეს სიბნელით სული აივსო,
ღამის უფსკრულში წამიდან-წამში
ვიძირებოდი სამარადისოდ.

* * *

მხიარულებას მოწყურებული
მწარე ღიმილი სახეს შორდება,
ბედნიერების ხმები მეფური –
ნუთუ არასდროს განმეორდება?!

რად შეფრთხიალდა გული ხალისით,
როს ვიოლინოს ხმა გავიგონე?!
ნუთუ წარსულის გალობა ისმის,
ღმერთო, მე ისევ წარსულს ვიგონებ.

ისე მივყავარ ნაღვლიან დღეთა
მტანჯველ ოცნებას და შეგონებას,
თან მევედრება, თან ისე მთენთავს,
რომ უნაზესად გულს მეფონება.

* * *

მომიახლოვდი... ო, ვნება ღვივის,
ოდეს ვუცქერდი მაგ თვალთა ციაგს,
ნუ გერიდება, ეს მე ვარ – სხივი,
ნეტარებით რომ გითრთოლებს წიაღს.

პატარა სხივით, ვითარცა ფუნჯით,
მოვხატავ ცას და კლდეებს პიტალოს,
გავაფერადებ ნაცრისფერს ლურჯად,
ცას მივუმატებ ფერს მოწითალოს.

თუმცა წყვდიადი წაგვშლის სრულიად,
სულ სხვა სურვილით გული გაერთო,
დაე, გულგრილი უსასრულობა
ჩვენი მთრთოლვარე შუქით აენთოს.

Nocturno

უგუმბათოა მონასტერი, ეზო ვერანი,
გუმბათის ნაცვლად – ზეცის თავანი,
მიხვდება ვინმე? ალბათ, ვერავინ,
თუ აქ ოდესმე იყო სავანე.

ამოლამებულ სარკმლიდან ზვერავ
შენ, მონასტერო, უდაბურ მხარეს,
შრიალებს სურო, იზიდავს მზერას
ბებერი მთვარე.

მნათობის შუქზე ლანდი მავანის
გამოჩნდა წამით,
ნაბიჯების ხმა, მარტოდმავალი
ვის ეძებს ღამით?!

რა სიჩუმეა, მეფობს უკუნი
და ფიქრში ვბორგავ,
თითქოს არასდროს ეგუგუნოს
კედლებში ორღანს.

* * *

შორს თოვლიანი ჩანან ქედები,
სიბნელემ შთანთქა ველი და კორდი,
ივსება მზერა ჩუმი ვედრებით, –
ო, ამ სიბნელეს დავტოვებ როდის?

მეწამულ ცასთან, ჭალაკებს შორის,
წაბლის ხე მოჩანს პატარა სახლთან,
როგორც ძვირფასი ვარსკვლავთა ხომლი,
შენი ფანჯრები აანთეს ახლა.

ეჭვი მღრღნის ისევ და მტკივა მკერდი, –
„უმანკო სხივად ისევ ციმციმებ?
ნუთუ შენთანაც, ნუთუ შენ გვერდით
დამეუფლება მკაცრი სიცივე?“

ახალგაზრდა მუხა

გუშინ მივანდე მშობლიურ მიწას
პატარა მუხის ნორჩი ფესვები
და ამის შემდეგ ფიქრებში ვიწვი,
ვიხსენებ, ვუმზერ, ვეალერსები.

ვლოცავ: – იზარდე, გახდი ძლიერი,
პოეტის ხელით დარგულო მუხავ,
შეუდარები და მშვენიერი
ამოიყარე რტოები უხვად.

საუკუნეთა ტოლი იზარდე,
ვერ შეგაშინებს ქარი და თალხი,
შენი ნაყოფი ღორს უწილადე
და სილამაზით მოხიბლე ხალხი.

* * *

შორს მივდივარ ÷ შორი გზითა,
შორი გზების მნახველი,
თან მიმყვება ნიადაგ
გული – სავსე ნაღველით.

მომდევს შენი ხატება
სათნო, გასაკვირველი
და მიგალობს საამოდ,
როგორც ველის ფრინველი.

სად მივყავარ გზას – მთისკენ,
სად ლურჯია თავანი
თუ შორეულ სტეპებზე
შემიკედლებს მავანი?!

სად მივყავარ გულისთქმას,
რისთვის დავბორიალობ,
თან მომყვები, ნიადაგ
ჩემთან უნდა იარო?!

გმადლობ, ვინც შემეგებეთ
გულთბილად თუ ყასიდად,
სად დროს ვსვამდი წუთებით,
ამ ცხოვრების თასიდან.

სადაც მკერდი ამღერდა
უახლესი გზნებითა,
მუზა – მოხეტიალე
არ დაღლილა გზებითა.

* * *

დამნაშავეა ჩემ წინაშე ხალხი? – ო, არა.
თუმცა ამ ფიქრით თავს ვერ ვიმშვიდებ,
ხალხს დღე აჩქარებს უსასრულო ფიქრით და ზრუნვით
და ღამე, როგორც მშობელი დედა,
დაქანცულებს გულში იხუტებს.
მათ არ იციან, რომ მთელი დღის უსაქმურობით
გაბეზრებული ვილაც ღამეს ათევს ფიქრებთან?

ბუუტავს სანთელი და საყვარელ აზრის ახლორე
მხდალი ფიქრები იშლებიან ფერად ჩრდილებად.

საამოდ მითრთის სული და გონი –
ეს გული უცებ უგუნური იკაროსავით,
როგორც პეპელა წყვდიადიდან,
სინათლესთან მიფარფატდება
და იდუმალი აზრისკენ ილტვის;
აჰა, საცაა შერუჯული, პაწია ფრთებით
წრეს შემოხაზავს სიბნელეში
და სანთლისაკენ საწამებლად
თავის სურვილით კვლავ გაფრინდება...

მაგრამ არ ვიცი, ამ ქვეყანაზე
რას ეწოდება სურვილი და გარდუვალობა.

წყარო

ამ სოფელსა და მთისპირა ჭალას
კვეთავს მდინარე – მარადი მგზავრი,
შორით კი მოჩანს ტაძარი მკრთალად
და ნისლში არ ჩანს ნათელი ჯვარი.

კვლავ გაანათებს შუქი აისის
ბინდში ჩაძირულ ლამაზ ნახატებს,
ჩუ, გრილ ტალღებში თითქოს გაისმა: –
სულო, იფხიზლე და იღაღადე!

არ იხედება აქეთ არავინ,
ათრთოლებული ტევრისკენ ჯერაც,
მიდის ხმაურით ბრბო შემზარავი,
არავინ უსმენს ბულბულის მღერას.

ვარ მომლოდინე საღამოისა,
ისევ მაცოცხლებს ჰაერი გრილი
და სადაც წყაროს ხმები მოისმის,
სულ მარტოდმარტო გავყვები ბილიკს.

რომ არ დავაფრთხო ნაზი ბულბული,
საღამოს ბინდში შევდგები წამით,
გარინდებული და გალურსული
მივაყურადებ სიგრილეს ღამის.

* * *

ბრწყინავდა ღამე მთვარის სხივებით,
ბნელ სასტუმროში ცახცახებდა სინათლე მკრთალი
და როიალის თრთოდნენ სიმები,
როგორც ჩვენ ვთრთოდით სიმღერით მთვრალნი.

ცრემლმორეული, ვნებიანი ასე მღეროდი –
რომ სიყვარული მარადია, ერთადერთია.
ო, როგორ მსურდა მოგხვეოდი, მოგფერებოდი,
შენ მყვარებოდი, ღამეები შენთვის მეთია.

გავიდა ჟამი მომქანცველი და მოწყენილი,
ღამის წყვდიადში, სიჩუმეში მესმის შენი ხმა
მოგონებათა წიაღიდან შემოფრენილი –
რომ შენ მარტო ხარ, ფოთოლივით გული შეირხა.

რომ ობოლი ხარ, მარტოსული და ისევ მელი,
რომ სხვა მიზანი არ არსებობს, ერთადერთს ელტვი.
ო, როგორ მინდა ჩაგეხუტო, მოგხვიო ხელი,
ისევ მიყვარდე, მოგეფერო, ვიტირო შენთვის.

* * *

ასე დავშორდით, შორს ეხეტები,
სხვათა საუბარს ისმენ.
იდუმალ ფიქრში ისევ შევხვდებით,
ისევ შევხვდებით, ისევ.

მოულოდნელად, ოდეს კაეშანს
აკრთობს იმედის სხივი,
შენ ილიმები, დაღლილ თვალებში
ჩემი ოცნება ღივის.

თუ ხეივანში მაღალ ალვების
ჩუმი შრიალი გესმა,
ალვის ხეები და ვარსკვლავები
ამბავს ჰყვებიან ჩემსას.

როდესაც გძინავს და ღამეული
სხივთა კონები თრთიან
და როცა ძილში სიზმარეული
ვნების ქარები ქრიან,

როცა ჩურჩულებ: „მიყვარხარ, გელი“
და ლამაზ თვალებს ნაბავ,
მე ვარ სიზმარი, უჩინარ ხელით
მე ვაშრიალებ საბანს.

ვარსკვლავთა შორის

თანდაყოლილი ბედისწერა ჩემსავით გბორკავთ
და წარმავალ წამს ემონება ყველა ჩემსავით,
ვარსკვლავიან ცას – ცეცხლოვან წიგნს გავშლი და
ვბორგავ,
კითხულობს ზეცის საიდუმლოს გული მკვნესარი.

ისე ახლოა ამქვეყნიურ ყოფის სამანი,
როს ვარსკვლავებით მოჭედილი ზეცა დანათის
ბნელ დედამიწას და ჩურჩულებს ვარსკვლავთ ანბანი:
„შენა ხარ წამი წარმავალი, ჩვენ ვართ მარადი.

უსასრულო ვართ, უსასრულო, მიუწვდომელი,
ამაოდ ეძებ, არას გეტყვის ზეცა მდუმარი,
მისთვის ანთია ამ წყვდიადში ყველა ცთომილი,
რომ უნუგეშომ დღე ინატრო მზეჩაუვალი.

როს სულშეხუთულს სუნთქვა გიჭირს
და მოსწყვეტ მზერას
მიწიერ წყვდიადს, გეუფლება სხვა ჟრუანტელი,
ციურ სილრმეებს, თვალუწვდენელს, შემკრთალი ზვერავ,
გაურკვეველი, ღამეული გავსებს ნათელი“.

* * *

როს გაზაფხულზე წიაღი მიწის
წყურვილს იოკებს, მე მიხარია.
ხედავ, ფანჯრისკენ სურო მიიწევს,
ჩუმად მიცოცავს დიდი ხანია?

და აქვე, ბუჩქზე, ბუდეში სხედან,
ისმის ბარტყების უმწეო ხმები,
შესაბრალისად უხმობენ დედას,
ფრენას ცდილობენ პატარა ფრთებით.

მე ვირინდები, თითქოს ვიძინებ,
პატარა ჩიტო, ხომ არ მშურს შენი?
ის კი სულ ახლოს ზის და წრიპინებს
და დედობრივი სინაზე შვენის.

ჩიტი ვერ ამჩნევს ჩემს თვალებს მიმქრალს,
ქვა თუ ვგონივარ ზეაღმართული?!
დაფრინავს, დასდევს მუმლსა და ქინქლას
და თავის საქმით არის გართული.

* * *

თბილი ქარი უბერავს,
სტეპზე ფეთქავს სინედლე,
ყორღანებზე ბიბინებს
უმწვანესი სინათლე.

ყორღანებზე ძნელია
მშობლიურ გზის გაგნება,
სად ბილიკი გველივით
ნისლში მიიკლაკნება.

ლაჟვარდოვან ცას ვუმზერ,
სიხარული მინელდა,
ციდან ისმის სიმღერა
მარადიულ ფრინველთა.

მთის ხეობა

ტყის მერე ტყეა, მწვერვალებს ვზვერავ,
მოჩანს ცისფერი და ლურჯი მთები,
სივრცეს თუ დიდხანს მიაპყრობ მზერას,
მსუბუქ ნისლებში გაკრთება სხვებიც.

დგას ბნელი მუხა, როგორც ოცნება,
ზურმუხტის შუქი ანათებს არეს
და მონუსხული ამ საოცრებით
მივეშურები ჯადოსნურ მხარეს.

თითქოს და სული ლაჟვარდებს გასცდა,
ბედნიერებით სული სავსეა
და მეჩვენება, თითქოს ეს განცდა
უკვე განცდილი წამის მსგავსია.

ბაღში

ბებერო ბაღო, მოშრიალევ, ისევ აქ ვდგავარ,
თანამზრახველო, მოყვავილე და ლაღი წლების,
ვით ბავშვობაში – სურნელს შენსას შევიგრძნობ
კვლავაც
და თითქოს მესმის სიყმაწვილის მიმქრალი ხმები.

იგივე ცაცხვი – თუმცა დროის ხელით წაშლილი,
ჩემი სიტყვები მის მერქანზე ამოკვეთილი,
შეცვლილა ბაღი და ბალახი ისე გახშირდა,
ვგრძნობ, რომ ტყეებში არ მომელის ჟამი კეთილი.

ყველა ფოთლის და ყველა ტოტის შრიალი თითქოს
აღვიძებს სულში მიმქრალ წუთებს, სხივებად აბამს.
უძვირფასესი ადგილების თრთოლვა და სითბო
გარდასულ დღეებს, მივიწყებულს მაგონებს ამბავს.

ჩამჩურჩულებენ: „გვახსოვს, როგორ წამოიზარდე
და მერე, ოდეს განშორების აყვავდა დარდი,
შენი მიჯნური სურნელოვანს გიკრეფდა ვარდებს,
გზას გილოცავდა წითელი ვარდით.

თქვი, სად გაჰფანტე ყვავილები ასე უაზროდ,
სიხარულით რომ ფეთქავდნენ მაშინ?“
– სევდამ დამიჭკნო, ზოგიერთი ყინვამ მოაზრო
და ზოგიერთიც დამეკარგა უეცრად ქარში.

თქვენ ისევ გამკობთ სიმწვანე და თრთოლვა ჩვეული,
გაბრუებთ ხმები უნაპირო და იდუმალი
და თქვენ წინაშე ვდგავარ ბავშვი გზააბნეული,
მეტირება და ვეღარ ვტირი, ვდგავარ მდუმარი.

მოწყენილობა

უამური ამინდია, ვაბოლებ,
სახლში ვზივარ, ნისლი წვება ღობესთან.
წიგნს გადავშლი ერთს, მეორეს და ბოლოს
თავს ვანებებ, წიგნის კითხვაც მომბეზრდა.

ნაცრისფერი დღე მიიწევს ტაატით,
მიდის, მიდის, წუთით არ იგვიანებს.
კვლავ წიკწიკებს ჩემი კედლის საათი,
საათის ხმა ისევ მაღიზიანებს.

უცნაური მეუფლება შიში,
მომეჩვენა, ვიღაც ბუხარს აქრობდა.
რას არ ვფიქრობ, გადაქანცულ ტვინში
უამრავი სისულელე დაგროვდა.

მაგიდაზე ორთქლი ასდის ჩაიდანს
და ოთახში ძლივს იგრძნობა სითბო.
მადლობა ღმერთს, ამ დღესაც გადავიტან,
მადლობა ღმერთს, მეძინება თითქოს.

მატარებელში

გარეთ თოვლია, თოვლი და ყინვა,
აქ – სიმყუდროვე, ღიმილი გამხელს
და თვალწინ შენი ხატება ბრწყინავს,
შენი ბავშვური, უმანკო სახე.

ო, ანგელოსო, ამ წყვდიად ღამეს
გამბედაობით, ეჭვით, ჩურჩულით
გადავუქროლებთ ულრანებს, ხრამებს,
გადავუქროლებთ რკინის ურჩხულით.

მატარებელი თოვლსა და სუსხში
მიჰქრის და ტოვებს ნაპერწკლებს გარეთ
და გვესიზმრება ნაპირი სულ სხვა,
ჯერ არნახული, უცნობი მხარე.

კენტი სანთელი აღვივებს სევდას,
შენ დაღლილი ხარ მგზავრობით, ღამით.
ჩასძინებია შენს ბებერ დედას,
დაუფლებია ძილქუშის წამი.

შენი სიტურფით სული მევსება –
კიდევ ცოტა ხანს გიმზირო, იქნებ.
ფრთხილობს და თანაც ეალერსება
გული ამდაგვარ მტკივნეულ ფიქრებს.

და მოვერცხლილი სხივებით მთვარის
თითქოს ხეები რბიან მძინარე,
უეცრად თუჯის ცივი ზანზარი,
მივქრით ხიდზე და ქრება მდინარე.

როგორც ზღაპრული ყვავილნარები
სავსეა ციურ ფერით და ხმებით,
ვნებით სავსეა შენი თვალები,
ურუანტელივით სხეულს ედება –
ჟამი-ჟამს ჩემკენ რომ იხედები.

* * *

მე ავადა ვარ, ოფელია, მზერა მეღლება,
დამიძაბუნდა გული და ფიქრი,
მიმღერე, ქარი როგორ ეხლება
ძვირფას სამარეს, მარტოდმარტოს და საით მიჰქრის?

ო, სულს, შეჩვეულს მოთქმას და ტირილს,
ვინ გააკვირვებს მწუხარებით – მწუხრისთვის შობილს?!
უმღერე რამე დეზდემონას – მტირალა ტირიფს,
შრიალა ტირიფს – განუყრელ დობილს.

ნავზე

უმზერ მდინარის ზედაპირს ცისფერს,
ოცნების აფრას გაშლი,
– ცა და მდინარე, – ჩურჩულებს მყისვე,
– ნავი შუაგულ წყალში.

აღარ შრიალებს ნაპირთან ტალღა,
ჭავლი აბრწყინდა ისევ,
რა სიჩუმეა, თითქოსდა ახლა
ღამეც მიჯნურებს გვისმენს.

და გარინდებულს ამ იდილიით
მესმის შრიალი შორი,
ცა ვარსკვლავებით მოჭედილია,
ნავი ვარსკვლავთა შორის
ნანაობს, გიმზერ, თვალებში გიმზერ,
შენი ალერსი მინდა,
მნათობის შუქზე მოჩანხარ ისე,
როგორც მოსული ციდან.

ო, შემოსილო მთვარეულ ვერცხლით,
გითრთის ლამაზი მხრები,
ჩამიქრა სისხლში ველური ცეცხლი
მოდიდებული ვნების.

ექო

ცაზე იგივე ვარსკვლავი ბჟუტავს,
მდინარე კვლავაც ჩაუდის ბექობს,
ოდენ მიჯნურის ხმა აღარ ისმის,
გაბლანდულია თვალებში ნისლი,
რა სევდიანად ჩურჩულებს ექო:
ნისლი!..

იგივე ჭალა, მდუმარე ლანდი,
იგივე წყაროს საამო მღერა,
მაგრამ წარსულის ნათელი ხატი
ვერ გამოკრთება ნისლიდან, მჯერა!
ჩურჩულებს ექო: –
ნისლიდან,
მჯერა!

ისევ იგივე სიმღერას მღერის,
რასაც ოდესღაც მღეროდა ჩიტი,
თუმცა სიმღერა არაა მშვიდი,
გულს სიხარულად არ ეფონება!
მპასუხობს ექო სევდით და რიდით: –
არ ეფონება!

ხმა გარდასულის გაქრება ნეტავ,
თუ უსასრულოდ უნდა მახსოვდეს?!
ვერ გავაღვიძებ სიზმრიან დღეთა
ნეტარ ზმანებას ველარასოდეს!
და შორი ექო აღვივებს სევდას: –
ველარასოდეს!

* * *

თითქოს ცხოვრება უკვალოდ გაქრა,
საით მიჰქროდა ეული აფრა,
რა მიზნისაკენ ილტვოდა სული?!
გაქრა ოცნება ნებიერ დღეთა,
მინავლდა ვნება, გამოჩნდა მკვეთრად –
ბოლო მიზანი – გზის დასასრული.

გაშიშვლებული ველების მოვლით,
როს დაასრულებს თავის გზას თოვლი,
თითქოს სურს, ქარებს სადმე გაექცეს
და უღრანებში ემსხვრევა მკერდი,
ტყეთა ვერცხლისფერ სიჩუმეს ერთვის,
შლის მარადიულ და ცივ სარეცელს.

სოფელი

მე მიყვარს მყუდრო, შეუდარები,
მივარდნილ სოფლის საღამოები
და შორეული ხმობა ზარების,
სახურავები, ჯვრები, რტოები.

მე მიყვარს მდელოს მწვანე ხასხასი,
როს ფანჯარასთან ორთქლი ამოვა
და ახლობლებთან მშვიდი ბაასი,
როცა თავიდან ვავსებთ სამოვარს.

მიყვარს დუმილი, დუმილს ვაფასებ
თავსაფრიანი დედაკაცების,
მიყვარს თეფშები ფანჯრის რაფაზე
და იმ თეფშებზე შვრიის მარცვლები.

მიყვარს, კალათა ჭრელი წინდებით
ისევ რომ მოჩანს ფანჯრის მინებთან,
კატა – თამაში რომ არ სწყინდება
და გორგალს თათით ეპოტინება.

და შვილიშვილის მორცხვი თვალები,
ყოველივეს რომ ჩუმ-ჩუმად ზვერავს,
პატარა ხელი, ნაფერმკრთალები
და უცაბედად დახრილი მზერა.

ცა ბინდიანი, სხივები მთვარის
და ღამეული სიმღერა ჩიტის,
ლამაზ ფანჯრების წკრიალი წყნარი
და საუბარი საოცრად მშვიდი.

გამოგონილი ჩემი ზღაპარი,
ღამის ჰაერი გრილი, ცინცხალი,
ცნობისმოყვარე თვალთა ლამპარი,
უძვირფასესი, დაუვიწყარი.

* * *

ო, რა ღამეა,
ჰაერი გრილი,
თრთის ვერცხლისფერი
ფოთოლი ჩვილი,
ისევ ბნელია ტირიფის ჩრდილი,
ზღვის ყურეს სძინავს
უშფოთველ ძილით.

და ირგვლივ მეფობს
სიმშვიდე სრული,
ამავ სიჩუმით
სავსეა სული.

თითქოს დღე იყოს
და სულ ერთია,
თუმცა ბრწყინვა და
ჩრდილი მეტია.

უფრო მძაფრია
სურნელი მინდვრის,
უფრო ნათელი
თავი და ფიქრი.

და მკერდს უფრორე
ვნებიან წამის
სურს შეისუნთქოს
ჰაერი ღამის.

* * *

ჩუ... სძინავს ქალაქს, ქუჩები დუმან,
შორი ვარსკვლავის მკრთალი ციაგი
ისევ აღვიძებს ფიქრებს იდუმალს,
სევდით მევსება თითქოს ნიაღი.

და როგორც მზერა ტურფა ასულის –
ფიქრს ისეთივე სინათლე მოსავს,
მშობლიურ შუქით აღვსილა სული,
მახარებს ძველი სტუმარის მოსვლა.

და უჩინარმა ნაღველი მძიმე
გაჰფანტა, სუფევს სიმშვიდე სრული
და შეეგება რწმენას და იმედს
სისიყვარულოდ გახსნილი გული.

კვლავ მეუფლება საამო განცდა –
ტკბილი თუ მწარე, ო, ველარ ვარჩევ,
ამგვარი წვისთვის გული არ გაცვდა,
ამგვარი წვისთვის მადლობა გამჩენს.

* * *

გაზაფხულია, ხმა იდუმალი
დაუფლებია ღამეულ ბაღებს,
უკაცურ გზაზე მივალ მდუმარი,
მომყვება ჩემი დაღლილი სახე.

შრიალებს ეზო ხეივნიანი,
სილურჯე გაკრთა ვარსკვლავთა შორის,
უბერავს ამო, გრილი ნიავი
და ბულბულები მღერიან შორით.

აუხდენელი კვლავ მეზმანება,
აუხდენელი, მიწავ, ბებერო,
გულში სურვილი ჩნდება თავნება,
რომ ვინმეს შევხვდე და მოვეფერო.

ბუბუნებს მიწა, ისევ ინება –
განახლდეს, ჩქეფდეს მწვანე ღვარებად.
მოვა დრო, მიწას ჩავეყინები
და აღარავინ არ მეყვარება.

* * *

გავიდეთ ბაღში, მეგობარო,
ღამეა, სძინავთ,
სუყველას სძინავს,
ცაზე მხოლოდ ვარსკვლავი ბრწყინავს.

ვერ შეგვამჩნევენ
დაბურული ხეივნის ჩრდილში,
მხოლოდ ბულბული გაიგონებს,
ნუ გიპყრობს შიში.

და ვერც ბულბული გაიგონებს,
ის ახლა მღერის
და საიდუმლოს მოწამეა
გაწვდილი ხელი.

მარტოდენ გული,
დამიჯერე, მარტოდენ გული
იგრძნობს, რა ცეცხლი მოგვდებია,
რა სიყვარული.

მონუსხულები უეცარი
წვითა და ვნებით,
შეერთდებიან ნეტარებით
მთრთოლვარე მხრები.

და განცდას უთქმელს
გული გულს ეტყვის,
როს უნებლიეთ, უცაბედად
ხელი ხელს ერთვის.

ბეგერი ბაღი

უკანასკნელი ყვავილები ჭკნებიან, სცივათ,
უფრო მკაცრ ყინვას მოელიან, ჭკნებიან დარდით.
აგე, ნეკერჩხალს მოწითალო ფოთლები სცვივა,
ჩამოხმა ბარდა, ფურცელ-ფურცელ ქარს მიაქვს ვარდი.

პირქუშ ნაძვნარში დილის სხივი ამოიღერა,
არ შეეგება მზეს სიმღერით გუნდი ფრთოსანთა,
მხოლოდ წიწკანა იმეორებს იმავ სიმღერას,
გაქრა სიმწვანე, ნაცრისფერი უცბად მოზვავდა.

მრუმე უფსკრულთან ძველისძველი მოჩანს ფარდული,
შევდივარ, თათებმომსხვრეული ლომნი მხვდებიან,
კედელზე უცხო წარწერები მიმოფანტული
თვალს აწუხებენ და მზერაში ავად კრთებიან.

როგორც კედელი, აქვე, ახლო, ცად აღმართულა
საბრალო ფიჭვი და არ ძალმიძს გზების გაგნება
და მთის ბილიკი – ნაწვიმარი და დახლართული –
ყვითელ გველივით სადღაც, ველზე მიიკლაკნება.

გამოანგრია მზემ სხივებით ღრუბლების უბე,
გამოანათა, წამით გაკრთა ფერი ბადახშის,
აქედან ვხედავ, წყაროები ერთვიან გუბეს
და უსიცოცხლო კალმახები ყრია ბალახში.

ისევ მარტო ვარ, არავინ ჩანს, არავინ მიხმობს,
სულში დაგროვდა მწუხარება, ტკივილი მუნჯი
და შორს, უფრო შორს, ფიჭვების მილმა
გარინდული ზღვა მოჩანს, როგორც გუმბათი ლურჯი.

როგორც თოლია, ზღვაზე აფრა გამოჩნდა კენტი,
არ იძირება აფრა ქათქათა,
ზღვას ამობურცულს თითქოს ერთვის, თითქოს არ
ერთვის
და როგორც ღრუბლის თეთრი ფთილა ქრება
თანდათან.

ისევ მაისის დღე

ო, რა ღამეა, ნეტარებით ფეთქავს ყოველი,
მშობელო მხარევ, ღამეულო, ვარ მადლობელი.

შენი მაისი, ასე ნორჩი, როგორ მოფრინდა,
ყინულეთიდან რა ცინცხალი შემოფოფინდა.

ო, რა ღამეა, ვარსკვლავები ღამეულ ციდან
იმზირებიან თითქოს სულში, წყნარად და მშვიდად.

ბულბულის სტვენას გაიგონებ და გულში ხელად
გაიფაჩუნებს სიყვარული, ჩვეული ღელვა.

არყის ხეები მოელიან ვერცხლისფერ მნათობს,
ფოთლები ნორჩი, გამჭვირვალე მზერას კვლავ ართობს,

ასე პატარძალს, თუმცა ხალხის კვლავ ერიდება,
თეთრ სამოსელში თავი მოსწონს და ირინდება.

ო, არასოდეს, არასოდეს, ღამევ გრძნეულო,
შენ არ ყოფილხარ ასე მჩატე და უსხეულო.

ვმღერი, მოვდივარ, რას დავეძებ, ნეტა რას ველი?
ო, ეს სიმღერა იქნებ არის უკანასკნელი.

* * *

ო, კიდევ დიდხანს იციმციმებს
ცაზე ვესპერი,
თუმცა აბრწყინდა ცვალებადი სახე ქალწულის...

იკლაკნებიან ღამის ცვარზე
ვერცხლის სხივები
და უკუნეთში ათრთოლებული
ვარსკვლავეთი ელოდება შორეულ ღრუბელს.

აგე, დაიძრა შორი ღრუბელი
და მსუბუქ ნიავს მიჰყვა მორჩილად,
ღამის ქალღმერთი წარიტაცა
და წყვდიადმა უნეტარესმა
შთანთქა ყოველი.

* * *

როგორ მომბეზრდა ეს ლაყბობა,
ამაო და დაუსრულები:
რაა მაღალი, ანდა რაა მშვენიერება...
მე მივატოვებ მოსაწყენ ხალხს და მეგობარო,
სასაუბროდ ვისწრაფი შენკენ.

ვიცი, შენს ჭკვიან, გიშრის თვალებში
უფრო მეტია მშვენიერება,
ვიდრე მილიონ ფოლიანტში.
ვიცი, ნეტარ სიცოცხლეს ვსვამ
მაგ ვარდისფერი ბაგეებიდან.

ტურფა ყვავილის ნექტარს ჰპოვებს
მხოლოდ ფუტკარი,
მშვენიერების ნაკვალევს გრძნობს
მხოლოდ მხატვარი.

* * *

წვიმს, მიხარია –
დაინისლა ლბილი მინდორი,
ფოთოლს სიმწვანე მოემატა
და ჰაერი გამჭვირვალეა,
გამოიტყუებს სკებიდან ფუტკრებს
სურნელება ყვავილებისა,
წვიმს, მიხარია, შხაპუნა წვიმა
რწყავს შემოგარენს.
ვით გიბრწყინავენ სველი თმები
მშვენიერ შუბლთან,
ხელები ისე გაგყინვია,
არ შემიძლია, ბაგეებით რომ არ გაგითბო.

უძილო ღამით, ო, მაღალო იუპიტერო,
მირჩევნია მივაყურადო ვირთხებისა და თაგვების
წრიპინს
ან ფანჯარასთან მძიმე ბორბლების დგანდგარს ვუსმინო,
ვიდრე ამ წვეთებს, უთავბოლოდ რომ წკრიალებენ, –
თითქოს თუნუქის სახურავზე
დაწყევლილი ფრინველები ბასრი კლანჭებით
და ნისკარტებით აკაკუნებენ.

იუპიტერო, შემიწყალე!
ზარდე ყვავილნი მშვენიერნი,
ახარე დაფნა შესამკობად ყმაწვილ პოეტის,
ო, შემიწყალე,
დაეხსენი ღამღამობით სახურავს ჩემსას.

* * *

სული – კუნაპეტ ღამის მნახველი –
უფრო მძიმდება ძველი ნაღველით
და ჩაბნელებულ, მდუმარე სახლთან,
სადაც ლანდების სიჩუმე დამხვდა,
სული წალეკა თითქოს სრულებით
მღელვარე ტალღამ თავისუფლების.

დღე უფრო მიყვარს სხივთა მქსოველი,
როს სინათლეში ბრწყინავს ყოველი,
მიყვარს ბალახის აბიბინება,
დრო თავისთვის რომ მიედინება,
როს ათრთოლებულ სულს ეუფლება
დაუსაბამო თავისუფლება.
„ეს, მე ვარ“, – მინდა შევძახო უმალ,
მაგრამ რატომღაც ვჩერდები, ვდუმვარ.

* * *

გესმის თუ არა ფრინველთა ხმობა?
თბილ ქვეყნებისკენ მიფარფატებს სამკუთხედი
წეროებისა,
კვლავ შრიალებენ ფოთლები მჭკნარი
და არყნარში უსტვენს წიწკანა.
შენ ჩამჩურჩულებ:
გაზაფხული კვლავ მობრძანდება...
ო, მეგობარო, შევძლებ განა, დაველოდო
იმ ნეტარებას, მომავალში ორივეს რომ დაგვეუფლება?!
ოდეს სარკეში შენს ორეულს,
ბავშვურ ღიმილს ათვალიერებ
და მომხიბვლელ გვირგვინს ისწორებ –
მომეცი ნება,
მივეფერო შენს ლამაზ ნაკვთებს.
მდუმარე ბაღში, გულისსწორო,
ჩემს გიზგიზა კოცონთან გელი.

* * *

ო, როგორ მიყვარს სიბნელეში სარკმელთან დგომა,
ოდეს მნათობი ცის სიღრმიდან გამოანათებს
და ბნელ კედელზე, იატაკზე სარკმლის კვადრატებს
ხატავს სხივებით,
ხოლო იქ, ბაღში, იასამნის და ცაცხვების მრუმე
რტოებში
ისევ ციმციმებს, იჟონება ოქროსფერი, მჩატე ისრები
და დაბლა, მიწას ესხურება სინათლის წვიმა.

ოდეს ფოთოლი ერთადერთი
მთვარის მკრთალ სხივს აეფარება, ივსება შუქით
და მისი ჩრდილი ცახცახებს იქვე –
წამოვიძახებ უნებლიეთ:
ნეტარია, ბედნიერი და უსასრულო,
ვინც ყოვლისშემძლე ბედით – დიანა,
ეზიარა შენს საიდუმლოს.

მწვერვალი

ღრუბლებზე მაღლა და მთებზე მაღლა
დგახარ ამაყად, სივრცეებს ზვერავ,
ლაჟვარდებისკენ იზიდავ ახლაც,
აღაპყრობინებ მოკვდავებს მზერას.

ვერცხლისფერ თოვლის, ყინულის ფარდა,
უნათლეს შექზე უფრო ინთება
და ეგ გვირგვინი უმაღლეს ზღვართან
უფრო მაღლდება, ცად იზიდება.

შენთან ვერ აღწევს ტყეთა სურნელი,
ამქვეყნიური ყოფა და ვნება,
და შენს კედლებთან თეთრი ღრუბელი
თითქოს საკმევლის კვამლივით ქრება.

* * *

მთვლემარე ტბასთან, ლერწმიანში აფრინდა გედი,
ტბის სარკეებში მოლივლივე ტყე იმზირება,
შორს, მწვერვალებთან განათებულ სივრცეებს ერთვის
და ორ ცას შუა იკარგება და იძირება.

სუფთა ჰაერით დაღლილი მკერდი
სუნთქავდა შვებით და ისვენებდა
და საღამოხანს მოჩანდა კენტი –
გზა ვარდისფერი, მაღალ ხეებთან.

მიირწეოდა მსუბუქად ნავი...
მერე იდუმალ დინებას გაჰყვა,
წყნარი ტალღების მჩატე ნანავი
ისე გვირწევდა ნავს, როგორც აკვანს.

საჭეს მართავდი ბავშვური ხელით
და მიცურავდა ნავი მძინარე
იქით, სადაც ტბას ხმაურით, ღელვით
უერთდებოდა ჩქარი მდინარე.

ისხდნენ ვარსკვლავნი ღამეულ ცაზე,
აწ აღარ მახსოვს ნეტარი წამი,
რას ჩურჩულებდა ალამი ნავზე,
საით მივყავდით დინებას ღამის.

* * *

გადაიზარდა ჩრდილებში ჩრდილი,
საღამო მოდის ბნელი ამალით
და უკანასკნელს ანათებს ბილიკს
დღე მიმავალი.

ის, რაც ანთებდა სიცოცხლის წადილს,
მთის გაღმა დარჩა,
ბჟუტავს მნათობის ფერმკრთალი ლანდი,
ქსოვს ღამის ფარჩას.

ვით მოგონებას, შევყურებ მნათობს
დაღლილ თვალებით,
გაქრა ტყე, წყაროს შუქი არ აკრთობს,
გაუჩინარდნენ მთის მწვერვალები.

მიცურავს ცაზე მთვარე ეული,
მიცურავს ზანტად,
ცა მოყვავილე და ღამეული
ვარსკვლავებს ფანტავს.

ა. ლ. ბრუესკაიას

კვლავ გაზაფხულდა, არყის ხეები
და ტირიფები იწყებენ შრიალს,
კვლავ გაზაფხულდა და მახსენდები,
მოგონებები ყვავილებს შლიან.

ო, გაზაფხული გადამელობა,
იმედის შუქი გაკრთა თვალებში,
დაე, ეძინოს ძვირფას მეგობარს,
მშვიდად ეძინოს თბილ სამარეში.

ის ჩამჩურჩულებს: „ისევ მაოცებ,
ვერ უმკურნალებ ორ სნეულს ერთად".
ოდეს შეივლი სასაფლაოზე,
ყვავილით ხელში მიგულე შენთან.

ვერ დავაბრუნებთ დროს გარდასულს,
წლები გადიან,
თუმც მომავალი მაინც არის ჩვენი დილემა,
მოჩანს სიკვდილი და სიცოცხლე მაინც მწადია,
სიტყვა – სიცოცხლე თუმცა ნიშნავს დამორჩილებას.

ა. ლ. ბრჟესკაიას

ო, მეგობარო, შენ მაპატიე,
ისევ თუ მახრჩობს ცრემლთა ზვირთები,
შენზე ფიქრებში ღამე ვათიე,
ისევ გიგონებ და გიფრთხილდები.

თუ იტყვის მხოლოდ ჭკვამხიარული,
რომ არ შეგვეძლო სიცოცხლე თითქოს,
არ ათრთოლებდა სულს სიყვარული,
მშვენიერება, სიკეთე, სითბო.

ნუთუ განსრულდა? სული კვლავ იწვის,
ტანჯავს სურვილი ცის მოფერების.
არვინ მპასუხობს, ხმა აღარ ისმის,
მეორდებიან და ქრებიან შორი ბგერები.

მხოლოდ შენ ერთი დაღლილ გონებას
მოაწვდენ ძახილს შორს და ღელვიანს,
დაეუფლება გულს შთაგონება...
განვედ, სიზმარო, ამ სიზმარში ბევრი ცრემლია.

ეს გარდასული წლები კი არა,
მე მენანება ის შუქი, ვნება,
სამყაროში რომ გაიწკრიალა
და სიბნელეში ტირილით ქრება.

Alter ego[1]

თქვენთან მოვდივარ, ახლოვდება საღამო გრილი,
მივალ, მივყვები ქარვისფერ ბილიკს.
შორს ცა ანთია. ვით სამოთხის ლურჯი კუნძული,
გამოჩნდა მიწა სიბნელიდან ამობურცული.
ფეთქავს საღამო, სად იწყება მისი სათავე?
გრილი ნიავი ოდნავ არწევს მწიფე თავთავებს.
შორს აღარ წავალ, მდინარესთან გზა რომ უხვევდა,
მე შემიძლია მთელი ღამე ვიჯდე მუხებთან,
ვუმზირო გზებს და მყუდრო საღამოს,
ვიგრძნო, იმედი ყმაწვილურ სულს დაუსაბამოს
ისევ რომ ავსებს. ვით ეს სოფელი,
ვიყო ნიადაგ გარინდული და კმაყოფილი
ჩემი მიზნებით და ჩემი ხვედრით.
აგე, ერთგული, ჭკვიანი ძაღლი დაცუცქდა გვერდით,
მიაყურადა სიბნელეს და უეცარ მზერით
აღმოაჩინა, – ბალახებში მიცოცავს მწერი.
თითქოს მომესმა, მომეჩვენა – მძიმე და ზანტი
შორით ირწევა და ხმიანებს უსახო ლანდი.
მივაყურადე, გავარჩიე ღამეულ ხმაში
აუჩქარები ნაბიჯის ხმა ნაცნობი რაშის.

1 მეორე მე (ლათ.)

გაზაფხული სამხრეთში

მძიმე ღრუბლებს, შემოგარენს
ღამით სხივებს აქსოვს მთვარე,
დღისით ბრწყინავს იანვრის მზე
და ჩემს ფანჯრებს აელვარებს.

და გაფოთლილ იასამანს
დასტყობია ზამთრის სითბო,
ვზივარ ჩემთვის მოთენთილი
და არაფერს ვდარდობ თითქოს.

მღერის ველი, მღერის გული,
სისხლი ჩქამობს სიხარულით
და ვიჯერებ უნებლიეთ
ხიბლს უეცარ სიყვარულის.

რაზე ვფიქრობ, რაზე ვდარდობ,
რად შევცქერი მზიან თავანს?!
გული მიგრძნობს: ჩამოაჭკნობს
ღამის ყინვა იასამანს.

* * *

მივემგზავრები, სიჩუმეს ერთვის
ჩვეულებრივი სიტყვა – მშვიდობით,
არ ვიცი, საით წამიყვანს ბედი,
ჩემი სევდით და უამინდობით.

ვდუმვარ, სავსეა სული კაეშნით,
შენი სიმკაცრით ვიყავ დაღლილი,
თუმც შეიძლება, უცხო მხარეში
მე გავიგონო შენი ძახილი.

ასე ყარიბი, უკაცურ ველზე
ოდეს გასცდება მორიგ მოსახვევს,
მიმოიხედავს, ამაოდ ეძებს
და მაინც ეძებს მგზავრს ან მოსახლეს.

უკვე დაბინდდა და შავ კედელთან
იწევს ღრუბელი მძიმედ დახრილი,
შორს, მთის ბილიკთან მწირი შეჩერდა,
დამშვიდობების ესმა ძახილი.

ვლადიმირ სოლოვიოვი

შესანიშნავი ფილოსოფოსისა და პოეტის – ვლადიმირ სოლოვიოვის ლექსთა პირველი წიგნი 1891 წელს გამოვიდა მოსკოვში. ბოლო გამოცემა (ვ.სოლოვიოვი, ლექსები და სახუმარო პიესები, „სოვეტსკი პისატელ“, ლენინგრადის განყოფილება. 1974 წ.) ითვალისწინებს ყველა წინარე გამოცემას, სადაც უფრო სრულადაა წარმოდგენილი მისი პოეტური შემოქმედება.

ვლადიმირ სოლოვიოვი (1853-1900) უფრო ცნობილია, როგორც ფილოსოფოსი, მაგრამ, ამასთანავე, ფრიად ორიგინალური და თავისებური პოეტია, რომელიც ჟუკოვსკის, ტიუტჩევის და ფეტის შემოქმედებით ტრადიციებზე აღიზარდა. ვლადიმირ სოლოვიოვმა დაიმკვიდრა თავისი პოეტური სტილი და როგორც ფილოსოფოსმა და პოეტმა უდიდესი ზეგავლენა მოახდინა მეცხრამეტე საუკუნის ბოლო მეოთხედისა და მეოცე საუკუნის დასაწყისში მოღვაწე რუსი ინტელიგენციის მსოფლმხედველობაზე. „უმცროსი სიმბოლისტები“, განსაკუთრებით კი ანდრეი ბელი, ალექსანდრე ბლოკი, ვიაჩესლავ ივანოვი თავს „სოლოვიოვისტებს“ უწოდებდნენ და ამით ამაყობდნენ კიდეც.

ვლადიმერ სოლოვიოვის საპროგრამო ლექსი „პანმონგოლიზმი“ თავისებურად დაუპირისპირდა

გვიანდელი სლავიანოფილების მოსაზრებას: – „მოსკოვი მესამე რომია!“ „პანმონგოლიზმში“ გამოკვეთილი მოსაზრებით სოლოვიოვი იზიარებს ტიუტჩევის ცნობილ პოზიციას, რომ მხოლოდ სიყვარული და რწმენა, ძალადობის უარყოფა უნდა იყოს რუსეთის მისია...

პრომეთეს

როცა ნათელში სული შენი იხილავს ერთად
ტყუილს და მართალს, კეთილს და ბოროტს
და შეიყვარებს ერთიანად სამყაროს ფეთქვას, –
აწმყოს და წარსულს, საწყისს და ბოლოს,

როცა დათმენის ნეტარებას იგრძნობს ფრთაგაშლილს, –
როცა გონება იგრძნობს ბოლომდე,
რომ მხოლოდ ბავშვურ წარმოსახვაში
ცოცხლობს სიცრუე და სიბოროტე, –

დადგება ჟამი – შემოქმედი სულის დამტევი
და შენი შუქის სხივი ეული
სამყაროსეულ ნისლებს განდევნის,
სხივი – მიწიერ სიზმრებს ჩვეული.

გაქრება ზღუდე და გალღვება ბორკილი ცივი
და გაიგონებ ღვთაებრივი გუნდის გალობას,
როცა ყველაფერს გაანათებს მარადი სხივი
და შეერევა ყოველივეს და მთლიანობას.

ალპებში

უსიტყვო აზრებს, გრძნობათა წყურვილს
გულში მთრთოლვარე დინება ახლავს.
ძლივს მოციმციმე იმედს და სურვილს
გადაუარა ცისფერმა ტალღამ.

ცისფერი მთები მაღლდება ირგვლივ,
შორს ცისფერი ზღვა ნისლებში მიწვა,
მოშორდა სული მიწიერ გვირგვინს
და სული მაინც ვერ ტოვებს მიწას.

იმედის ნაპირს, სასურველ ნაპირს
თითქოს მივყვები მაღლა და მაღლა,
უსიტყვო აზრის, გრძნობების მძაფრის,
მოემართება ცისფერი ტალღა.

* * *

საბედისწერო დასასრული სიყვარულისა –
დარდი კი არა, წამებაა თავგანწირულის,
მაგრამ ნელდება მწუხარება დაჭრილ გულისა,
სამოთხის კართან შუქი ნათობს გაზაფხულისა –
მარადიულში მოკიაფე და ჩაძირული.

* * *

ყარიბო მგზავრო, ჩამოვსხდეთ ერთად,
თვალთ გიბნელდება, კრთება თავანი,
სული მოითქვი, შემოდი ჩემთან,
ბინდდება, ჩადის მზე ჩამავალი.

საიდან მოხველ ან საით მიხვალ –
არ გეკითხები, არაფერს გერჩი,
მე გიპასუხებ, სახელს თუ მკითხავ
და სასოებით ჩაგიკრავ მკერდში.

დრო და სიკვდილი არ აკლებს ზრუნვას
ხალხს, და ქვეყანას ანგრევს ღალატი,
ყველაფერს შთანთქავს წყვდიადის ბრუნვა,
სიყვარულია მხოლოდ მარადი.

* * *

გავიდა წელი, დაგტოვე დღეთა
მტანჯველ სრბოლაში, ცრემლი მერევა
და მეჩვენება, რომ შენთან ერთად
მე დამეკარგა ბედნიერება.

გავიდა წელი, გული ღონდება,
ლანდი ხარ შორი და განძარცვული,
და მხოლოდ წამით თუ მაგონდება
ჩანაცრებული, ტკბილი წარსული.

* * *

მოჩანს სასახლე დარბაზოვანი,
ოქროს შვიდ ბოძზე მდგარი გრანიტი,
ამკობს დედოფალს შვიდკუთხოვანი
გვირგვინი მბრწყინავ თვალმარგალიტით.

ჩემი დედოფლის ბაღებს შეფოთლილს
შვენის ვარდები და ზამბახები,
წყარო ირეკლავს სახეს დედოფლის
და ეფერება თვალებს გახელილს.

მას კი არ ესმის წყაროს სიმღერა,
არც ყვავილები ართობს დედოფალს,
თვალებში სევდა ამოიღერა,
თვალცრემლიანი გლოვობს მეგობარს.

უმზერს ჩრდილოეთს და ენანება,
როს გათოშილი და შეპყრობილი
ებრძვის უკუნეთს, ბოროტ ზმანებას
და იღუპება მისი ძმობილი.

მოისვრის გვირგვინს, მიდის, შორდება,
მიდის და ტოვებს ოქროს პალატას,
მიუკაკუნებს მოულოდნელად
მეგობარს ცთომილს და მოღალატეს.

იგი მოუვლენს ტანჯულის ზამთარს
აპრილის ნიავს, შორით მონაბერს,
გაცისკროვნდება უმშვიდეს თვალთა
არამქვეყნიურ ნათელს მოაფენს.

დამხობილია ბნელი ძალები,
თანდათანობით იწვის ცდუნება
და სიყვარულით სავსე თვალებით
მეგობარს თვისას ეჩურჩულება:

„გატეხე ფიცი, ფიცი მარადი
და სათნოება გარდაიცვალა.
ო, მეგობარო, შენი ღალატით
ეს გული მაინც არ შეიცვალა“.

* * *

ეს სიცოცხლე თამაშია ლანდების,
ლანდებივით გზას მივყვებით ეკლიანს,
ეს სიცოცხლე შორეული სანთლების
წმინდა დღეთა მკრთალი ანარეკლია.

ო, თანდათან მქრქალდებიან ლანდები,
იკარგება ადრეული მშვენება,
ზმანება კი ისევ გაიფანტება,
არასოდეს აღარ მომეჩვენება.

გამთენიის ნაცრისფერი ბინდია –
დედამიწის ბუნდოვანი მანდილი,
გულში წმინდა ჟრუანტელი მინთია,
აღსრულდება ნუთუ გულის წადილი.

შეისმინე მარადისის ძახილი,
დაიჯერე, გაქრებიან ლანდები,
მარადი დღე ახლოვდება ახალი,
ლანდებივით მკრთალდებიან დარდები.

* * *

მშვენიერება ზეციური ზღვაში ინათებს,
აირეკლება ზღვაში ზეცის მშვენიერება
და ვნებათაგან თავისუფალ სულის სინათლეც
ავლენს სიკეთეს მარადიულს და გვეფერება.

ფსკერს არ აფიქრებს ზღვის სიწყნარე ან ვის უხმობენ
ტალღები, როცა სანაპიროს ენარცხებიან,
ასეა სულიც უდრტვინველი, სიმშვიდეს ჰპოვებს,
ის უცვლელია, არ აჰყვება სურვილს ვნებიანს.

თავისუფლებას ტყვეობა ცვლის, სიმშვიდეს – ღელვა,
მიდი-მოდიან, ბრუნდებიან, ქრება, ინთება...
ის კი ერთია და სტიქიურ სწრაფვაში ელავს
და მარტოოდენ სტიქიაში იგი ვლინდება.

* * *

იქ, სიშორეში, გიხსენებ ჯერაც,
იქ – საუფლოში მისტიურ ლანდთა, –
სად ვერ აღწევდა მოკვდავთა მზერა,
სადაც არც ცრემლი, არც ლხენა ჩანდა.

ჩემო ქალღმერთო, იქ სულ პირველად
მე დაგინახე ნისლიან ღამით,
მე ვიყავ ბავშვი გასაკვირველი,
საკვირველ სიზმარს ვუმზერდი წამით.

გამომეცხადა შენი ხატება,
შეწუხებულმა რაღაცა მითხარ,
ბავშვური ხილვა და მოლანდება
მხოლოდ ოცნება მეგონა დიდხანს.

მაგრამ, როდესაც მოხველ, ცისმარო,
და მომეახლე, მე მივხვდი მაშინ,
რომ შენ არსებობ, არ ხარ სიზმარი,
არ ხარ ზმანება უცნაურ ბავშვის.

უცხო მხარეში, – ვიგონებ დღესაც, –
ოდეს გიხილე ხატი ციური,
მსუბუქად მოსწყდა ბაგეებს შენსას
სიტყვა საამო და მშობლიური.

მშობლიური ხმის თბილი დინება
შენს ლაჟვარდისფერ თვალებში ენთო,
მშობლიური ხმის ამობრწყინება
შენ გამაგონე, შენ, ერთადერთო.

და ყველაფერი, რითაც ვარსებობ,
რასაც გული და გონი მივანდე,
რაც აგრერიგად მეძვირფასება,
შენ შემოგწირე და გიწილადე.

„მე“ – უმკაცრესი როგორც სიკვდილი,
ცახცახებს შიშით, წყვდიადს ბარდება,
გიხილა შორით და ფერმიხდილი
მიდის, უჩუმრად მიემართება.

ის უნდა მოკვდეს, სადღაც გზაწვრილზე
ჩაიჩეხება მხდალი მხედარი,
მე ვარ ქურუმიც და შესაწირიც,
გაწამებული, მაგრამ ნეტარი.

* * *

თუმცა ჯაჭვებით უხილავით, მარადიულით,
არამქვეყნიურ ნაპირებთან ჩვენ ვართ მიბმული
და მაინც უნდა გავიაროთ ის წრე ღვთიური,
რაც ზენაარმა დაგვისაზღვრა და რაც იბრუნვის.

ყოველმან, ვინც კი ეთანხმება უმაღლეს ნებას,
თავისი ნებით ნება სხვისა კვლავ აღასრულოს,
რადგან ანათებს უსხეულო უბიწოებას
უფლის ნათელი მარადისი და უსასრულო.

* * *

უცხო ქვეყანა, მეტად უცხო მოჩანს ხედები.
ვერ აღვუდგები ბედისწერას ბავშვურ დარდებით,
სიუცხოვეში მარტოსული დავეხეტები,
მიმყვება სევდა მშობლიური ცის ლაჟვარდების.

ჩემი ვარსკვლავი ბრწყინავს სადღაც, სრულიად მარტო,
ზღაპრულ მხარეში შემიტყუებს მისი ციმციმი,
ზღაპრული მხარე შორია და უმისამართო,
მასევდიანებს, გზას მიბინდავს, აღარ მიცინის.

მიაყურადე უკანასკნელ სუნთქვას და განცდას
და უკანასკნელ წვას და სურვილს სულის სნეულის:
ო, რომ შემეძლოს ამ უმწარეს ტანჯვათა ნაცვლად,
რაც მიწერია და რომელსაც ვარ შეჩვეული,

შენ შემოგწირო ამ დარჩენილ დღეთა ნათება
და ყვავილები მხოლოდ შენთვის იხასხასებენ,
თავისუფლება შუქნათელი აღიმართება
და ამქვეყნიურ ზრუნვისაგან სულს მოასვენებ,

რომ გაურბოდნენ გაცისკრებას შავი ლანდები,
რაკი მოგბეზრდა ზმანებანი, მოდი, დევნილო,
სამყაროსეულ დღესასწაულს ღამენათევი,
ყველაზე წმიდა და ნათელი რომ მოევლინო.

* * *

თვალი შეავლე, რა ვრცელია, რარიგად შორი,
გამჭვირვალეა საღამოს ცა, განა მრუმეა,
ო, რა წამია სინათლეს და სიბნელეს შორის,[1]
ო, რა წმინდაა, რა სიჩუმეა.

მიაყურადე, – მდუმარება რომ ითენთება,
ხომ გეჩვენება, სოფელს აღარ გაეღვიძება,
რომ არასოდეს არ გათენდება,
რომ მარადისი ღამე იწყება.

1 სტრიქონი ციტირებულია ა.კ. ტოლსტოის ლექსიდან

ნანუვეტი

რად გსურს ტრფიალი ან მოფერება,
როცა გინთია წმინდა ლამპარი,
როცა სამყაროს სრული მშვენება
შემოდის სულში, როგორც ზღაპარი.

როს ამა სოფლის გზებზე სიზმარი
ცისფერ ბურუსში არხევს წამწამებს,
მიღწეულია როცა მიზანი,
როს გამარჯვება ომს მოასწავებს.

როს ვერცხლის ძაფით გულისწადილი
ერთვის სიზმარს და დარდს, ზეციერო,
პირველყოფილი წვა და ქადილი
შენ დამიბრუნე, ღმერთო, ძლიერო.

* * *

მიდიხარ, გული დარდით ავსილი
აღარ ძგერს ნდომით, აღარც ვედრებით:
სიცრუით, ტანჯვით, მწარე წარსულით
და სიმძიმილით თვალებდავსილი
ბედს დაგმობს მდურვით და დაყვედრებით.

ვით მწყურვალ სტეპზე, ქვიშათა შორის,
იელვებს უცებ კუბოთა რიგი,
ასე ხსოვნაში ცივი და შორი
ჩამქრალ ტრფიალის გაკრთება ბოლი
უთქმელ გრძნობათა, სიტყვათა იქით.

და თუ ოდესმე დამარხულ ტრფობას
გამოაღვიძებს შენი ძახილი,
ო, რა ამაო იქნება ხმობა,
ცივ უდაბნოში ეულად ჭკნობა,
პასუხი მკრთალი და გადაღლილი.

* * *

უცხო ქარიშხლის სულში შობილნი –
გაქრნენ ხილვანი უასაკონი,
როს იდუმალი, წმიდა დობილის
ხმა შემომესმა ძლივსგასაგონი.

და სული ჩემი, როგორც არწივი
ჯაჭვით დაბმული, ტანჯვამ დაფლითა,
შეკრთა ტკივილის მძაფრი ქარ-წვიმით,
გაწყვიტა ბადე, ცაში აფრინდა.

აფრინდა მაღლა, ასცდა მწვერვალებს,
შეეხო სხივებს მარად მდინართა,
სადაც სიწმინდე მუდამ ელვარებს –
წამით გაკრთა და გაუჩინარდა.

* * *

უფრთებო სული მიწის ტყვეა, მიწამ შერისხა,
დაემორჩილა იგი მიწას და ცრუ დროებას,
მხოლოდ სიზმარი მერე, უცებ, კვლავ ფრთებს შეისხამს,
მაღლა მიიწევს, ტოვებს მიწას, ამაოებას.

გაურკვეველი და ნაცნობი სხივის ნათება,
ხმა ზეციური გალობისა ძლივსგასაგონი,
ჩაუქრობელი კვლავაც თვალწინ აღიმართება,
დაუსაბამო სივრცეების ზოდიაქოთი.

მხოლოდ სიზმარი, მერე მძიმე გამოღვიძება, –
დაელოდები ტანჯვითა და ფიქრით დაღლილი,
არამქვეყნიურ სახილველთა ამობრწყინებას,
რომ გაიგონო წმიდა ხმათა გამოძახილი.

ა.ა. ფეტს, 19 ოქტომბერი, 1884 წ.

ეხება ფრთებით გაფრენილი გედების გუნდი
დროის და სივრცის ორ ნაპირს და ზეცა იმღვრევა,
შენ შეიგრძენი ამ შეხების დიადი წუთი
და გარდასულთა წმინდა სიმღერა.

შემოიტყუა ტკბილხმოვანმა შენმა გენიამ
სხვათა ღმერთები ჩვენს ნაპირებთან,
გამოკრთა სხივი, ამწვანებულ ველს რომ ჰფენია,
გაალღო თოვლი, გალღობას რომ არ აპირებდა.

შენს ნამღერალზე აღმოცენდა სტეპებზე დაფნა,
შენი სიმღერა შეიმოსა მწვანე დაფნითა,
და მშობლიური პოეზიის არწივი – აფრა,[1]
მოსწყდა უხილავ სივრცეებს და შენთან დაფრინდა.

1 არწივი – იგულისხმება პუშკინი. 1884 წელს ფეტს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის პუშკინის სახელობის სრული პრემია მიენიჭა ჰორაციუსისა და გოეთეს ლექსების თარგმნისათვის.

* * *

მოჩვენებათა კრებულებით დაუსაბამოდ
გარშემორტყმული, შებოჭილი უეცრად ვკრთები,
ავი სიზმარი, კურთხეულ ლანდს ვეძებ ამაოდ,
მე რომ შემეხო მსუბუქი ფრთებით.

საკმარისია, დავმორჩილდე ეჭვების წადილს,
დარდი და შიში გულში ჩამიკრავს
და ისევ მესმის ფრთების ქროლვა უხილავ ლანდის,
მისი სიტყვები ჯერ არ ჩამიქრა.

ავი სიზმარი... მოჩვენება, მერე რამდენი!
ვის ვებრალები, მოიმედე არ ვარ შენდობის,
და ძლივსღა ისმის შორეული ხმა მოლანდების:
„გწამდეს, გიყვარდეს და წამიერს ნუ მიენდობი“.

* * *

მე ვიყავ მაღლა, ქვევით კი ჩანდა
ბრბო შეგროვილი, შეყრილი ერთად,
არავინ იყო ცაში ჩემ გარდა,
მე ვიყავ მაღლა, მე ვიყავ ღმერთთან.

სად გაქრნენ მთები, ამაოდ ვეძებ,
სად გაქრა სივრცე მარად მზიანი,
ვწევარ მარტოკა დანამულ ველზე,
დარდიანი და თვალცრემლიანი.

ვწევარ, თვალებში შუქი მიქრება,
გადამივლიდეს ნეტა მავანი,
რომ გადამთელოს დაუფიქრებლად
ჩემი სიმაღლით და სითამამით.

მოგილოცავ ახალ წელს

ამ ახალ წელს სულ ახალი საფლავები ხვდებიან,
სამწუხაროდ, ახალ ბინას თავს ვერავინ დააღწევს,
დააკვდება ბაგეს სიტყვა, სურვილები ქრებიან,
ეჰ, საბრალო მეგობარო, მოგილოცავ ახალ წელს.

ბედისწერამ თუ ჩვენივე სიძაბუნემ ტიალმა
მოაფარა სიყვარულს ბოროტ ვნების ფარჩები,
მადლობელნი უნდა ვიყოთ, დაცლილია ფიალა,
მარად თავისუფალნი, მარად ასე დავრჩებით.

რომ უარვყო სიძაბუნის ჩაბჟუტული კვარი –
დრო, დრო მინდა, დრო მომეცი, გვედრი!
ოღონდ სულში არ მიმზერდეს, ვით ცოცხალი მკვდარი –
ეს აჩრდილი – აუხდენელ, მიუღწეველ ხვედრის.

* * *

თუ სურვილები გაგვირბიან, როგორც ლანდები,
და თუკი აღთქმა ცარიელი სიტყვის დარია,
არ ღირს სიცოცხლე ამ წყვდიადში, ფუჭი დარდები,
არ ღირს სიცოცხლე თუ სიმართლე მართლაც მკვდარია.

მარადისობა რას მიაგებს უაზრო წადილს,
მარადისობა რად სჭირდება ტყუილს საამოს,
სიცოცხლე ჰქვია ზენაარის სიცოცხლეს ნამდვილს,
უკიდეგანოს, უსასრულოს, დაუსაბამოს.

ბავშვური ფიქრი სიზმარეულ გზისკენ მიმათრევს,
უკან ვბრუნდები ზენაარის ბრძნული ნებითა,
ჩვენი სიცოცხლე გმირობაა, ხოლო სიმართლე
ანათებს მუდამ ჩაფერფლილი კუბოებიდან.

პანმონგოლიზმი

მძვინვარე სიტყვა – პანმონგოლიზმი
სმენას რატომღაც ესალბუნება,
რაღაც დიადი თითქოს მოისმის,
უფლის ნებით რომ შექმნა ბუნებამ.

ბიზანტია რომ დაფარა თალხმა,
საკურთხეველი გაცივდა ღვთისა,
როცა მესია უარყო ხალხმა,
ურწმუნოება მოედო ნისლად,

მაშინ აშალა აღმოსავლეთით
ხალხი უცხო და უცნობი ჯიშის
და ბედისწერამ რომი დაფლითა,
მეორე რომი დაემხო შიშით.

არ გვსურს ვიტვირთოთ ძველი ცოდვები
ბიზანტიური ნგრევის და ომის,
თუმც მლიქვნელები კვლავ გვიწოდებენ: –
რუსეთო, შენ ხარ მესამე რომი!

დაე, აღსრულდეს, რადგან ღვთის რისხვას
არ აქვს საწყისი და დასასრული,
ვხედავ, აპირებს ახალ სისხლისღვრას
ჯოგი უცნობი და თავგასული.

ალთაის მთებით, მალაის წყლებთან
აღმოსავლეთის ტომთა ბელადნი
კრებენ ჩინეთის დახრილ კედელთან
ჯარებს, აღჭურვილს ფეხით ყელამდი.

კალიებივით აურაცხელი,
გაუმაძღარი რბევით, ომებით,
არამქვეყნიურ ძალის მნახველი –
ჩრდილოეთისკენ დიან ტომები.

რუსეთო, გაქრა ძველი ედემი,
არწივი ვეღარ აღიმართება
და შენი დროშის მონაფლეთები
დღეს ყვითელ ბავშვებს მისცეს სათრევად.

ვინ იფიქრებდა, დაქანცულს ომით
გნახავდი შთენილს საწყალ ფიქრებთან,
ჩაფერფლილია მესამე რომი,
ხოლო მეოთხე აღარ იქნება.

* * *

მე შეგიყვარე, შეგიყვარე, ო, უნაზესო,
დღეს სულერთია, მზე დაგვყურებს თუ ავდარია,
უნდა მოვიდე და თვალებით მოგეალერსო,
თუმცა ამ სულში სიბნელეა და სიმწარეა.

ხომ არ მატყუებ მოალერსე თვალთა მუდარით,[1]
ნუთუ შენც წახვალ, თვალი ცრემლით უნდა ამივსო?!
ო, მშვენიერო, შენ ხარ ჩემი ნავთსაყუდარი –
უმშვიდესი და სამარადისო.

შენ შემიყვარე, შემიყვარე, ო, უნაზესო,
დღეს სულ ერთია, მზე დაგვყურებს თუ ავდარია,
დე, შენმა მზერამ, უნათლესმა და მოალერსემ,
გაჰფანტოს სულში რაც დარდია და სიმწარეა.

1 ლექსი ეძღვნება ფინეთში მდებარე ტბას – საიმა

შობის ღამე

ეძღვნება ვ. ლ. ველიჩკოს

საუკუნეთა სიბოროტით შეგინებული,
ცილისწამებით დაღდასმული იყოს ყოველი,
განკითხვის ჟამი ელის ყველას და ღირსეულად
მოავლენს რისხვას მარადისად ჩაუქრობელი.

ყოვლისმხილველი მოგვევლინა განა ამაოდ,
განა ამაოდ გავიგონეთ ხმა იდუმალი,
შეეხო მიწას ლაჟვარდები დაუსაბამო,
გადიხსნა კარი პალატათა თავისუფალი.

კაცობრიობის თვალშეუღწევ ცნობიერებას
კვლავ ასაზრდოვებს ჭეშმარიტის წყარო ანკარა,
მას მზვაობართა სილაღენი ვერ მოერევა,
ქვეყნიერება მგლოვიარე ხმებმა დაფარა.

იშვა ნათელი და ნათელი უარყო ბნელმა,
კეთილს და ბოროტს კვლავ გამიჯნავს ბნელში ნათელი,
რაც დაანგრია, შეურაცხყო ავსულის ხელმა,
იგი აღადგენს, – ეშმაკეულს იგი განდევნის.

წასულებს

მყისვე, როგორც კი
ამქვეყნიურ დარდს გავექცევი,
თქვენ, გარდაცვლილო მეგობრებო,
თქვენ მაგონდებით,
და დროს გარდასულს,
როგორც სიზმარს ისე შევცქერი,
თქვენ კი მოდიხართ უფრო ახლოს,
უფრო გროვდებით.

დღე იფერფლება
და ბინდბუნდში ქრება ნათელი,
ტკბილ-მწარე დარდით, უწმინდესო,
სული მევსება,
მარადიული გაზაფხული,
ვით ჟრუანტელი,
მოედო ჰაერს, ვარსკვლავებით ცა იკვესება.

მე ვიცი, ვიცი,
რომ ზეციდან თქვენ იხედებით,
თქვენ გამარიდეთ
დედამიწას და ცრუ დროებას,
თქვენთან შეხვედრა, თქვენთან ყოფნა მეიმედება,
თქვენ დამავიწყეთ ამაოთა ამაოება.

დადგება წამი აღსასრულის,
ზეცის თავანი
გამინათდება,
ჩამიქრება მიწა ცბიერი,
დამამშვიდებელს მიმასწავლით ცისფერ სავანეს
და ვარსკვლავებით გამევსება თვალსაწიერი.

სიყმაწვილის მეგობარი

თავად დ. ნ. ცერტელოვს

მძულს ვითომ ჭკვიანური,
ხმამაღალი კამათი,
უნაყოფო ხმაური,
ბჭობა და მასლაათი.

გახსოვს, როგორ ქრებოდა
ჩვენი ღამე ცრიატი,
როგორ გვეფერებოდა
სიჩუმე განთიადის.

და სიცოცხლემ – სტუმარმა,
თითქოს ფსკერი შენისლა,
მშვიდმა და იდუმალმა
ჟამმა ბედისწერისამ.

თუმცა ჩაგვიქრა სანთელი,
გული ვერ გავიქარვეთ,
ჰყვავის ჩვენი სათქმელი,
ჰყვავის სჯულის ფიქალზე.

* * *

ა. ა. ფეტის ხსოვნას

იყო მოხუცი სნეული დარდით,
უკვირდათ: დიდხანს ცოცხლობს საბრალო...
გარდაიცვალა და რაც დრო გადის,
ვერ შეგირიგდი, შავო საფლავო.

ნიჭი სიმღერის ვერ შთანთქა მიწამ,
თქვა ყველაფერი სულის კარნახით,
ის ცოცხალია და ისევ იწვის
და ისევ ვხარობ მისი დანახვით.

ის ცოცხალია, მწუხარედ კვნესის,
და მავედრებელ ხმას შეჩვეული
მივაყურადებ და თითქოს მესმის,
დარდობს თავის თავს მარტოეული.

* * *

ისევ ამღერდა გული ბებრულად,
ვხარობ სიზმრებით თვალშენისლული,
შორს ყვავილები აყვავებულან,
გამოძახილი მესმის მისნური.

გაცოცხლდა თვალწინ ძველი ზღაპარი,
ვიჯერებ ზღაპრის ფერადოვნებას,
ვპოვე ტკბილ-მწარე თავშესაფარი,
ისევ ძილ-ღვიძილს ერთვის ცხოვრება...

* * *

რა დაგემართა,
შენს თვალებში შუქი ნეტარი
ვინ ააყვავა,
ვინ მოგმადლა გასაკვირველი?!
ამგვარი სხივი არ მინახავს ცაში, მეტადრე
დედამიწაზე არვინაა მსგავსის მხილველი.

ნეტა რას უმზერ,
რას გკარნახობს ფიქრი ფარული?!
საით მიცურავ
ოცნებათა თეთრი მარხილით?!
რა გახსენდება –
ხან მწუხარე, ხან მხიარული –
სად მიგიძღვება უხილავის უხმო ძახილი?!

წამიც და ქრება
შენს თვალებში სხივთა კრებული,
კვლავ ძველ საუბარს უბრუნდები
თითქოს წვალებით,
და როგორც ცეცხლი,
სიშორეში ჩანაცრებული,
ულიმღამო და მიმქრალია
შენი თვალები.

* * *

არ მსურს სიცოცხლე უამური და საცოდავი,
აღარ ვჭირდები ჩემს დედოფალს ფუჭი თავთავი,
ან სიყვარული რად სჭირდება უკვდავს მოკვდავის,
რას ამცნობს მარადს ჩემი ლექსი გაუმართავი.

თუმც ჩემი სული მარადისი და უძველესი
მიეახლება იდუმალად ციურ დედოფალს,
ჰანგს დამატკბობელს გააგონებს მიუწვდომელი,
ნათელ ზმანებებს მოიხილავს და მიენდობა.

მერე წამითაც არ დასტოვებს, არ უღალატებს,
დაე, უწმინდეს სიყვარულის სხივებს აქსოვდეს,
ბოროტ სტიქიას ნათლის სვეტი გადმოანათებს,
მაგრამ ჩვენს წუხილს გაიხსენებს აღარასოდეს.

უბრალო წინასწარმეტყველება

აქ ისევ ყინავს, დავიარები
გაყინულ გზაზე ცეცხლის მსურველი,
თუმცა მკაცრი ხარ, მიუკარები,
მაინც შევიგრძენ თქვენი სურნელი.

კვლავ მიწოდებენ წინასწარმეტყველს,
ამდევნებიან მტრები გუნდებად,
თქვენთან მართალი ვიქნები მე დღეს,
და, რასაც ვიტყვი, აგისრულდებათ.

მაშ, მომისმინეთ ნათქვამი თრთოლვით:
მზე დააცხუნებს თოვლით შებურვილ
მიწას და მყისვე გალღვება თოვლი,
ტყე გაიღვიძებს მიძინებული.

კვლავ ჩამოუვლით გამორჩეული
ბაღების გასწვრივ ყვავილთა წყებას
და შეისრუტავთ მთელი სხეულით
მაისის ღამის უნათლეს შვებას.

* * *

რასაც ჩვენ ვუმზერთ და მივაკვლიეთ,
რასაც შევყურებთ თვალგაყინულნი,
უხილავ სივრცის ანარეკლია,
მისი ლანდია ჩვენთვის ხილული.

ნუთუ არ იცი, ხმაურს თავნებას
როდესაც ვუსმენთ მიწით დაღლილნი,
ჩვენ მოზეიმე ტკბილხმოვანების
გვესმის შეცვლილი გამოძახილი.

ო, მეგობარო, იქნებ არ იცი,
ამ სამყაროში მხოლოდ ერთია:
როცა გულს გულის მოესმის ფიცი,
როცა ერთმანეთს უხმოდ ერთვიან.

* * *

ზურმუხტისფერ თვალებს ვუმზერ შენსას,
ნათელ ხატად გამობრწყინდი ახლაც,
შენი ჩქამი ძილ-ღვიძილში მესმის,
გამიტაცა უახლესმა ტალღამ.

მიწიერი აბლაბუდა დარდად
მოგხვევია, – ვცანი შენი სევდა,
ნუ შეკრთები, არ დაგტოვებ მარტოდ,
მაგიური წრე დასრულდა დღეთა.

და მოვყვები შენს ხატებას მაღლა,
შენი ჩქამი ძილ-ღვიძილში მესმა,
შეგვაერთა უხილავმა ტალღამ,
ზურმუხტისფერ თვალებს ვუმზერ შენსას.

* * *

დღე მიიწურა, ამაოთა გაქრა იერი,
კეთილსაამო სიჩუმეა, ფიქრში ვსაუბრობ,
სულში კი შენ ხარ, მხოლოდ შენ ხარ, ო, მშვენიერო,
არ მიატოვე, არ დააგდე შენი საუფლო.

ო, ყველაფერი – მეამბოხე გრძნობათა ღელვა,
ავი სიცოცხლე, მარადისად გულს რომ მიმღვრევდა, –
შთანთქა უეცრად სიყვარულის წადილმა მწველმა,
საბედისწერო ერთგულებამ კვლავ მომიხელთა.

დღისით ჩანს მთვარე –
გაცრეცილი ღრუბლის ნაფლეთი,
სხივაკრეფილი უცდის ღამეს, კვლავ დაღამდება...
როს შეღამდება, მზე რომ ჩავა შორს, დასავლეთით,
მნათობის შუქზე ხომლი ისევ აკიაფდება.

* * *

ამაო სიტყვა, გრძნობა – სტუმარი
მოვა და წავა, სივრცეებს ერთვის,
ჩვენი შეხვედრა – კვლავ იდუმალი,
მარადიული, უცვლელი ბედი.

ამ ცრუ სოფელში შენ ხარ სიცრუე,
წამით გამოჩნდი და გამიცინე,
მაგრამ ის წამი ისე ვირწმუნე,
ვგრძნობ, გამიფანტავს ნისლებს მიწიერს.

ნუ დაიჯერებ, მე მჯერა წამით, –
ჩვენ ერთი წამით ვიყავით ერთად,
ო, რა აზრი აქვს სიტყვებს ან წადილს
ამ მარადიულ და უცვლელ ბედთან.

* * *

ო, მგობარო, არ მჯერა შენი,
თვალების, სიტყვის – მჯეროდეს რომლის?!
არც თავს ვუჯერებ და, – ცას რომ შვენის –
მჯერა მარტოდენ ციური ხომლის.

ციური ხომლი მზერას რომ ერთვის,
ცითვე მომივლენს ოცნების შრიალს,
ცის უდაბნოში მარტოდენ ჩემთვის
ეს ვარსკვლავები ყვავილებს შლიან.

იმ ყვავილებში, ლაჟვარდის ვერცხლით
ფრთებმოქსოვილო, მიცქერი ციდან,
მშვენიერი ხარ, ვერავინ შეგცვლის,
თავისუფალი და მარად წმინდა.

ანდრეი ბელი

ქ

ბორის ბუგაევი (ანდრეი ბელი ლიტერატურული ფსევდონიმია) 1880 წელს დაიბადა მოსკოვში. მამამისი ნ. ვ. ბუგაევი ცნობილი მათემატიკოსი იყო, დედა კი შესანიშნავი პიანისტი.

მომავალი მწერალი მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლობდა მათემატიკის ფაკულტეტზე. მოგვიანებით იგი წერდა: „1901 წელს ვყოყმანობდი, – ვინ ვარ მე? კომპოზიტორი, ფილოსოფოსი, ბიოლოგი, პოეტი, ლიტერატორი თუ კრიტიკოსი?“ ბორის ბუგაევის დაეჭვება იმანაც გამოიწვია, რომ მისი პირველი ლექსები სასაცილოდაც არ ეყო მამამისს, ხოლო „დრამატული სიმფონიის“ წაკითხვის შემდეგ ერთმა ახლო მეგობარმა განუცხადა, შენ ჯერ მწერალი არა ხარო. „რომ არა სოლოვიოვები, – იხსენებს ბელი, – „მწერალი“ 1902 წლამდე საერთოდ გაქრებოდა ჰორიზონტიდან“.

ცნობილი ფილოსოფოსისა და პოეტის ვლადიმირ სოლოვიოვის ძმის – მიხეილ სოლოვიოვის სახლში წაიკითხა ბორის ბუგაევმა თავისი „დრამატული სიმფონია“. ამ სახლში აღიარეს იგი ნამდვილ მწერლად, აქვე გადაწყდა, – „დრამატული სიმფონია“ უნდა გამოქვეყნებულიყო. მაგრამ მამის საქვეყნოდ ცნობილი სახელისათვის ჩრდილი რომ არ მიეყენებინა შვილის მოდერნისტულ დებიუტს, ურჩიეს, „სიმფონია“ დაბე-

ჭდილიყო ფსევდონიმით. ასე გამოჩნდა დიდ მწერლობაში ანდრეი ბელი, – მანამდე ბორის ბუგაევი.

თავის ადრეულ ლექსებს თვით ანდრეი ბელი „ბალმონტის, ვერლენისა და ფეტის ნაზავს“ უწოდებდა. მისი პირველი წიგნი „დრამატული სიმფონია“ 1902 წელს გამოიცა. წიგნი მთლიანად რიტმული პროზითაა დაწერილი. 1904 წელს გამოქვეყნებული ლექსთა კრებულით – „ოქრო ლაჟვარდში“ – ანდრეი ბელი მკითხველთა წინაშე წარსდგა, როგორც ჩამოყალიბებული პოეტი. „ფერფლი“ და „ურნა“ მისი საუკეთესო პოეტური კრებულებია.

ანდრეი ბელის მთელი შემოქმედება უკიდურესად ავტობიოგრაფიულია.

„საუბარი ანდრეი ბელიზე, როგორც ლირიკოსზე ან პროზაიკოსზე, მემუარისტისა თუ ლექსის მკვლევარზე, საპროგრამო ფილოსოფიური სტატიების ავტორსა თუ ბრწყინვალე პოლემისტზე, – ერთობ ცალმხრივი იქნება. ანდრეი ბელი, – უპირველეს ყოვლისა, მოღვაწე, ორგანიზატორი, სულისჩამდგმელი და თეორეტიკოსია სიმბოლიზმისა, თუმცა, მისი მრავალმხრივი ნიჭიერება ვერ თავსდება ლიტერატურული სკოლის ფარგლებში...“ (ტ. ხმელნიცკაია).

„უმცროს სიმბოლისტებზე“, ანუ „მეორე ტალღის“ პოეტებზე, მძაფრი გავლენა მოახდინა შემეცნების ნეოკანტიანურმა თეორიამ, შოპენჰაუერის და ნიცშეს ესთეტიკურმა იდეებმა და, განსაკუთრებით, ვლადიმირ სოლოვიოვის მოძღვრებამ „სამყაროს სულზე“, ჭეშმარიტების, სიკეთის, მშვენიერების ჰარმონიულობაზე, ყოვლად ბრძენ სოფიას სიმბოლოში გაცხადებულ „მარადიულ ქალურობაზე“, რომელსაც უნდა ეხსნა და აეღორძინებინა მსოფლიო. მოგვიანებით, 1910 წელს, ანდრეი ბელიზე არანაკლები

ზეგავლენა მოახდინა რუდოლფ შტაინერმა, მისმა ანთროპოსოფიურმა მოძღვრებამ.

ანდრე ბელის მთელი ცხოვრება, მთელი შემოქმედება აღსავსეა განუწყვეტელი ძიებებით. მის რიტმულ პროზას, ფილოსოფიურ ლირიკას, ესეისტიკას მომავალში მრავალი მიმდევარი გაუჩნდა.

ნეკროლოგში, რომელიც ანდრეი ბელის გარდაცვალებისას გამოქვეყნდა, ნათქვამია: „რუსული სიმბოლიზმის უკანასკნელი უდიდესი წარმომადგენელი – ანდრეი ბელი, გარდაიცვალა, როგორც საბჭოთა მწერალი“.

ა.ა. ბლოკს

მახსოვს, ზეციურ შუქით შობილი
შენი ნათელი შარავანდედი...
თავისუფალი, ჩაუქრობელი,
გასაოცარი გზებით წახვედი.

გული გავსილა მძიმე კაეშნით,
დავშორდით, გაქრა, ადრე რაც გვსურდა
და ჩემი შუბლი უკუნ ღამეში
ცეცხლმოდებული ისევ გაცურდა.

ჩვენ ჩავიფერფლეთ, ჩავქრით თანდათან,
ჩამოწვა ღამე, აღარ ხმაურობს,
ნუთუ ყოველი ქარმა გაჰფანტა,
ძმავ, იდუმალო და უცნაურო?

სოკრატეს აღთქმულ მიზანს ნიადაგ
უმზერ ზესკნელში, მარად გახსოვდეს...
ნუთუ გატანჯულ ძმას სევდიანად
არ გაიხსენებ აღარასოდეს.

ნუთუ ჩარაზე გულის კარები:
სხივი კრთის ციურ უდაბნოეთის, –
მაგრამ არ მჯერა ამ მდუმარების,
შემეხმიანე, გელი ყოველთვის.

მე

შორ გზაზე მიხვალ,
როგორც მახვილი
გამოჩნდა მთვარე და გზას გაიგნებ.
ხედავ, ეს მე ვარ. გესმის ძახილი.
მოვალ, გიამბობ და შენ გაიგებ.

შრიალებს ჭვავი,
დილას ადრიანს
ღამის ნაფლეთიც არ შერჩენია.
ის შენთანაა. იგი ლანდია,
შენი ლანდია და ის შენია.

იგი შენია, მაგრამ ეულებს
რა დაგრჩენიათ, დარდობთ მალულად...
მარტოდენ სწრაფვა აჩქარებული
და ერთფეროვან დღეთა მარულა.

მოდი. კი, დიახ: წავალ ღამითაც.
ერთფეროვნება მარად თანმდევი...
ვერ გადავიტან, ვერ გადავიტან,
ღამევ, დამფარე შავი ლანდებით.

წახვალ, –
უშენოდ კვლავ იციმციმებს
ამა ცხოვრების მღვრიე მორევი,
აქ ხომ გეძინა,
იქაც იძინე,
ანარეკლივით განმეორდები.

ძილშიც სიზმარი,
ცხადშიც ზმანება,
სიზმრიდან სიზმრად მიხვალ მავანი,
ისევ სიჩუმე და მდუმარება
და მკრთალი, მკრთალი ზეცის თავანი.

იგივე დღე და ღამე გავიდა;
ერთფეროვნება მარად თანმდევი.
ვერ გადავიტან, ვერ გადავიტან, –
ღამევ, დამფარე შავი ლანდებით.

ბედისწერა

გამოკრთა ელვა,
როგორც ღვთის რისხვა –
ბასრი შუბივით სივრცეს ანათებს,
ჩემი ცხოვრება კვლავ შეინისლა,
თალხავს ღრუბელი ცის სილაჟვარდეს.

ერთად შეგროვდნენ წლები წარსული,
ღრუბლებით ზეცა მოაგუმბათეს,
დრო ჩაძირული და გარდასული
ღამის უფსკრულებს ღამეს უმატებს.

მომაკვდინებელ ცეცხლის ისრებით
ამ ფუჭ ცხოვრებას ცხრილავს მხედარი,
შენისლულია მსუსხავ ნისლებით
საბედისწერო ღრუბელთმდევარი.

ო, შუბოსანო, თავშევერცხლილო,
ღრუბლებს რომ ბზარავ ბასრი თვალებით,
გთხოვ, შენი შუბი წვერცეცხლოვანი
გულში მაძგერო შეუბრალებლივ.

ჩხუბი

1

საბედისწერო წლები, მწუხარე,
ო, სიყვარული ჩუმად ქრებოდა,
აყურადებდა ქარბუქს ბუხარი
და ცეცხლიც ნელა ინაცრებოდა.

ნაკვერჩხლის სითბო სახეს გიხურებს,
ზიხარ ბუხართან თავჩაკიდული,
აღარც საუბრობ, აღარც მიყურებ,
ხარ მოთენთილი და გარინდული.

შეხედე, თითქოს ცეცხლი ღვივდება,
მოისმის მოთქმა ნიავქარული,
ქარბუქის მერანს მოურიდებლად
სახურავებზე გააქვს თქარუნი.

დიდი ხანია, შენ მონდობილი
რომ მიშანთავდი ტუჩებს ტუჩებით,
ყვავილთა ზღვაში ძირს დამხობილი
მეფერებოდი და მაყუჩებდი.

მაგრამ წახვედი და სიბოროტე
ცეცხლის ზღვარიდან მიყურებს ახლაც,
შენი შუბლი კი შთანთქა ბოლომდე
ოქროსფერი თმის მსუბუქმა ტალღამ.

ჰაეროვანი ფერი ლოყების
გაგიფერმკრთალდა, უფრო განაზდა,
ვიღაც ძახილით უკან მომყვება,
ეჰ, „სიყვარული ჩაქრა, ჩანაცრდა“.

მიძინებული სუნთქვა ქარბუქის –
ვერ გააღვიძე წლები თავნება,
თუ დაივიწყე დრო სიჭაბუკის
გარდასულ დღეთა აღფრთოვანება,

თუ სიყვარული ადრე მოსული
გაქრა და ჩემთან არ გაკავშირებს,
წავალ ღამეულ ბინდით მოსილი
და მივაშურებ ველებს გაშლილებს.

მე უკუნეთში გადავეშვები,
გავფარფატდები მსუსხავ ღამეში
და ცივი ქარი შავი ეშვებით
ძონძებს მომახლის უცებ სახეში.

მე მივაბარებ საფლავს დათოვლილს
განუყოფელი ტრფობის სიმწარეს...
უცებ წამოხტი, უცებ ათრთოლდი,
მიგიხვდი, ჩემი სიტყვა იწამე.

2

გააქვს თქარუნი ქარბუქის მერანს,
ბუხარში ცეცხლის გიზგიზი ისმის,
აბრეშუმივით შრიალებს ჯერაც
ცეცხლი და ლალის ნაპერწკლებს ისვრის.

„გამოიღვიძე, ძილმა დაგვღუპა...“
უკვე ეჭვები არად მიჩანდა,
მომიახლოვდა, კვლავ გადამბუგა
და ბაგე ბაგით ამომიშანთა.

„ისევ მიყვარხარ, გესმის გულის ხმა!..“
ნაკვერჩხლის სუსტი ფრთები თანდათან
ააბრიალა მხეცმა გულფიცხმა,
აბრეშუმისფერ შუქში გაჰფანტა.

ფანჯრებში მოჩანს თოვლის ლაბადა,
სოფელი – თოვლით დაოსებული
და საუკუნო სიღრმე საფლავთა –
მარადი სევდით ამოვსებული.

ის შეუერთდა ღამეს უძილოს,
ჩამოიცილა დღის საბურველი,
ის დროის მიღმა იდგა უძირო,
შეურიგალი და სასურველი.

შემოდგომა

ჩემი თითები შენი ხელიდან გამოცვივდა,
მიდიხარ, აგვსებია თვალი რისხვით,
შეხედე, ხეებს წითელი ფოთლები ჩამოსცვივდა,
ფოთლები – შეღებილი წვიმის სისხლით.

ფერმკრთალი შემოდგომა, ცივი, უდაბური...
მაღლა აიხედე, ცას თვალი მოავლე,
ჰორიზონტებში მომწყვდეული უდაბნო
ხმელეთზე ღრუბლის სუნთქვას გადმოავლენს.

ღამე და დილა

ბ.ა. სადოვსკის

საუკუნენი წამებში გადის
და მყისიერად ქრება სახელი...
ამოვარსკვლავდა ღამეში დარდი –
ათასწლეულთა ძველი ნაღველი.
არავის ძალუძს ჩემი შენდობა,
არვის აწუხებს ჩემი ობლობა,
ალბათ, დღეიდან მე მივენდობი
უდაბნოების მახარობლობას.

თვალები ჩემი დარდმა დანისლა...
წმინდა სიტყვები კვლავ გამაგონე
შენ, სილამაზევ განთიადისა,
მზეო, შუქით რომ ავსებ მთა-გორებს.
მღერის მუხნარი...

ირგვლივ არავინ,
აი, გამოჩნდა სხივი ფარული, –
ძირს – მოფარფატე თეთრი კარავი,
ნაზი ალმასით მიმოცვარული...

ზამთარი

მ. ა. ვოლოშინს

ცისფრდება თოვლი, ნისლოვანდება,
მიმოეფინა თვალებს გახელილს,
მიყვარს სოფელი, როცა ღამდება,
ვერცხლისფერ ზამთრის მიყვარს ნაღველი.

ააფრიალებს ყინვის მოსასხამს,
ბაღებს აწუხებს ქარის წრიალი, –
ყინვის ლოლუებს გზად მიმოამსხვრევს
და ყინულის ბროლს გააქვს წკრიალი.

გაყინულ წყლების მოსარკულ მინას
ქარი ცისფერ ჭირხლს ცისფრად მიაფენს,
თოვლის უდაბნოს ხავერდის ბრწყინვა
როკავს ჰაერში, კვლავ იკიაფებს.

ბინდიან ველზე შუქის ნათელი –
პირველი სხივი შელამებისა,
სოფლიდან კვამლი აიმართება
და მეწამულ ცას ოდნავ შენისლავს.

წითელი სუსხი, ციდან მქროლავი,
ღებავს მდინარის სარკეს კრიალას,
დაიყრანტალებს სადღაც ყორანი,
სადღაც ეჟვანმაც გაიწკრიალა.

ვერცხლს მიმოხვეტავს, ძრწის, იღრინება
ბაღში ქარბუქი შლეგი, ველური,
თეთრ ნაფლეთებში ჩაიძირება
მარტოხე ველზე მიტოვებული.

დაე, აენთოს ოქროს ზოდებად
რკინის ბუხარი ძველ ბრწყინვალებით
და მოკიაფე მსუბუქ რგოლებად
მიმოაბნიოს ცეცხლში ლალები.

სოფლის სიჩუმეს ისევ ხალისით
ვუსმენ, ნაღველი თითქოს მაკმარეს...
ფრთხილად ავიღებ ბროლის სასმისებს
და ქაფი სასმელს მოამაქმანებს.

მდუმარებაში ფიალას დავცლი,
ვიცი, სიცოცხლეც აქ დასრულდება,
მხოლოდ ქარები მიმზერენ მკაცრად, –
მოჩვენებათა ფერად გუნდებად.

დე, კედლის იქით იყოს სამყარო
მშრალი ყინვებით, თოვლის ატლასით
და ქარმა მინებს შემოაყაროს
ჭრიჭინობლები მბრწყინავ ალმასის.

პოეტი

მარტოსული ხარ, შენ მართავ სწრაფვას,
ხარ უძლეველი ჭაბუკი, სულ სხვა,
კვამლში თუ თოვლში სიმებად აბამ
წმინდა მწვერვალთა სიამეს მსუსხავს.

მთად დაჭიმული ნაკადულები
შენ გიმღერიან ვერცხლის ჩქერებით,
ო, შენ არა ხარ უცხო სრულებით,
გვიმზერ ბინდიდან ყელმოღერებით.

ცას ვარსკვლავიანს მისწვდა არწივი,
დაფრენს არწივი ცად დაკარგული
და შენმა ლანდმა კვლავ თავგანწირვით
გაჭრა ყინულის კლდე მოსარკული.

დგახარ მწვერვალზე, სადაც ბროლივით
ბრწყინავს ყინულის ცივი მახვილი,
შენ გამოიწვევ მზეს საბრძოლველად
მწველი, მღელვარე ამოძახილით.

არ ჩამოვარდე, ფრთხილად! შენ ნახავ,
როცა დაიწევს ფრთა ნისლოვანი,
როგორ გაგიღებს უფსკრულის ხახას
სიმაღლეები ყინულოვანი.

ზღვაში ვარდება ოქროს ყინული,
მზე ყინულივით ზღვაში გაქრება,
წელი ჩავლილი თვალებს მილულავს,
ულურჯეს ცაში ჩაიკარგება.

გაქცევა

გაყინულია, დაო ჩემო, შენი თვალები,
თვალები შუშის, შუშის ღილები,
გესმის, ნაძვები მწვანე ტოტებს აშრიალებენ
უამინდობით გათოშილები.

თვალს რად უშტერებ შორეულ ცისფერს,
მოთენთილ ცისფერს, მზერას რომ ავსებს,
მე გაქცევაზე გიმღერებ ისევ
და ცივ, სუსხიან შემოდგომაზე.

„ჩქარა, შეიპყრეთ!“ – ხმით გამყინავით
ყვირის ექიმი, თან ჯოხს მოძებნის,
დაფეთებული გარბის ჭილყვავი,
მიაფარფატებს ფრთებს ჩამოძენძილს.

შორს, სადაც კალო ძლივს ჩანს წაშლილი,
გვცემეს ბუჩქებმა... არ დავიშალეთ...
ჩემზე ამბობენ, დაო, შეშლილა,
შენზე ამბობენ, რომ შეიშალე.

მე შემოდგომის მომაკვდინებელ
დარდზე გიმღერებ და შეგიცოდებ,
შენი ხელები სიკვდილს მინებდენ,
ეგ მკვდარი ხელი გამომიწოდე.

შეარხევს ქარი მოულოდნელად,
საცოდავ ძონძებს ყინვა ანათებს
და შენი ხელისგულისოდენა
ხმელი ფოთოლი ძირს მოფარფატებს.

გზა

ბევრი ვიარე, ისევ იგივე
გაქცეულ სივრცის ნათება მკვეთრი,
ქვასავით მაგარ გზაზე ხრიგინით –
ხრიგინ-ხრიგინით მიგორავს ეტლი.

ეუვნის წკრიალი ისმის, არ ქრება,
მე ვარ სნეული, გზად დანაცემი,
და გამოჩანან ნათელ ლაქებად
შორს მოლაქლაქე დედაკაცები.

ზვინებთან, სადაც ნარინჯისფერი
დგას ნეკერჩხალი უტყვი, ეული,
ჩამოიშალა ზეცა ცისფერი,
შავი ყორნებით დაფეთებული.

ვესტუმრებოდი ვინმეს სახლშიაც,
დაღლილი მყისვე ჩავიძინებდი,
მაგრამ სოფელი ისევ მაშინებს
მზეამრეკლავი ბრწყინვით მინების.

სახლს გვერდს ავუქცევ, მივდევ დაისებს,
ვშიშობ, არ შემხვდნენ ლანძღვა-გინებით,,
და ისევ, ისევ, ისევ და ისევ
ამ მტვრიან გზაზე მივედინები.

განდევნილი

მე ვტოვებ ქალაქს საღამოისას,
მაკრთობს ხმაურით, ხმებით მგრგვინავით,
თუმცა შორიდან ისევ მოისმის
ხმა მოქირქილე და დამცინავი.

იქ მარადიულს წლები შევწირე,
არც გიფიქრიათ ჩემი დანდობა,
მყისვე ჩამქოლეთ, არ შემეწიეთ,
თქვენ ჩემი ტანჯვით გსურდათ გართობა.

გტოვებთ, რამეთუ ვარ განდეგილი,
თავისუფლებას ველარ წამართმევთ,
გავრბივარ მწირი ობლად შთენილი
პურის ყანაში, მზე რომ ანათებს.

გავრბივარ ისევ და გზას მილოცავს
ვრცელი ველები და მე არ ვცხრები,
მე დავეცემი ლურჯ ლიღილოსთან,
მიწას ჭაღარით მივენარცხები.

ყვავილო, ნამით კვლავ დამასველე,
მაპკურე შენი ბროლის წვეთები,
მე მეამბოხე სულს მოვასვენებ,
სულს გატანჯულს და მოვითენთები.

მზე ჩადის, სხივი ჩუმად მიცოცავს,
მზე ჩამავალი ზეცის ფერს შეცვლის,
გრილი ნიავი თმას ამიწენავს,
თმას ამიწენავს ადრე შევერცხლილს.

მშვიდი დასვენება

უთანასწორო ბრძოლაში დამჭრეს,
მძიმეა ჩემი სვე და მწარეა,
გაივლის დღე და ისევ შევამჩნევ
შუქს მოციმციმეს და მიხარია.

გამოვექეცი ბრბოს და მოვძებნე
ველი, სიმშვიდე სადაც მეგულვის,
ველებზე ისევ ჩანს ოქროს ძნები
მარადი შუქით განათებული.

ლაჟვარდებიდან წვიმა წყვეტილი
ცრის... ნუ დანისლავ მზერას სიავით,
ნუ ბრაზობ, იყავ მარად კეთილი,
შემომაწებე ბაგე ნიავის.

მე ჩავიმუხლებ,
ისევ არავინ...
არვინ ხმას არ მცემს
და ვილოცები;
დროა ჩავლილი,
თვლემს სიზარმაცე –
სურნელოვანი, როგორც ყვავილი.

მდელო მარტოდენ –
ბრწყინავს, ობობას ქსელში გაება,
ჩამავალი მზე ზეცას დატოვებს,
დატოვებს ცისფერ ბუნდოვანებას.

ველად

მე დამავიწყდა. მე გავრბოდი. გამოვეხსენი.
ნისლი მოედო ნაპირს შორეულს,
ველი ფერმკრთალი ობლად ესვენა,
ჭვრეტდა ჰორიზონტს ნისლებმორეულს.

არ მაკრთობს სევდა,
არ მენანება,
მტანჯეს, ჩემს სისხლში მე ჩამახედებს,
ვეება ლოდებს შეუბრალებლად
ძვლებზე მცემდნენ და
ძვლებზე მამსხვრევდნენ.

უკეთურებას ვნანობ ნაკლებად,
მე გავნათდები ნათელ დღესავით,
დე, ჩამილეწონ სუსტი ნეკნები,
წაშალონ ჩემი ლანდი მკვნესავი.

დე, სამოსელი შემომეხიოს
ეკლიან ჯოხით ნაგვემს, ნაწვალებს,
საწყალ ძონძებზე მაინც მეხვევა,
აისის ცივი კოცნა ტკარცალებს.

ძლივს მივჩანჩალებ, მეღლება თვალი,
ჭინჭრის გვირგვინი უმოძრაოა
და შემღვრეული, მოლურჯო კვამლი
ქოხმახებიდან ისევ წამოვა.

ქარმა, ძმამ ჩემმა, არ მოიშალა, ტირის...
მსურს შენი სიზმრის შეხება,
გაშმაგებამდე ხმელმა ქვიშანამ
დამინთო ცეცხლი, ცეცხლი მეხვევა.

ცხოვრება

ვ. ი. ივანოვს

მთელი ცხოვრება წინ მივდივარ, როგორც დევნილი,
არ შეიძლება, რომ ვიარო, ალბათ, უკუსვლით,
აი, ბილიკი გაცვეთილი და გათელილი,
დამტვერილი და გადატრუსული.

ეს ვინ მომიხმობს, ვისი ფიცი მესმის საამო,
უშორესიდან ვისი ხმა ისმის?!
შემთხოვს, რომ სამკალს გადავანამო,
მიმოვასხურო სამსხვერპლო სისხლი.

სხივთა შუბებით, ჩამავალი მზე
გულმკერდს დამიფლეთს ცეცხლის შუბებით,
ღვინის სურნელით ისევ აღვივსე,
მე მზესთან ერთად დავილუპები.

მწვანე საღამო ველებზე წვება,
ისევ მღერიან გულის სიმები,
ზეციდან ცივი ზოლივით წყდება
გასაოცარი ბროლის წვიმები.

ირგვლივ ველები, – ესეც ბედია,
ვპოვებ სიმშვიდეს, სადაც ვეძებდი,
ხმელ ღეროებზე, როგორც წვეტიან
და ბასრ შუბებზე, ისე ვეცემი.

ვლადიმირ სოლოვიოვი

გვახრჩობდა უხამსობა შეჩვეული,
ცას სთხოვდი გზას გადარჩენისას,
ესმოდათ შენი ხმა რჩეული,
როგორც ხმა შლეგისა.

ქანცგაწყვეტილმა
მიწა რომ დასტოვე,
მორჩა მარტვილობა, დუმილით აღივსე,
მერე სხვადასხვა, უაზრო კასტებმა
თავისად ჩაგთვალეს,
გაგითავისეს.

ებრძოდი რუტინას,
ახლაც იგივეა.
შენ ვერ დაამსხვრიე მონის უღელი,
დაე, ქარბუქებმა თოვლის გვირგვინები
შენი საფლავიდან მოგლიჯოს წუხილით.

ჩაწყნარდა ქარბუქი
და სივრცე ჩამუქდა,
ღამეულ სიბნელეს გავცქერი,
ნამქერი კუბოსთან მიხვეტა ქარბუქმა,
მიხვეტა თეთრი ნამქერი.

შენ ვერ გაგიგეს,
დღეს შენი სათქმელი
ღამეში ანთია მეწამულ სინათლედ,
მშვიდად განისვენე, მე შენი კანდელი
წყვდიადს გამინათებს.

ჩრდილოეთის მარში

დარდით ლამის განახევრდი,
ნაღველს ვეღარ იცილებ,
დათვის თანავარსკვლავედი
შორს უაზროდ ციმციმებს.

ჩვენ რას შევცვლით, – ვერ შევძლებთ,
სიცოცხლეა ხანმოკლე,
ყორღანებზე ბებერ ძვლებს
ქარიშხალი წამოკრებს.

მოსაწყენად იმატებს
თოვლის თეთრი კარავი,
ცაში უცებ ინათებს
ცეცხლი გულშემზარავი.

უცებ აალმასდება
შენი ყინვის საფარი.
დათვი საფლავს გასცდება,
მარტო რჩება საფლავი.

მწუხარება გახშირდა,
დარდით გული გევსება,
ყინულოვან ჯავშნიდან
ისმის წამოკვნესება.

შემოდგომა

გაზაფხული გაფრინდა,
წითელი ტყე გუგუნებს,
მთვარე ცეცხლის აფრიდან
დედამიწას უყურებს.

გაგონდება ნუთუ უკვე
გაზაფხულის შუკები,
სიყვარულის სიჭაბუკე,
გამთენიის შუქები.

ისევ მწარე სიცრუე,
გაზაფხული გაფრინდა...
მკრთალი მთვარე მიცურავს
მოვერცხლისფრო აფრითა.

წარსულს ვერ შეელიე,
დარდთან დარჩი მარტოკა
და გაჰყურებ ლელიანს,
ტალღამ რომ შეატოკა.

მოგონება

ეძღვნება ლ. დ. ბლოკს

ჩაფიქრებული სახე...
იასამნებში გამოჩნდა თანდათან
მიტოვებული ბატონის სასახლე,
კირის ნამსხვრევი ქათქათა.

ისევ იგივე ჭიშკარი,
თუჯის კვარცხლბეკი ორი,
ბალახი და ყვავილნარი
უძველეს ხეთა შორის.

ძველ აივანზე ნელა
თრთის სვია, ნიავს ნებდება,
კელა
ბზუის სვეტებთან.

გაზაფხულია.
გაცვეთილა ჩითი
სავარძელზე გადაკრული...
სავარძელში დედაბერია განაბული,
სიყმაწვილე ესიზმრება დაკარგული.

ახსოვს, როგორ ფრიალებდა,
გაზაფხულს შროშანივით ეკავა,
როგორ მიაშრიალებდა
მარმაშიან თეთრ კაბას.

ის გვერდით მიჰყვებოდა
ჩურჩულით, კომპლიმენტებით,

გული ეწურებოდა
ყმაწვილ ქალს სენტიმენტებით.

კლავიკორდთან დაეშვა
მორცხვი და მშვენიერი,
შესცინოდა თვალებში
ყმაწვილი ბედნიერი.

ფანჯარაში აისი ბრწყინავს,
დედაბერი იღვიძებს სლუკუნით,
„ეს იყო დიდი ხნის წინათ!"
კედლის გუგული
ბნელხმიანი
ყვიროდა,
ბზარავდა ხმას ხრინწი,
დრო სევდიანი
გარბოდა,
გარბოდა სახლის წინ.

და ირწეოდნენ ნელა,
სვია
ნიავს
ეძებდა,
ხავერდოვანი კელა
ბზუოდა სვეტებთან.

არ მეშინია

ისევ მტკივა იარა,
ტანჯვა აღარ მთავრდება,
მინდვრად – ნისლი შრიალა,
მალე ჩამოღამდება.

წახვალ, ვრჩები მწუხარი,
ვრჩები ისევ მარტოკა...
ჩაიარა მუქარით,
კენწერო შეატოკა
გოლიათმა ჭაღარამ.
ტყე უცებ შექანდება,
უფრო ჩამოღამდება,
მოვლენ შიშის ლანდები.

ბნელში გზას ვერ მოვნახავ,
ღამეს ნუ შემატოვებ,
კიდევ დარჩი ცოტა ხანს,
დარჩი, ნუ მიმატოვებ.

ქარს დავეძებ მითვლემილს,
კიდევ უფრო ღამდება,
წყვილი თვალი წითელი
ნისლში დაილანდება.

ბნელში გზას ვერ მოვნახავ,
ღამეს ნუ შემატოვებ,
დარჩი, დარჩი ცოტა ხანს,
დარჩი, ნუ მიმატოვებ!

ნუთუ შიში მომშორდა...
შენ ხარ სხივი, სიზმარი...
ღრუბელიდან მოჟონავს
ციურ შუქის ისარი.

სიზმრის სიომ დაქროლა...
მესიზმრება... მოვიდა...
გოლიათი აქვეა
და თავს მიქნევს შორიდან.

მიტოვებული სახლი

მიტოვებული მარტოდ
სახლი, ბუჩქები სახლთან,
ისევ წარსულზე ვდარდობ:
„ეხ, წინაპრებო, სად ხართ".

კედლის ნაბზარში, მაღლა,
ხავსი – ნიშანი მარცხის,
ისევ შრიალებს სახლთან
ბერი – ფუტურო ცაცხვი.

ნატრობს ფოთოლი მუნჯი
ნებიერ დღეთა ზრუნვას,
ჩამონგრეული ბურჯის
ჩამქრალ სარკმელთან ბრუნვას.

ვით ყვავილებში გდებით
დაჟანგულ ნამგლის რკალი, –
გადაყვლეფილი გერბი
კეთილშობილურ გვარის.

წარსულის კვამლი დაგღლის,
დარდობ...
დაფრენს ჭილყვავი მაღლით,
თავს დაგტრიალებს მარტოს.

თვალი შეავლო, ცდილობ,
მერე ფანჯრიდან ნახავ
ჩინურ ფაიფურს, ტილოს –
კურდღელს ნახშირით ნახატს.

მოჩანს ავეჯი ძველი,
ხალთა, ჩამქრალი ჭაღი...
უკიდეგანო ველი,
უკაცრიელი ბაღი.

თივის ზვინიც კი დარდობს,
იხვევს ბინდისფერ ზეწარს...
ზეცა...
მარტოდ...

მიხურულია კარი,
წარსულს ვერასდროს ნახავ,
გამოგაყოლებს ქარი
ძველი დარაბის ჯახანს.

მინდვრად

მზის კონტური ძველისძველი,
ოქრო პირმოცინარე,
ფორთოხლის და ღვინისფერი
მზე დაჰყურებს მდინარეს.

და ჰაერით მთვრალი მიწა,
მოთენთილი მინდვრები,
ციდან ოქრო ჩამოიქცა,
ბრწყინავს ოქროს ზვირთები.

დავეშვები ბებერ ხევში,
ვტოვებ მზიან ხალიჩებს,
ფეხქვეშ შავი ბელტი ხვნეშის,
ძლივსძლივობით ვაბიჯებ.

ცეცხლოვან მზეს ვემალები
მობიბინე მდელოსთან,
გრილი ქარი შელამების
ნაკადულთან მელოდა.

მზე ჩაეშვა ძველისძველი,
ზეცა დაცარიელდა,
ფორთოხლის და ღვინისფერი
ქრება დასალიერთან.

მზე ეწვია უცხო მხარეს,
გაირინდა მინდვრები,
მოეფინა შემოგარენს
იისფერი ბინდები.

დრო კი მიდის, მეთხოვება,
ვით დამშრალი ბინული,
სიზმარია ეს ცხოვრება, –
უცხადესად ხილული.

სერენადა

ეძღვნება პ. ნ. ბატიუშკოვს

ისევ ფანჯარასთან დგახარ,
თვალს აყოლებ ზმანებას,
ფირუზით, ფირუზით
არემარე ივსება,
ო, ძვირფასო, მნათობი
ცრემლად მიექანება,
ფერმკრთალდება, მიცურავს,
ჩააქრეს აისებმა.

ჭაღარა მარგალიტებს – უდარდელს
მიეფერე,
გაიმეტე ამბორი.
ხედავ, მინდვრებს,
ყვავილთა ფერს უადრესს,
მოსარკული ჩანჩქერებით დატბორილს?

ნუ იდარდებ,
გაიქარვე ნაღველი!

ო, ძვირფასო,
ხედავ? თეთრი გედები
მიმოცვარულ ბაღში, სადაც ვჩერდებით,
მოვერცხლისფრო შადრევანთან გაქვავდნენ;
მარტოობის დარდი მოგყვა აქამდე.
გარინდულან გედები, იძინებენ
ბაღში ციცინათელები
ზურმუხტისფრად ციმციმებენ.

უთეთრესი მკერდია –
გაყინულა ჩქერში მკერდი,
ეს ხომ შვიდი გედია –
ლოენგრინის შვიდი გედი;

ლოენგრინის გედები.

ქუჩაში

უცებ ქუჩაში ეტლი იხუვლებს,
გაჰყვება მჭახე გამოძახილი,
მე მივეყრდნობი რკინის რიკულებს
გაოგნებული და თავდახრილი.

ყმუის ქარბუქი და ძვლებში ატანს
უყმური სივრცე, შემაშფოთები,
და ნეკერჩხლები რკინის ლატანებს
ეხეთქებიან წითელ ფოთლებით.

ასდის ოქტომბრის ცივი სურნელი,
ნაცრისფერ ლოდებს სუსხი ერევა,
წითელი ბუჩქი, შვების მსურველი,
მიმოიფანტა წითელ ცრემლებად.

შემოგარენში მიმოიფანტა,
მიმოეფინა ქალაქს ვედრებით,
მერე ჰაერში წამოიმართა
მტვრისა და შხამის შავი სვეტები.

კვამლის მორევში მივიმალები,
სახლები ძლივსღა მოჩანს შორიშორს
და ფაბრიკები ცივი მილებით
კვამლს აფურთხებენ მზიან ჰორიზონტს.

ვლ. სოლოვიოვის მიბაძვით

ქარვისფერი ღრუბლების ზოზინა ქარავანი
თითქოს ცაში გაქვავდა, დღე დაბინდეს ლანდებმა,
დაიძინე, ძვირფასო, დარდები განიქარვე,
საღამოა... ჩვენი გზა ნისლში მიემართება.

ჩვენი წმინდა აღთქმანი ისევ აენთებიან,
მაგნოლიის ტოტებში ჩამწყდარა მზის მკლავები,
ბებერი ტკივილები დაღლილ სულში ქრებიან
ისე, ვით ნაკვალევი მოწყვეტილ ვარსკვლავების.

შორეული ნაღველის ღრუბლისფერი სიმძიმე
დილით მოიქუფრება და უფრო დამძიმდება,
მოლურჯო-მოწითალო ანარეკლის ციმციმი
გამოჩნდება ცაზე და მყისვე მიეძინება.

დავსხდეთ, აქ დავისვენოთ, მთვარის აფრა გაშლილი
გზას აღარ გაგვინათებს, მწუხრისფერი გროვდება.
დარდები განიქარვე, დაიძინე, დამშვიდდი,
ძილის დროა, ძვირფასო, საღამო ახლოვდება.

უიმედობა

ზ. ნ. გიპიუსს

კმარა ლოდინი ცრუ და ამაო,
ხალხო ბეჩავო, მიმოიფანტე,
გაქრი, მტანჯველო წლების ღამეო,
წლიდან წლამდე რომ უფრო იმატებ.

ჟამო მონობის და სიღარიბის,
ნეტავ, როდემდი უნდა იდინო,
მომეცი ნება, ვინმე ყარიბმა,
სამშობლოვ, შენზე რომ ვიქვითინო:

იქ, სადაც დგანან მწვანე მუხები –
კორომი შვენის ვაკეს კუზიანს,
იქ, სადაც ღრუბლით ცა იმწუხრება,
სადაც ტყვიისფერს ცა გაუვსია.

იქ, სადაც ველზე შიში ღავღავებს
და გაბარჯღულა ხმელი ჯაგვით,
იქ, სადაც შლეგი ქარი აღამებს,
მწვანე რტოებში ძრწის და გაჰკივის,

იქ, სადაც მრუმე და ნამთვრალევი
მოჩვენებათა გუნდი ვიდოდა,
სადაც მიმზერენ შლეგი თვალები
უაზრო, შეშლილ სამიკიტნოდან,

სადაც სიკვდილი ბატონობს მკაცრი
და სიავადე მეფობას ჩემობს.
გაქრი სივრცეში, რუსეთო, გაქრი,
გაქრი, რუსეთო, ჩემო!

ლიანდაგებზე

განძარცვულ ბუჩქებს ღამე ეხლება,
სულ მალე, ალბათ, ვეღარ მოვძებნი,
ღამის წყვდიადში ჩაიჩეხება
სატელეფონო შავი ბოძები.

ბორბლის ნაკვალევს გუბე რომ მისდევს,
მოასარკეევებს ყინულის ბრწყინვა,
ოქტომბრის სუსხი მიკოცნის თითებს,
გათოშილ თითებს მიკოცნის ყინვა.

ძმობა, მჭევრობა ენაწყლიანი, –
გაქრა, განქარდა, ფიქრად არა ღირს
და სამსახურმაც მრავალწლიანმა
დაიმორჩილა სული ამაყი.

ნუთუ იმედებს ფუჭად დავეძებ,
ნუთუ ტირილში წარვლენ წუთები?!
მივწვები რკინის ლიანდაგებზე,
გავირინდები და დავდუმდები.

დავხუჭე თვალი, ცრემლი მინათებს
მზერას და გული ძალუმად მიცემს,
შორს, სემაფორის მწვანე სინათლე
მწვანე ნემსივით გასერავს სივრცეს.

და ორთქლმავალი კივის, ღამიდან
გამოჟონილ შუქს მზერით მოვძებნი,
წამოიშალა არყის ჭალიდან
შეშინებული ბინდის ძონძები.

ალექსანდრ ბლოკი

ალექსანდრ ბლოკი დაიბადა 1880 წლის 16 ნოემბერს (ძვ. სტ.). დაიბადა იგი პეტერბურგის უნივერსიტეტის „რექტორის სახლში". მამამისი – ალექსანდრ ლვოვის ძე ბლოკი – იურისტი და ფილოსოფოსი – ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორი იყო. დედა – ალექსანდრა ანდრეის ასული ბეკეტოვი – საბავშვო მწერალი და მთარგმნელი. ბლოკის პაპა (დედის მხრივ) ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორი იყო.

ერთი წლისა არ იყო მომავალი პოეტი, როცა მისი მშობლები განქორწინდნენ და დედამისი მეორედ გათხოვდა.

1898 წელს დაამთავრა გიმნაზია პეტერბურგში და იმავე წელს ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

1903 წელს შედგა ბლოკის ლიტერატურული დებიუტი პეტერბურგის ჟურნალ „ნოვი პუტში", სადაც მან ათი ლექსი გამოაქვეყნა.

მისი ექვსტომეულის პირველ ტომში, რომელიც 1980 წელს გამოიცა, ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ „ერთადერთხელ იხილა შორიდან ვლადიმირ სოლოვიოვი".

ცხადია, ტომის შემდგენლებს შემთხვევით არ აღუნიშნავთ ეს ფაქტი. ვლადიმირ სოლოვიოვის შემოქმედებამ – ფილოსოფიამ, პოეზიამ, მძაფრი შთაბე-

ჭდილება და დიდი გავლენა მოახდინა ახალგაზრდა ალექსანდრ ბლოკის მსოფლმხედველობაზე, და საერთოდ, უმცროსი სიმბოლისტების მხატვრულ-ესთეტიკურ მრწამსზე.

მშრალი ბიოგრაფიული ცნობებით შეუძლებელია რაიმე წარმოდგენა იქონიოს მკითხველმა ბლოკის პიროვნებაზე, მის განუმეორებელ ლირიკაზე. მთელი მისი ცხოვრება (მამასთან ურთიერთობა, ანდრეი ბელისთან დამოკიდებულება, კონფლიქტი მეუღლესთან, მოგვიანებით კი გიპიუსებთან), ამოუწურავი დრამაა.

ალექსანდრ ბლოკი გარდაიცვალა 1921 წლის 7 აგვისტოს.

ალექსანდრ ბლოკის თვრამეტწლიანი შემოქმედებითი მოღვაწეობის შედეგი განცვიფრებას იწვევს (ლექსები, პოემები, პიესები, წერილები, თარგმანები), მაგრამ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ მისი ლირიკა განუმეორებელია და მისი შემოქმედების მწვერვალია.

* * *

მე ბნელ ტაძარში შევდივარ კრძალვით,
წავიჩურჩულებ უბრალოდ ლოცვას,
ველი ხატებას მშვენიერ ქალის,
ბნელში სანთლები ციმციმებს როცა.

კარის ჭრიალი შემაკრთობს მყისვე,
მაღალ სვეტების ჩრდილი ვარდება
და შემომყურებს თვალებში ისევ
მხოლოდ სიზმარი, მისი ხატება.

ო, შევეჩვიე საოცარ სამოსს
ციურ მეუღლის, ღვთაებრივ ქალის,
მაღლა, კარნიზზე გაქცევას ლამობს
მისი სიზმარი, ღიმილი მკრთალი.

თრთიან სანთლები ფრთაშერუჯული,
ო, უწმინდესო, ახარებ მზერას,
არ მესმის შენი სუნთქვა, ჩურჩული,
მაგრამ, ძვირფასო, შენა ხარ, მჯერა.

* * *

ჩუმად გადიან დღეები, წლები,
უცნაურ სიზმარს დავეხსნა მინდა,
კვლავ შემომესმას ნაცნობი ხმები,
დრო გაქრეს, გულზე რომ მაწვა ბინდად.

იქ ვიღაც არის, სხივებში ჩანდა...
(ო, ისე, ზამთრის ღამით რომ ვნახე:
მავანის ლანდი ჩავლილი კართან
და უსწრაფესად გამქრალი სახე).

აი, მახვილი, მაგრამ არ მინდა...
ნეტა ეს ხელი ვინ დამიღალა...
მახსოვს, ვარსკვლავნი თვალმარგალიტად
ღამის ცაზე რომ გადაიყარა.

მავედრებელი სუსხი და შორით
ზღვა – თოვლის ფრთებზე იწვა რომელიც,
შიში – თვალთაგან გამონაჟონი,
ბებერი შიში შეუცნობელი.

სიტყვა? ო, არა! რა იყო მაშინ?
ბუნდოვანება, ნისლი ფარფატა,
თითქოს გუგუნი ისმოდა ზღვაში
და შორდებოდა მიწას თანდათან.

მღეროდა ბაგე, არ ვიცი, მაშინ
გავიდა წამი, წუთი თუ წლები?!
და მავთულები წიოდნენ ცაში,
გულისწამლები ისმოდა ხმები.

მოულოდნელად, მე მახსოვს მხოლოდ,
რომ შემომესმა უცხო ძახილი,
მეძახდა შორი ხმა: ese homo,[1]
და გამივარდა უცებ მახვილი.

გადახვეული მქონდა იარა,
რომ ძარღვებიდან სისხლს არ ედინა,
მე დავემონე ძახილს მთლიანად,
თან მხიარული შუქი მეფინა.

გამოვერკვიე, უკან დახევა
არა მჩვევია მონური თრთოლვით,
დაე, შემეხსნას ჭრელი სახვევი
და ცხელმა სისხლმა გაათბოს თოვლი.

1 აი, ადამიანი (ლათ.)

* * *

იხუვლებს ქარი მიუსაფარი,
მერე ხსოვნაში წამით გაკრთება
დაუვიწყარი შორი ნაპირი, –
მაგრამ ამ თოვლში ისიც მკრთალდება.

შრიალებს, როგორც ბალახი ხმელი,
ძველი ტკივილი, როგორ გავექცე?
ღამე, ღამეში ბილიკით ბნელით,
თოვლით დაფარულ უფსკრულს დავეძებ...

ღამე, ტყე, თოვლი, ისევ ხსნას ვეძებ,
მოვშორდე წარსულს, კვლავ რომ იმღვრევა,
უცებ გამოჩნდა სახლაკი ველზე,
ტყიდან მომესმა გოგოს სიმღერა.

* * *

ისევ მაშინებს შენთან შეხვედრა,
უშენობა კი უფრო მაშინებს,
სუყველაფერი, რასაც შევხედავ,
იდუმალდება ჩემთვის მაშინვე.

გზად აჩრდილები დიან ზმორებით
და მათ თვალებში თვლემის ნისლია,
მე ტაძრის კიბეს მივეკონები,
უკან მოხედვა არ შემიძლია.

მეხება ვილაც, მერე მშორდება,
ვერ იხსომებენ ლანდებს თვალები,
ხმა შემომესმა მოულოდნელად
უკანასკნელი დასაფლავების.

ღრუბლიანი ცა ეხება მაღლობს,
ქრება ტაძარი, არ მოჩანს დიდხანს.
მე ვიცი, აქ ხარ, ძალიან ახლოს,
მაგრამ აქ არ ხარ, შენ ისევ იქ ხარ.

* * *

ნ. გუნს

სამწირველოში თუმც დროებით ვარ მიმალული,
მაგრამ მეზრდება ფრთები თანდათან,
დრო მოვა, სხეულს დაივიწყებს ფიქრი ფარული,
მოულოდნელად გამოჩნდება სივრცე ქარქათა.

ვით ბედნიერი დღე შეხვედრის – ცაა ნათელი,
გამჭვირვალეა მიულწეველ სივრცის ნათება,
ხმას დამატკბობელს გაიგონებ და ჟრუანტელი
შემოგენთება, ბაგეები აგიყვავდება.

ვერ მოვასწარით წამოფრენა, რომ გზა დასრულდა,
ცეცხლი მოედო ფარს უმძიმესს და აბრიალდა,
დე, ბედისწერის უეცარი ნება აღსრულდეს
და მარტოდმარტო ჩაიფერფლოს გულში მთლიანად.

ისევ შევხვდებით, დამიფარავს ფარი ახალი,
არ მოიგონებს გული ჩემი ბებერ იარებს,
ხმას დამატკბობელს გაიგონებ და გამახარებ
და ჩემს სიყვარულს მარადიულს გაიზიარებ.

დრო მოვა, როცა გაზაფხული ზამთარს განდევნის,
მოულოდნელად გამოჩნდება სივრცე ქათქათა,
სამწირველოში ვიმალები, როგორც სანთელი,
მაგრამ მეზრდება უძლეველი ფრთები თანდათან.

* * *

ნ. გუნს

შენ ბევრს ცხოვრობდი, მე კი ვმღეროდი,
იგრძენ ცხოვრება ცრუ და მშიშარა,
ციური სული, მე რომ ველოდი,
მოფრინდა, სივრცე გადამიშალა.

აწ შენი სწრაფვა გაბაწრულია,
ქარიშხლის მიერ მარტოდ შთენილი,
თავისუფალი მე ვარ სრულიად,
ისე, ვით ფერფლი ცად აფრენილი.

ვგრძნობ, მეგობარო, რომ ეს ცხოვრება
მეც შემეხება ხელით მსახვრალით
და გული აღარ შემითრთოლდება,
არც რა ექნება გულს გასახარი.

დავიქანცებით ამ გზებზე ოდეს
და მიგვატოვებს ბინდში ბუნება,
დასასვენებლად შენ ჩემთან მოდი,
მეც მოვალ სულის მოსაბრუნებლად.

რა საჭიროა

რა საჭიროა გემები, დაღლა,
კონცხი სიბნელემ წაშალა დღესაც,
მოცისფრო თოვლის ქსოვილზე ახლაც
პირობით ნიშანს ვკითხულობ შენსას.

ქარბუქში ისევ ისმის შენი ხმა,
სცვივათ ვარსკვლავებს ფერფლი ყინულის,
ღამით ნავები ბინდმა შენიღბა
და აღარაა ჩემთვის ხილული.

ჩემი ხვედრია, სხვას არას ვეძებ,
თოვლში და სუსხში უნდა ვიწვალო,
რომ სანაპიროს თოვლიან ველზე
ამ ქარიშხალში გარდავიცვალო.

რადგან არ მესმის ცოცხალი ბინდის,
მე რომ წამართვა შენი სხეული,
თოვლის სიზმარში ცხოვრება მიდის,
რომელშიც შენ ხარ გამომწყვდეული.

* * *

რა გაგვაჩნია წამების გარდა?!
მიდის ცხოვრება, მიედინება.
მუდამ გვახსოვდეს – საფლავის კართან
ჩვენი შეხვედრა ღმერთმა ინება.

მწამს, საუკუნეს – მომღერალს ახლის –
ახალ თაობის შუქი ჰფენია,
განა ტყუილად ადიდებს ხალხი
შეურაცხყოფილ, კეთილ გენიას.

ყველა, მასავით შეგინებული,
კლავს დამცირების სუსხსა და ყინვას
და ზეცას შავი ღრუბლით შებურვილს
შეაკრთობს ომის მახვილის ბრწყინვა.

ის დღე შორია, მან უნდა იხსნას
ჩვენი აღთქმა და ფიცი მომხრეთა,
შეურაცხყოფა ამძაფრებს რისხვას
და მძვინვარებას მეამბოხეთა.

ვისთვის ცხოვრება არის ბადალი
ძველი თამაშის, მზიან ამინდის,
პოეტის სულში ცოცხლობს ქადილი
ისე, ვით შავი თვალმარგალიტი.

მას ახლა სძინავს ჯადოსნურ ხმაში
და სიღრმეებში ინახავს ციაგს,
გამოანათებს, როდესაც მთაში
გამოაღვიძებს წერაქვი წიაღს.

* * *

ჩვენ დაგვესიზმრა ცა ღრუბლიანი,
მღეროდა ხემი, სტვენდა ბულბული,
როცა მკლავებში შემოშრიალდი
უმსუბუქესი, როგორც ბუმბული.

ვიოლინოს ხმა დამატკბობელი
როდის მიწყნარდა, როგორც სურვილი,
რად ჩურჩულებდა ირგვლივ ყოველი,
ვით გაზაფხულის ტყეში დუმილი.

შორს მგლოვიარე ხმათა ზვირთები,
მაისის ღრუბლებს მოსწყდა ცრემლები...
ცეცხლად მოედო მზერას მითვლემილს
ოდნავ შემკრთალი შენი ხელები.

* * *

სალამოს სხივი ციმციმებს შორით,
გამოერიდა ღრუბელს ღრუბელი,
ჩემი გზა მიდის ეკალთა შორის,
გზა – ურთულესი და დამღუპველი.

ისევ დავშორდით, მივხვდით უდავოდ,
ძალა არ შეგვწევს სევდის მორევის,
დაახსომდება გულს სამუდამოდ,
ჩამავალი მზის სხივთა მორევი.

ჩაიფრთხიალა წლებმა საამომ,
რაც მიიმალა, უნდა გახსოვდეს.
რად მეჩვენება: მიდის სალამო,
რომელსაც ვნახავ ველარასოდეს.

* * *

თითქოს ვარსებობთ, მივდივართ, ლამის
გაგვთოშოს ზამთრის ქარის სიცივემ,
ეკლესიაში დღისით და ღამით
უცნობი სანთელს კვლავ აციმციმებს.

თუმც სიბნელეში ისევ რიალებს
თვალით უხილავ უცნობის ლანდი,
სადაც გალობით ჩამოვიარეთ,
იქ ვილაც გალობს და ჩუმად დადის.

სალამოს ქარი ბინდში გაგვახვევს
და მოლოდინში გული ღონდება,
ვფითრდები, ველი, მაგრამ არ ვამხელ,
იმ სიბნელეში ვინ გამოჩნდება.

მე ვიცი... ზამთრის ქარი ბინდს ერთვის,
რადგან ორნი ვართ, დავმალავ სათქმელს.
აქ ვილაც არის, მაგრამ არ გეტყვით,
სულს ვინ უბერავს ჩაღვენთილ სანთლებს.

* * *

გესმის? სოლვეიგ! ო, სოლვეიგ! გზაო მზისფერო,
ამომასუნთქე, დამაცადე, რომ მოვისვენო.

იქ, სადაც ელვა გასრიალდა, ჩანს ნაპრალები
და ნაპრალებში უმწვანესი შენი თვალები.

ეს შენ მიყურებ თუ ბებერი მდარაჯობს ჭოტი?
ჭოტის კივილი უსასრულო ღამიდან მოდის.

სად მიფარფატებს, სად მიფრინავს გრძელი ლაბადა,
მიულწეველო, შენი გზები რომ გაანათა?!

ვიცი, მთებში რომ ამღერებენ ბუკებს ნიადაგ,
ვიცი, მინდორი ყვავილებით გადაბრდღვიალდა.

ო, დამასვენე, სადაც სალი კლდეა ზვიადი,
დამამსხვრევინე ჯადოსნური სარკე წყვდიადის!

რომ ბებრუხუნა ავსულები თავგამეტებით
ძირს ჩამოცვივდნენ, ნაპრალებში, როგორც წვეთები.

რომ სულს განწმენდილს მოევლინოს ლოცვით, იმედით –
დღე ოქროსფერი, ლაჟვარდებით მოციმციმეთი.

* * *

ღამეული, გაფოფრილი ნისლი,
ტყეა ირგვლივ, ტყეს ნისლები აკრავს,
შორს, ქარბუქში აკიაფდა ისევ
კენტი სხივი და უმალვე ჩაქრა.

მერე ისევ გაარღვია ნისლთა
ჯებირები და გამოკრთა როდის...
მომეჩვენა ქოხი, ქოხში – წითლად
მოყვავილე ნემსიწვერას ტოტი.

ღამეული, ნესტიანი ფიქრი,
არაფერი მახსოვს ქოხის გარდა,
გავაჭენე ჩემი რაში იქით,
მოწითალო ყვავილი რომ ჩანდა.

ვხედავ, ნისლებს შეეზარდა იგი,
გაიტაცა ქარმა ნისლის ფრთებით,
სად წავიდა, როგორ გაქრა, მიკვირს,
ვიხედები და ვერაფერს ვხვდები.

უცაბედად აკიაფდა თვალი
არნახული, მომნუსხველი ცეცხლის,
შეხტა ცხენი მშიშარა და მხდალი,
აციმციმდა ქარბუქების ვერცხლი.

„მეგობარო, შეაბრუნე ცხენი,
თავს ნუ იკლავ, გაერიდე, წადი.
ან რად გინდა გაიმწარო დღენი,
ნუ ენდობი შუაღამის წადილს.

ამ წყვდიადში ულალატებ ქრისტეს,
მტკიცე რწმენას – უმტკიცესად ნაგებს,
წითელ ყვავილს ბნელში ნულარ მისდევ,
ნუ დაეძებ მოალისფრო ბაგეს".

განკითხვის ჟამი

თავჩაკიდული რას აკვირდები?!
შენი თვალები ისევ ვინატრე,
ზღაპრულ ფერებით აღარ ირთვება,
გაუფერულებს დილის სინათლე.

მეც შევიცვალე, გულში რაც მენთო
ჩაქრა, ჩანაცრდა უკვე ბოლომდი,
უფრო კეთილად და უიმედოდ
ვუმზერ მიწიერ გზათა მოლოდინს.

ვერაფერს გეტყვი, არ ვარ მსაჯული
და თუმცა სხვები კვლავ გაყვედრიან,
რომ ხარ ცოდვილი და გატანჯული –
ეს გზა მრავალი ქალის ხვედრია.

მე უკეთ ვიცი შენი გზა-კვალი,
შენი ცხოვრების ყველა ნაფლეთი,
ბედმა გიმუხთლა და გიმზაკვარა,
აღარ მოგხედა სასოწარკვეთილს.

დაგვატარებდა მღელვარე ზვირთი,
ვნების კარნახი და აღტაცება,
გვსურდა გვეფრინა, მოგვეხსნა ტვირთი,
რომ მერე ერთად გვეგრძნო დაცემა.

შენ ოცნებობდი: არ შევიცვლებით,
ერთად ჩავქრებით დაუნანებლად
და ჩემს მკლავებში გარდაიცვლები,
როცა იხილავ ზღაპრულ ზმანებას.

მერე რა ვუყოთ, რომ ხარ მარტოკა,
რომ ის ოცნება დარჩა ოცნებად,
მიხვდი, ცხოვრებამ ისე გაგთოკა,
რომ ტანჯვა აღარ წარიხოცება.

იყო ოცნება, თუმცა ცბიერი,
მისი ჩურჩული ახლაც მომესმა,
მაგრამ, ძვირფასო, თქვი, ბედნიერი,
თქვი, ხომ იყავი ჩემთან ოდესღაც.

შენს კულულებში ოქრო იელვებს,
მინდა მის შექზე ღამე ვათიო,
ო, ვნებიანო და ცარიელო,
დაუვიწყარო, გთხოვ, მაპატიო.

* * *

ამა ცხოვრების ავანჩავანი
ზოგჯერ უზრუნველ წუთებს გვაჩუქებს,
როცა ხელს მოგხვევს მხარზე მავანი
და ნათელ თვალებს შემოგვაშუქებს.

მყისვე წარმავალს, მიუკარებას
შთანთქავს უფსკრული ბრმა და მშიერი
და უფსკრულებთან მოირკალება
მშვიდი დუმილის მშვილდი შვიდფერი.

სიმღერის ჰანგი აიხდენს სურვილს,
უცებ შეარხევს სიჩუმის მღვიმეს
და არფასავით დაჭიმულ სულის
აახმიანებს მძინარე სიმებს.

* * *

მივალ, უდაბნო მზით ავსებულა,
მივალ ნეტარი და ჯვარცმას ვნატრობ,
ვიფიცებ ქალღმერთს ჯერ არარსებულს,
არარსებული ლაშქრების პატრონს.

ვეძებ სიჩუმეს და სიმარტოვეს
და ვსვამ ნიადაგ შხამს და საწამლავს,
მოვალ, ოდესმე გზას მივატოვებ,
მე დავბრუნდები, სხვაგან სად წავალ?!

ქალი

ავგუსტ სტრინდბერგის ხსოვნას

გამოვიარე ტანჯვა, წამება,
მე დავეძებდი სიკვდილს ნიადაგ,
დღეს ცოცხალი ვარ და მენანება, –
ვცხოვრობ უაზროდ და სევდიანად.

სასაფლაოზე გზად მიმავალმა
ვნახე პატარა ბორცვი საფლავის,
დე, სამარეში იგრძნოს მავანმა
შემაძრწუნები ჩემი ამბავი.

შებინდებისას, ცა რომ განაზდა,
თაიგულებით მოვრთე საფლავი
და ვისაც თვალი მოვკარ ანაზდად,
იყო ჩემსავით მიუსაფარი.

უცნობის მზერამ არ მიმატოვა,
თითქოს მიხსნიდა ძველ ნაიარევს.
არა, მე ისევ მარტოდმარტო ვარ! –
ვიფიქრე ჩემთვის და ჩავიარე.

ვინ იცის, იქნებ მას ვებრალები
ან იქნებ მოსწონს ერთობ დაღლილი
და მოწყენილი ჩემი თვალები, –
ისიც მარტოა და თავდახრილი.

ისევ მიყურებს, არც კი დაიბნა,
თვალი უცნობის ჭვრეტით გაერთო,
თვალს ავარიდებ, რომ არ გაიბას
ჩვენ შორის სევდის ძაფი საერთო.

მომიახლოვდა, შეჩერდა დიდხანს
ისე ახლოს, რომ მზერამ დამსუსხა,
მე გავიფიქრე: – თუ რამე მითხრა,
რამე უკმეხი ვუთხრა პასუხად.

წაიჩურჩულა ფიქრის გარეშე,
სიტყვამ ჰაერი ძლივს შეარხია:
– ნუ შეშინდებით, ამ სამარეში
ჩემი პატარა ბავშვი მარხია.

მოვუბოდიშე, რომ არ ვიცოდი,
გავიზიარე მისი ნაღველი,
მან ყვავილები გამომიწოდა: –
დაგავიწყდათო, ისე წახვედით.

– ეს ყვავილები ვაგროვე დიდხანს,
თქვენ ბავშვს ვუძღვენი,
აქვე დაჭკნება.
ცივად ასწია მხრები და მითხრა: –
ალბათ თქვენ უფრო გამოგადგებათ.

ველარ ვივიწყებ უეცარ ტკივილს,
გულზე რომ მომხვდა და დამაღონა,
იმ შემწყნარებლურ, დამცინავ ღიმილს,
გზად მიმავალს რომ გამომაყოლა.

* * *

კვლავ მიმეორებ, რომ ვარ ცივი, კარჩაკეტილი,
არ მახალისებს უცნაური დინება დღეთა,
განა ტკბობისთვის გამოვაწრთე სული კეთილი,
განა ტყუილად ვიბრძოლე ბედთან.

შენ ხომ იყავი უფრო მკაცრი ამაყ ფიქრებთან,
როს ვარსკვლავებზე ამოიცან ხვალის ამბავი, –
რომ მომავალი ღამე უფრო მკაცრი იქნება,
რომ არ აქვს ღამეს დასასრული და დასაბამი.

აი, აღსრულდა და სამყარო გაგვიველურდა,
შემოგარენში მოციმციმე არ ჩანს შუქურა,
მათ, ვინც ვარსკვლავებს არ უსმინა, ღმერთო შეუნდე,
ღამის წყვდიადმა სივრცეები გადაუმურა.

ვინც არ იცოდა, რომ ნიადაგ ცოცხლობს წარსული,
რომ მომავალი ღამე ახალ ტანჯვას გვიმზადებს,
სხედან ისინი დაღლილები, ნისლით ავსილნი,
სახეშეშლილნი, ვერმისულნი ნეტარ სიზმრამდე.

იყო დრო... წრფელი იმედები ჟღერდნენ დიადად,
ბედს მინდობილი და უბრალო ვიყავ შენსავით,
ლაღად, გულღიად მივდიოდი ხალხთან ნიადაგ,
არ მაშინებდა მათი ჭორი გულდამგესლავი.

ახლა რაღაა?! იმედების არ მოჩანს კვალიც,
ის იმედები უიმედო წლებმა შეცვალეს,
ყველამ, ვისაც კი შევაგებე ნათელი თვალი,
ყველამ გამწირა, მიღალატა და გავეცალე.

და სული ჩემი ანთებული ელოდა, როცა
მღელვარებისგან ქცეულიყო ფერფლად და ნაცრად,
იგი სიყვარულს და სიძულვილს გაშორდა მორცხვად
და გაიყინა, გაითოშა ანთების ნაცვლად.

დააჩნდა სახეს ნაკვალევი უეცარ რისხვის,
სევდის ბეჭედი – გაცრუებულ ბედის მპყრობელი
და უარყოფა გაუმაძღარ ქალური სისხლის,
ცხოველურ ვნებას ჰმონებს რომელიც.

ვის უკაკუნებ, ჩაკეტილ კარს რად არ შორდები?!
ნუ იტანჯები და ნუ ოხრავ და ნუ წრიალებ,
ცხოველებისგან თანაგრძნობას ნუ ელოდები,
მათგან, ვისაც ჩვენ ვუწოდებდით ადამიანებს.

მაშ აიფარე მაგ სახეზე რკინის ნიღაბი,
წმინდა საფლავებს მოუარე, დათმე ყოველი.
მათი სიმშვიდე დაიცავი, მათთან იყავი,
იქ სამოთხეა მონებისთვის მიუწვდომელი.

* * *

აშრიალდნენ შელამების ჩრდილები,
ნათელი დღე ბინდმა წააფარფატა,
ისევ გუნდი იმქვეყნიურ ხილვების
ახლოვდება, შემოცურდა თანდათან.

ამ დიდებულ შეხვედრაზე მოვედი,
ვინ იქნება შენი სიღრმის მხილველი,
ნუთუ იგრძენ სუნთქვა წინამორბედის –
გაზაფხულის თრთოლვა გასაკვირველი.

გავაყოლებ მზერას ციცინათელას,
ხარობს გული, როგორც წინათ ხარობდა,
შენ ახლოს ხარ, ვიცან შენი ხატება –
ამა სოფლის უმოძრაო წყაროსთან.

* * *

შენ არასოდეს არ იქნები ჩემი ან სხვისი,
აი, რამ შემძრა და უფსკრულთან რისთვის მოვედი,
უძირო დღეთა სიმძიმისგან ვერავინ მიხსნის,
აი, რატომ ვარ შენი ტყვე და შენი პოეტი.

აქ ჩანს ქალური უარყოფის მკაცრი ნიშანი
და საოცარი სილამაზე მიუწვდომელი,
იქ უსასრულო სამყარონი გადაიშალა,
მოჟონავს სული ჰარმონიის შეუცნობელის.

იმღამინდელი ჩემი ღელვა, ბნელი დარბაზი, –
აი, საბრალოვ, რატომ ვფიქრობ და მედარდები,
აი, გზაში ვინ დამადევნა მზერა ლამაზი,
ვინ დამაეჭვა, ტყვედ მაქცია იმ მოლანდების.

თავისუფალო, შენ მიფრინავ და არას ითხოვ
და უორბიტო სივრცეების შენ ხარ ცთომილი,
შენთვის სამყარო მოწითალო კვამლია თითქოს,
იქ რაღაც იწვის, რაღაც შფოთავს შეუცნობელი.

და იმ ბრწყინვაში მომნუსხველი შენი ხმა ისმის,
მხოლოდ მუსიკა, –
არც თანხმობა და არც ღალატი,
მხოლოდ მუსიკა, –
არც წუხილი და არც ხალისი,
მეც ასეთი ვარ, მეყვარები, კარმენ, მარადის.

* * *

ცას თოვლის ბინდი ერთვის,
მკაცრი ქარბუქი ჩადგა,
შენ უცნობი ხარ ჩემთვის,
შენ ხარ ლექსების ქარგა.

იდუმალებას გავხარ,
ვქსოვ თოვლის ძაფებს ისევ,
შენ ხომ პირველი არ ხარ,
ვინც მე ჩამბარდა ხიდზე.

აქ – ელნათურის თვალი,
იქ – ზღვას სიბნელე ფარავს,
ყინვით შეკრული წყალი, –
კარს არ გაგიღებ, არა,
ო, არასოდეს,
არა!

თან გავიყოლებ თოვლის ნამცეცებს,
მივალთ, უფსკრული გველის მრავალი,
ისევ ცას უმზერ, თვალს არ აცეცებ,
აყვავებულა ზეცის თავანი.

შენ უმზერ ნაღველს, –
ცისფრდება თოვლი...
სიშორეს დაღლილს
მარხილთა ქროლვით.

შენი თვალები ვნებით ივსება,
იდუმალებას ამხელს,
თოვლის ბაგენი გადაიხსნება,
მიახლოვდება სახე...

სიმაღლე, სიღრმე, სიჩუმე თოვლის,
დუმხარ, დუმილი მარადის გდევდა,
შენში გადმოდის მსუბუქი თრთოლვით
იგივე დარდი, იგივე სევდა.

ლექსებს ზამთრისას თოვლისფერი შუქი ეფინა,
ახლაც ვკითხულობ ჩემთვის, ზეპირად.

* * *

გარდავიცვლებით და დაგვმარხავენ,
გადავიქცევით საბრალო ბორცვად
და ველარავინ ვერ დაგვანახებს,
იქ, ზევით, წვიმა წამოვა როცა.

ალარ მოგვიწევს ფიქრებით დაღლა,
გვეცოდინება: – დასასრულია
თუ სიჩუმეა – სთველია მაღლა,
თუ ხმაურია, გაზაფხულია.

ნულარ ვიჩქარებთ, უკვე დავკარგეთ
წლები, რომლებიც ახლაც მიქრიან,
ვიყოთ, განვსაჯოთ მშვიდად ავ-კარგი,
ხალხის გონებას რაც უფიქრია.

* * *

განთიადზე არ ჩანს გზები
და ოცნებაც მკრთალია,
სერაფიმის ფეთქავს ფრთები,
ზეცა გამჭვირვალეა.

ლაჟვარდებით გარემოსილს,
დრო დარბაზებს ანაზებს,
თეთრი, თეთრი ანგელოზი
გზებს ვარდებით აღავსებს.

ზეციური ჩემი ცოლი
ტოვებს ცისფერ კამარას,
გადაიხსნა ოქროს რგოლი,
ქათქათა ფრთებს დამალავს.

* * *

დრო და სიკვდილი ბატონობს ქვეყნად
და მეუფეებს მათ ნუ უწოდებ.
ვლ. სოლოვიოვი

ვიცი, საბრალოვ, რომ მძიმე ტვირთის
მოგბეზრდა თრევა დიდი ხანია,
გტანჯავს უსულო დრო-ჟამის ზვირთი,
მე კი მივალ და მიმიხარია.

აქ უიმედო გრიგალი გრგვინავს,
ქრიან სიზმრები ავი, თავნება,
შენზე მეუფობს ლაჟვარდის ბრწყინვა,
ვერ გრძნობ სხივნათელ დღის ელვარებას.

თუმც ააყვავებ ხილვას იდუმალს
განახლებათა ცეცხლით თანდათან
და ძველ ოცნებას – წარმავალ სტუმარს
კვლავ განთიადის შუქი გაფანტავს.

* * *

როცა ღამეა ბნელი, უმთვარო,
სძინავს ქალაქს და დუმს სალოცავი.
ო, რა მუსიკა ისმის, უფალო,
შენი მუსიკა გასაოცარი.

რაა სიმწარე, შენი ვარდები
როცა მინთია და ვერ ველევი, –
ჩამავალი მზე როცა მკრთალდება,
ადამიანთა რაა ცრემლები.

ო, დედოფალი ზეციურ ხმების,
ფასად წამების, სისხლის, სამარის,
მიიღე თასი, აღსავსე ვნებით
უღირსი მონის, მიუსაფარის.

* * *

ისევ მოვედი, ისევ ბინდია,
უიმედობით სული ამევსო,
აი, ისინიც, ორნი მოდიან
სასიყვარულოდ და საალერსოდ.

მე ვარ საბრალო და გახელებით
ხელი შევახე დანას ალესილს,
რამ დამასიზმრა თეთრი ხელები, –
ქალწულ ფერიის ნაზი ალერსი.

აი, ისინიც, კოცნის მგზნებარედ
ხელზე და მოჩანს მისი პროფილი,
მე საკუთარ ლანდს ამოვეფარე,
საცოდავი და უარყოფილი.

გარბოდა ლანდი და ღამით ავსილ
ლანდის თვალებში ვნება ღვიოდა
და დღე, გარდასულ დღეების მსგავსი,
თანდათანობით შემოდიოდა.

* * *

თოვლიან ბინდში შავი ყორანი,
შავგვრემან მხრებზე შავი ხავერდი,
ხმა უნაზესი, გაუგონარი,
სევდიან ხმაში ღამე სამხრეთის.

გულში ციმციმებს ვნება ჩვეული,
ვით შუქნიშანი ზღვათა მზვერავი
და უფსკრულებზე თავაწეული,
სუნთქვაშეკრული მიჰქრის მერანი...

ქარბუქი... ბაგეს წვავს უკოცნელად
შენი სურნელი, სუნთქვა, კულული,
ო, ვალენტინა, ჩემო ოცნებავ,
ისევ მიგალობს შენი ბულბული.

ეპატარავა გულს ეს სამყარო –
ავსილი შენი წვით და კოცნითა,
სადაც ბოშათა ისმის სიმღერა
და კომეტების ცეცხლი მოცვივა.

* * *

„აუხდენელი კვლავ მეზმანება“
ფეტი

ისევ მკრთალია სხივთა თამაში,
ყივის მამალი, ვერ გაათენა
და დამწიფებულ პურის ყანაში
ძლივსღა ციმციმებს ციცინათელა.

მდინარის გაღმა შუქის ჭიატი,
ჩაშავებული ტოტების თვლემა,
ნისლში ზღაპრული და იშვიათი
ქრის უჩინარი ცხენების რემა.

მოწყენილ მინდორს მივდევ ცისმარე,
ძველი მოტივი რას მეუბნება?!
აუხდენელი ქრება სიზმარი,
თანდათანობით სულს ეუფლება.

ვჩურჩულებ, სიტყვა სიტყვას მოება,
არარსებული წვით, გახელებით
და ირწევიან ხეთა რტოები,
მათი ხელები და სახეები.

* * *

დღე მოვა, როგორც წამი მოლხენის,
დაგვავიწყდება ყველა სახელი,
შენ თვითონ მოხვალ, თვითონ მომხედავ,
დაგხვდები მრავალ სიზმრის მნახველი.

დახედავ სახეს თრთოლვამოფენილს,
შეიცნობ ჩემი ფიქრის დინებას
და წარსულ დღეთა უარმყოფელი –
შენი სხივები მომეფინება.

და როგორც მაშინ, მღიმარი მუდამ,
ამოიკითხავ ჩემს შუბლზე ახლაც –
სიყვარულს უნდოს, ესოდენ მბჟუტავს,
ძირს, მიწაზე რომ ჰყვაოდა სადღაც.

უფრო საოცრად ვიგრძნობ მოლოდინს,
ეჭვებს და ფიქრებს გულს მოვაცილებ
და ჩემს ფიალას დავცლი ბოლომდი
შენი დღის მოწმე და მონაწილე.

* * *

იყო საღამო შემოდგომის და წვიმდა ისევ,
იგივე კითხვა მაფიქრებდა საოცრად დაღლილს,
როცა ოთახში შემოვიდა – ვითარცა ნისლი –
უცხო ჯენტლმენი და შემოჰყვა ფეხდაფეხ ძაღლი.

მან სავარძელში, ცეცხლთან ახლოს მოიკალათა
და ძაღლიც გაწვა ძირს, ფარდაგი რომ აფენია.
მითხრა სტუმარმა: „შეეგუე სვე-ბედს თანდათან,
კმარა, ბატონო, დამორჩილდი ბედის გენიას“.

„თუმც სიბნელეში, სიყმაწვილის ნატვრა ერთგვარი...“
ასე დავიწყე და სტუმარმა შემაწყვეტინა,
„ისევ ისეა, ნაზი ლენორ შეშლილ ედგარის,
გზა დაბრუნების არ არსებობს, ესეც ბედია!“

საკვირველია, მღელვარებას ვნება ჩაუქრა,
თითქოს სტუმარმა მეც შემცვალა, ვგრძნობდი
ნამდვილად,
ასე გულმშვიდად, საქმიანად გამესაუბრა
და არსებობა შეუმჩნევლად გამიადვილა.

თვითონ წავიდა, დარჩა ძაღლი, კეთილად უმზერს
ჩემს სიმარტოვეს და არც უნდა რომ მიმატოვოს,
თათს დედაკაცურს თანაგრძნობით დამადებს მუხლზე,
თითქოს ჩურჩულებს: „დამორჩილდი სვე-ბედს, ბატონო“.

* * *

შენი სახელი ვიცი მაცდური,
შავი ხავერდი, ბაგე მდუმარი,
მაგრამ შენ მიღმა ზოგჯერ დაცურავს
რაღაც უცნობი და იდუმალი.

და მრისხანებას თითქოს ვეჩვევი,
როცა სიბრაზე სახეს შენისლავს,
მწვავს და მაწამებს შავი ეჭვები
ჩემთვის უცნობი შენი ქვეყნისა.

მზად ვარ ტანჯვისთვის, ვერ შეგელევი,
ვიხსენებ ქარბუქს და ვირინდები,
მე მახსოვს შენი სუსტი ხელები
და მოჩურჩულე მარგალიტები.

* * *

კვლავ აფთიაქი, ქუჩა, ფანარი,
ღამეულ შუქის უაზრო ბჟუტვა,
იცოცხლე თუნდაც წელი მრავალი,
საშველი არ ჩანს, ასეა მუდამ.

გარდაიცვლები, მთელი სიმძიმით
განმეორდება ძველი ზღაპარი:
ღამე, გაყინულ არხის ციმციმი,
კვლავ აფთიაქი, ქუჩა, ფანარი.

* * *

მე ვუერთდები ჩრდილებს საშინელს,
შენ ეჭვობ, ფიქრი მინას შორდება,
დღესთან შეხვედრა ისევ გაშინებს
და ვერ გრძნობ ღამის მოახლოებას.

ნუ ელი სიტყვებს ზეშთაგონებულს,
ვერ მივაღწიე ყრმობის მიზნამდე
და მშვიდად ვუცდი, როგორც ორეულს,
სიზმარს, რომელსაც მინა მიმზადებს.

სთქვი, ოცნებებით როგორ ავენთო,
ამა სოფლიდან რაღას მოველი?
როცა არ გჯერა შენ, ერთადერთო,
ამ განწირული საგალობელის.

ერთვის სიბნელე სივრცეს სანატრელს,
გაქრა ტკივილი – ფიქრის წყალობა,
შენ ხარ უკვდავი, მარად ანათებ
და არც გაფიქრებს წარმავალობა.

* * *

რა უცნაური სანახავია,
ო, ჩრდილოეთო, ეს საოცრება,
ეს ვრცელი ვაკე არახალია,
ბერწია, როგორც ჩემი ოცნება.

აქ სული ჩემი შეუპოვარი
მკაცრი სიცილით დუმილს აშინებს,
თითქოს პასუხად შავი ყორანი
ფიჭვის კენწეროს არწევს მაშინვე.

მოჩქეფს ჩანჩქერი და იფანტება,
გრანიტზე ათას შხეფად აცურდა,
ქვებზე მღერიან ნაიადები
ჰიმნს გაურკვეველს უქმრო ქალწულთა.

ამ გუგუნს, ხმაურს, გული დანებდა
და მწუხარება ვეღარ გაფანტა
და ბერწ ქალწულთა თევზის თვალებთან
ჩემი ცხოვრება ქრება თანდათან.

მეორე ნათლობა

მე მივხვდი კარის გამოღებაზე,
სახლს რომ თოშავდა თოვლის სინათლე,
რომ უახლესი თოვლის ემბაზით
თითქოს მეორედ მე მოვინათლე.

და გამახსენდა სამყარო სულ სხვა,
და ხალხი საქმით უთავბოლოთი,
ვერ მოესწრება სამოთხის სუნთქვას,
ვინც დასდგომია გზას სიბოროტის.

სული დაღლილა, მან მოიწყინა,
მობეზრდა მიწა, დების ალერსი,
როგორც ყინული, შუბლზე მიბრწყინავს
ქარბუქის თვალი უძვირფასესი.

ო, სიამაყემ ახალ ნათლობის
გათოშა გულში ცეცხლის ზვირთები,
რატომ მახსენებ, რასაც ვნატრობდი?
გაზაფხულის მზეს რატომ მპირდები?

გულს უხარია თოვლით დათრობა!
ჩანს სივრცე თოვლით სასომიხდილი,
ვუცდი მესამე, ბოლო ნათლობას:
ბოლო ნათლობა არის სიკვდილი.

* * *

ლოდინში გადის ჟამი მშიშარა,
სამწუხაროა და დასანანი,
თავი დახარა, ჩამოიშალა
ბუნდოვან მხრებზე მჩატე დალალი.

მწირია ჟამი და წარმავალი,
ასე გვქონია თურმე მოსჯილი,
ნუ უსმენ, როცა ამბობს მავანი: –
დაელოდეო, იყავ მორჩილი.

უცნაურია შენი გზა-კვალი
ან რას გვკარნახობს ბედის სიავე:
„მიდი, არწიე უცხო აკვანი
და ჩვილს საძულველს ელოლიავე!“

მეც ხომ აქა ვარ, ჩემი პროფილით
ჩანგზე დახრილი, როგორც წერაქვი,
გაავებული, უარყოფილი,
დამცირებული, განა ვერაგი.

მწამს შენი თმების ბინდი დაღლილი,
ვერ გიღალატე და ვერ გაგცვალე
და ჩემი სული მორჩილ ძაღლივით
შენს ფეხთან ყმუის და ჯაჭვს აწვალებს.

ბედნიერი ვარ შენი მნახველი,
მინდა, რომ შენი სუნთქვით აღვივსო,
მსურს დავიძახო შენი სახელი
და შენთან ვიყო სამარადისოდ.

ნუთუ სიცოცხლე არის ზმანება
და შხამის კვალად შხამი მომელის,
ო, საღალატოდ შემენანება
თვალები, ასე მიყვარს რომელიც.

უძველესია მთვარის ნათება,
ყველაფერს ძველი შუქი ედება,
რომ მკვდარი ისევ დაიბადება,
სიტყვასთან ერთად აღმოცენდება.

ვინ ეკითხებათ, ვფიქრობდით რაზე, –
შენ რა მაჩუქე, მე რას ვპოვებდი,
როცა მოვკვდები, საფლავის ქვაზე
ამოკაწრავენ სიტყვას – პოეტი!

* * *

იგი მოვიდა და მოინდომა
მომშველებოდა, ისე, ვით წინათ,
გაექრო ჩემი უამინდობა
და გაყინული გაეთბო ბინა.

თავს წამომადგა უცებ ცასავით,
თავის სათქმელი უსიტყვოდ მითხრა,
ვერ შევძელ თუნდაც ხელის სავსავით
მეთქვა, რომ მასზე ვდარდობდი დიდხანს.

სევდით ჩამხედა ბინდიან თვალში,
გრძნობდა სიბნელეს ჩემზე ჩაფრენილს,
მაგრამ ჩვენ შორის, მე მივხვდი მაშინ,
არ არსებობდა აღარაფერი.

მრავალი დღე და წელი მრავალი
მიწიერ ვნებით ვიყავ დაღლილი,
ბედნიერებამ, შორად მავალმა
შორს ჩაიქროლა შლეგი მარხილით.

ავად ვარ, ვკვდები უარყოფილი,
თავისთან მიხმობს შუქი ციური,
ჩამავალი მზით ვარ კმაყოფილი,
არ მაკრთობს ღამე მარადიული.

მარადისობამ ცივი ციმციმით
ჩამხედა თვალში, გულში ჩამიკრა
და ლურჯი ღამის მკაცრი სიცივით
ღელვის კოცონი მყისვე ჩამიქრა.

* * *

ცისფერთვალა უფალს გაუჩენია
უპირველეს სიყვარულის გენიად.

ადგა მშვიდად ლამაზი და ნეტარი,
აამღერა შხამიანი ნესტარი.

შლის ნაკვალევს, არ სურს ძველის გამხელა,
არც კი ვიცი რა დავარქვა სახელად.

ნაზი ხელი, ხელი მოსაფერები,
დახშული ხმა, უცნაური ბგერები.

ცისფერია ცისფერთვალა ირემი,
სიცისფრეში ისევ ჩავიძირები.

* * *

შენ, მოჩურჩულე სიტყვით შობილო,
საღამოს ბინდში გამოხმობილო,
მახსოვს, მოსტაცე ფერი ალუბალს
და სულში ჩამწვდი, როგორც გალობა.

მას შემდეგ, ღამით,
ღამით და დილით,
თან დამდევს შენი მსუბუქი ჩრდილი,
საამო სუნთქვა თეთრი ბალების...
მე შენს ფეხის ხმას უხმოდ გავყვები,
შენს სილამაზეს, სავსეს კაეშნით,
არ მივატოვებ ნათელ ღამეში.

* * *

თეთრი ხარ, როგორც თოვლი პირველი,
ტაძრის სითეთრე როგორ გშვენოდა.
არ მჯერა ღამის – შავი ფრინველის,
საღამოების უსაშველობა.

ვუსმინო ჩემს სულს,
სურვილი არ მაქვს,
ო, იქნებ, შენი ხმობა მომესმეს,
ო, იქნებ, როგორც გვიანმა მგზავრმა,
მოგიკაკუნო კარზე ოდესმე.

არ გამახსენებ წარსულ სიმწარეს,
შენ მაპატიებ,
ისევ მომიცდი
და გაზაფხულის ნათელ სიმწვანეს
გადასარჩენად კვლავ გამომიწვდი.

მუზას

შენს სიმღერაში ისმის ფარული,
საბედისწერო ჩქამი სიკვდილის,
წმინდა აღთქმათა წყევლა მზაკვრული
და უბედობა სასომიხდილის.

ო, მიმზიდველო, გიმზერ როდესაც,
ვიცი, სიცოცხლე რომ შენი არის,
შენ აკნინებდი ანგელოსებსაც
და აცთუნებდი სიმშვენიერით.

როცა დასცინი ხმამოწამლული
რწმენას, შენს ირგვლივ თითქოს ბრუნდება –
წრე ნაცრისფერი, მომეწამულო,
მე რომ ვიხილე ერთხელ ბუნდოვნად.

რა ხარ – სიკეთე თუ ბოროტება,
საიდან, როგორ, რატომ მოხვედი,
ზოგისთვის ტკბილად რომ ბოლოვდები,
ჩემთვის ტანჯვა ხარ და ჯოჯოხეთი.

გამთენიისას, როცა მომესმა
შენი ჩურჩული, რატომ მშველოდი,
რატომ არ მოვკვდი, გნახე როდესაც
და შენგან ნუგეშს რისთვის ველოდი.

მე შენთან მტრობა მსურდა თავიდან,
მაგრამ არ ვიცი, რისთვის მაჩუქე
ცა ვარსკვლავებით, მდელო ყვავილთა
წყეულ სიტურფით რად გამაშუქე.

ცივ ღამეებზე უფრო მზაკვარო,
დამათრობელო, როგორ შემოდი,
ხანმოკლე ტრფობის ცრუო გზა-კვალო,
ო, რა საშინლად მეფერებოდი.

საბედისწერო შვება, ვნებანი,
გამოტყუება მერე ამ გზიდან,
გულის უგონო სიტკბოებანი
და ვნება მწარე, როგორც აბზინდა...

* * *

კვლავ სიჭაბუკე თავისებური...
შეუმჩნეველი აზრის შეჩვევა,
ბედნიერება არ არსებულა,
არც იარსებებს, არ მეეჭვება.

საშიში წლები გადის ხმაურში,
თითქოს იმედიც გადაიწურე,
თუ გამოხვედი და გადაურჩი,
საკვირველებას მაშინ ირწმუნებ.

ბოლოს მიხვდები გაუოცებლად,
რა საჭიროა ბედნიერება.
აუხდენელი იყო ოცნება,
რომელსაც უკვე ბინდი ერევა.

სხვა უკეთესი რა დამრჩენია,
ფუჭი ყოფილა, მე რაც ვიწამე,
რაც იყო ჩემი, უკვე ჩვენია
და უფრო მყარად ვდგავარ მიწაზე.

მხოლოდ ჟამიჟამ, გასაოცებლად,
მოგაგონდება ნეტავ როდემდი,
სადღაც მბჟუტავი ყრმობის ოცნება –
ბედნიერებას რომ ვუწოდებდით.

* * *

დღე მიილია, ქრება ნათელი,
ქრება იქ, სადაც გზათა მტვერია
და მოწითალო ათინათები
ჩემი სანთლების შუქს შეერია.

ღამე კი, სულ სხვა ღამის მხმობელი,
მრუმე ზოზინით ჩემკენ მოცურავს,
წითელ ათინათს ისევ მოველი,
თუმცა სიბნელით გარემოცულა.

ფუჭად მიმაჩნდა, რაიც გადაღლილს
და სინათლეში მწარედ მოისმა,
ის აღსრულდება მტვერში გადახრილ
ფერად სხივებში საღამოისას.

* * *

ბრუნავს ქვეყანა, წლები გადიან,
წყვდიადის თვალით სამყარო გვიმზერს,
სულო, იმედად რა გაბადია,
ბედნიერებას რომ ელი ისევ?!

ბედნიერება?! –
რა არის ნეტავ? –
ტყეთა სიგრილე,
სიჩუმე სრული? –
ბინიერების და ვნების ფეთქვა,
თუ ღვინისათვის განწირვა სულის?

ბედნიერება წამია მხოლოდ,
თავდავიწყების თრთოლვა, ზმანება,
გამოერკვევი, მიხვდები ბოლოს:
მტკივანი გულით სად გეჩქარება.

სულს მოიბრუნებ, ოხერ-ტიალი
გული უეცრად კვლავ შექანდება,
როგორც ჩიკორი ბრუნავს, ბზრიალებს,
ცოტაც და თითქოს წყდება, ვარდება.

ვებლაუჭები ნაპირს ალესილს,
გვესმის ზუზუნი, ფეთქვა, ფართქალი,
ხომ არ ვგიჟდებით უსაძაგლესი,
გამოგონილი ტყუილ-მართალით.

დასრულდეს მაინც...
აბეზარ ბგერის
ავი ზუზუნი როდის მიწყდება?..
ძმაო, ძმობილო, მომეცი ხელი, –
კვლავ შევუერთდეთ თავდავიწყებას.

* * *

ომის ხანძარი გრძელდება ისევ,
ალესილ ხიშტებს მკერდებს ახლიან,
დაფიქრდი წამით, იხილავ ცისფერს
და სიცისფრეში სახეს ნაღვლიანს.

შეავლე თვალი ლაჟვარდს საამოს,
მიმოიხედე მშვიდად, ხალისით,
იქ – წყნარ, უცისფრეს, დაუსაბამო
ლაჟვარდის კვამლში – გრგვინვა არ ისმის.

მოხუცი მწყემსი დატოვებს ფარას
და ლაჟვარდოვან კვამლს დაეწევა,
გაუვარდება მეომარს ფარი,
ისიც ულურჯეს სივრცეს ეწევა.

ერთად მიდიან, განსრულდა გარჯა,
მიწაზე დარჩა მხოლოდ ნაცარი,
უფლის მინდორზე ფარ-შუბი არ ჩანს
და არ გუგუნებს ომის ხანძარი.

* * *

შენს წმინდანობას
ვერ დავიჯერებ,
რადგანაც ვიცი წინასწარულად,
რომ ერთხელ წადილს ვერ შეიჩერებ,
გამოაპარებ მზერას ფარულად.

ო, იდუმალი და შავოსანი
მოვა ნიღაბი ტანჯვით შობილი,
მე შემოგძახებ შიშით, „ოსანა“,
როგორც შეშლილი ქვედამხობილი.

მყისვე ზეციურ ხმას გამაგონებ
და გამოაჩენ ნათელ სახებას,
როცა სიცოცხლეს ამოვაყოლებ
ჩემს უკანასკნელ ამოძახებას.

* * *

როგორც სურვილი, იზრდება სახლი,
მიმოიხედე, მობრუნდი, დროა,
სად თეთრი სახლი მოჩანდა მაღლით,
ფუთფუთებს ნაგვის საზარი გროვა.

გაქრნენ საგნები თუ დრომ შენისლა,
ცაში გამქრალი ბევრი მინახავს,
მითხარ, ორფეოს, ცოლის ძებნისას,
„მოიხედეო", – ვინ დაგიძახა?

ვიდრე მტანჯველმა დარდმა ჩამნაცროს,
სჯობს ჩავეხუტო ტალღებს ბღავილით,
ჩავიძირები და ჩემს სანაცვლოდ
ამოცურდება თეთრი ყვავილი.

* * *

წახვედი, მაგრამ სუმბულებს გაშლილს
სწყუროდათ ისევ ის მდუმარება
და შენს მსუბუქად გაფენილ შალში
ყვაოდა ღამის იდუმალება.

როცა საღამო სხივებს ამოშლის,
მე ვიცი, მოხვალ, მოხვალ, ნანატრო,
რომ სურნელებით ნილოსის შროშნის
კვლავ გამაბრუო, ისევ დამათრო.

მეცნობა შენი სუსტი ხელები,
მოსაფერებლად მზერა მიმირბის,
მე მახსოვს ტანი განახელები,
დაღლილი მხრების რკალი ირიბი.

თუმც შენს თვალებში განუზომლობა
და ქერა ბინდი მოჩანს მარადის,
მალავ მზაკვრობას და უნდობლობას
და უსაშინლეს ღამეს ღალატის.

გაურკვევლობის ნისლი გახურავს,
ვერაფერს ხვდები ვნებით გართული,
არ იცი, რომელ ღმერთებს მსახურებ
ანდა ვის რჯულზე ხარ მონათლული.

შემოდი ჩემთან, ვნების ძახილი
კვლავ გამაგონე, კვლავ გამიხსენე
და ბნელი მზერის ბასრი მახვილით
ცოცხალი გული გადამისერე.

მოდი, ურწმუნოვ,
არ გაგაბრუნებ,
ამ ყრუ ღამეში გიცდი საწყალი,
მიბნედილ ბაგით კვლავ გამაბრუე,
მერე დამახრჩვე შენი ნაწნავით.

დემონი

მე გამომყევი, როგორც ერთგული
მონა და შიშის ჯაჭვი დაფლითე,
იქ, სადაც მოჩანს თოვლით შემკული
თეთრი მწვერვალი,
ერთად ავფრინდეთ.

მე გაგაგონებ უფსკრულთა შიშინს,
მათ უფსკერობას მე გაგაგონებ,
შენი ფუჭი და ამაო შიში
უფრო აღმანთებს და შთამაგონებს.

რომ შეგეცვალოს ძველი იერი
და მიწიერი გაქრეს დარდები,
შემოგეხვევი ფრთებით ძლიერით
და არასოდეს დამეკარგები.

და მის უწმინდეს კალთებს შევუვლით,
აგვავსებს შუქი გასაკვირველი,
დაგნაცრავ ჩემი ღვთიურ სხეულით,
სიმშვენიერით ჯერ უხილველით.

შენ ხომ არ უწყი, გაქრება სწრაფად
ადამიანურ ვნებათა ბადე,
მოსაწყენია ამაო სწრაფვა –
ადამიანურ ვნებას რომ ბადებს.

როცა საღამო გაირინდება
და უხილავი მთიებს წარმოშობს,
მაღლა გაფრინდა კვლავ მოგინდება –
ვარსკვლავებიან ცის უდაბნოში.

თვალით უხილავ სივრცეს გავივლით,
ზეავმაღლდებით ფრთების სავსავით
იქ, სადაც მიწა ჩანს ვარსკვლავივით,
ხოლო ვარსკვლავი ჩანს მიწასავით.

შენ დაგანახებ,
მხოლოდ შენ – პირველს
და სამყაროებს შეიცნობს ახალს
და თვალს შეავლებ საოცარ ხილვას,
ჩემს თამაშსა და სიანცეს ნახავ.

ათრთოლებული, შიშით დაცლილი,
წაიჩურჩულებ:
„კმარა, გამიშვი!"
მე უმსუბუქეს ფრთებს გამოგაცლი,
გეტყვი:
„გაფრინდი, რადგან არ იშლი".

მერე, ღვთაებრივ ღიმილის მერე,
წახვალ ქვასავით, წამით იელვებ,
შეუერთდები სამყაროს ფერებს
და მოელვარე სიცარიელეს.

კუნძულზე

მიმოთოვლილი მოჩანს სვეტები,
ხიდი და წყვილი შუქის ნათება,
შეყვარებულ ქალს ცეცხლი ედება,
ცისფერ სიზმრისკენ მიემართება.

ის ჩემთანაა – ახალი სატრფო,
შეუჩერებლად მიქრის მარხილი,
დაუფარავად ვკოცნი და ვათბობ,
უსუსტეს მხრებზე ოდნავ დახრილი.

სევდიანია ეს სიტკბოება
და ესეც მალე აღესრულება,
ეჰ, ვილას ახსოვს ძველი დროება,
ხვეწნა, მუდარა და ერთგულება.

ო, განა პირველს ვეარშიყები,
დამეჯერება, არ ვარ მკვეხარა,
საქმეს დინჯად და მკაცრად მივყვები
და არ ვპირდები ცას და ქვეყანას.

ვით გეომეტრი, მე გავიწაფე,
ვითვლი ყველაფერს,
ჩემთვის ვჩურჩულებ,
ვითვლი ხიდებს და ქარის სისწრაფეს
და ჩაბნელებულ მცირე კუნძულებს.

თან ოსტატურად გავშლი ბეწვეულს,
თან გაუთბება მარხილს კალათა
და სატრფოს უფრო ახლოს ვეწვევი,
არ ჩაგვეთვლება არც ერთს ღალატად.

როცა სიყვარულს ცეცხლი უქრება
და ვირინდებით ოდნავ დაღლილი,
მშვიდად ვარ, რადგან არ მემუქრება
ჩემი რაყიფის ბასრი მახვილი.

არ ელოდება სატრფოს კეთილი,
შეშფოთებული, მზრუნველი დედა,
ქმარიც, ოთახში გამოკეტილი,
ძილში მშვენიერ ზმანებებს ხედავს.

ის, რითაც ღამე ხსოვნაში ღვივის
და მოგონება რითაც განათდა,
გაგრძელებაა წუხანდელ ლხინის,
ანუ სინათლის ბნელში გადაზრდა.

* * *

ქრება, ინთება და მიმზიდველი
შუქ-ჩრდილის კრთომა თითქოს ზვირთია,
ყაყაჩოები წითელ-ყვითელი
სიზმარში ახლაც ჩემკენ ილტვიან.

ღამის მღვიმეში კვლავ გადავეშვი,
თვალები შიშის შიშით ქრებიან,
და ქიმერები ზეცის სარკეში
გამთენიისას იმზირებიან.

მივდევ გაქცეულ წამთა განთიადს,
თვალებს მიბნიდავს შორი წარსული,
გაშლილ წიგნში კი ისევ ანთია
ოქროს ნაწნავი ზღაპრულ ქალწულის.

თითქოს დაბლდება ზეცის გუმბათი,
ვიხრჩობი შავი სიზმრის მდინარით,
აღსასრულის დღე ვიგრძენ გუმანით, –
ომი და ცეცხლი ისევ წინ არის...

* * *

ჩემი ფიქრები
უძლურების ზღვაში ტრიალებს,
ტკბილ-მწარე განცდას
ქედი მაინც არ მოვუხარე,
მახსოვს, ძვირფასო,
რა საოცრად ჩაინკრიალე,
დღესასწაულით ამიყვავე
სული მწუხარე.

ენით უთქმელო, შორეულო,
არ გაქვს სახელი,
ო, იდუმალო,
ნეტავ ქვეყნად ვინ შეგედაროს,
ჩემო მნათობო,
მეშინია შენი გამხელის,
შენა ხარ თასი
შხამით სავსე და სანეტარო.

* * *

შენ მიიმალე, მიწა შეიძრა
და ცხელ უდაბნოს მკერდს ჩავეკარი,
ვიცი, დღეიდან ველარ შევიძლებ,
სიტყვა რომ გითხრა დაუდეგარი.

რაც იყო, იყო, ან ჩავლილია,
შენს თვალუწვდენელ სიმაღლეს მივდევ,
შენ მშობლიური ხარ გალილეა,
მე კი – აღდგომის ნატრული ქრისტე.

სხვა მოგეფეროს და ვინც განიცდის,
მანვე ამრავლოს სიტყვათა ხვავი,
ადამიანის შვილმა არ იცის,
სად მოიდრიკოს მორჩილად თავი.

* * *

ისე მეცნობა შენი ხატება,
თითქოს გიცნობდი, გულში გმალავდი,
შინ ვარ თუ სტუმრად მივეხეტები,
შენი პროფილი დამდევს მარადის.

შენი შრიალი ჰაერს შეარხევს,
ყველგან შენს სახეს ვხედავ კვლავ და კვლავ,
უმსუბუქესო, იქნებ, შენა ხარ,
ღამღამობით რომ დამდევ კვალდაკვალ?

კარს გავაღებ და უნდა ვინანო,
თვალს შეგავლებ და დამენანება, –
ჰაეროვანო და უჩინარო,
ქრები მაშინვე, როგორც ზმანება.

ვიხსენებ, თითქოს ოდესღაც გნახე,
ნუთუ შენ იყავ? ეჭვი დამზაფრავს:
საფლავთან იჯექ მწუხარე სახით,
გიშრიალებდა ქარი თავსაფარს.

მოგიახლოვდი, მახსოვს – ვღელავდი,
შენ კი წახვედი, მოშორდი ბექობს,
მერე მდინარის პირას მღეროდი
და შენს სიმღერას უწმინდეს ექოდ

იმეორებდნენ ბინდში ზარები,
მე კი ვტიროდი, მაგრამ ამაოდ,
შენი ხმა, ზარის ხმას შენარევი,
იბინდებოდა, როგორც სალამო.

შენი სიმღერა აღარ მომესმის,
მდინარის გაღმა ჩანს თავსაფარი,
ისევ შევხვდებით, ალბათ, ოდესმე
ამისრულდება ძველი ზღაპარი.

* * *

მე ბებერ მიწას მივაყურადე
და გული მყისვე დასევდიანდა,
იქ ვიღაც ტირის, კვნესის მუდამდღე
და სულს წყვდიადში ტანჯავს ნიადაგ.

ჰეი, წამოდექ, წყვდიადს განაბულს
სძლიე და ცეცხლად ამობრიალდი,
რომ ელვასავით უცებ განაპო
ჯოჯოხეთური ღამის წყვდიადი.

ნუ ჩიჩქნი მიწას – ბინდის სათავეს,
თვალი წყვდიადით ისევ გევსება,
მუდამ გახსოვდეს:
ხნულში თავთავი
კვლავინდებურად ჩაითესება.

შენც მარცვალივით – სვენებ-სვენებით
ამომზეურდი და იშრიალე,
მაგრამ იცოდე:
აღმოცენების
სათავეებთან ბინდი რიალებს.

როს გაზაფხულის სუნთქვა კეთილი,
მოეფინება ფერად ზვირთებად,
მწამს, შენი სისხლით გამოკვებილი
ეს სიყვარული კვლავ დამწიფდება.

* * *

რა საამოა ქარიან ღამით
შენი ლამაზი მხრების მოხვევა,
შენ ისევ ტყვე ხარ უნაზეს წამის,
მე აღტაცების მეამბოხე ვარ.

და შენი მზერა – ღამის ლამპარი
ანთია, ვუსმენ დახარბებული,
თითქოსდა იძვრის ავი ზღაპარი,
თითქოსდა სუნთქავს ცა ღამეული.

ო, ამ საოცარ, ნათელ ღამეში,
მშვენიერი ხარ, ვითარცა წინათ,
ბნელი სამოთხის მფეთქავ ხავერდში, –
შენ გამახსენებ ვარსკვლავის ბრწყინვას.

მე ვიცი, ვიცი, ცივია ქარი
და შემოდგომა – ვნებადაცლილი,
მაგრამ ჩვენს ნადიმს სიბნელე ფარავს,
ღამემ წაშალა ყველა მანძილი.

მივდევთ სივრცეებს შემოდგომისას,
შორიდან ისმის ხმობა ბუკების,
ნეტავ საიდან, როდის მოისმა
ხმა ციურ შუქით განაშუქები.

დღესასწაულის ჩაქრა კოცონი,
ცეცხლის წილ მხოლოდ ფერფლი მაგემე,
მთვრალი ტუჩებით ამაოდ ვკოცნი
უკვე გაყინულ, ლამაზ ბაგეებს.

* * *

ღამით ჩასახულს, ღამით გაჩენილს,
ჩემი ტირილი მომესმა ახლაც,
რა მწარე იყო ხმა დედაჩემის
და უშავესი წყვდიადის ხახა.

და როცა გაცვდა ღამის ბორბალი,
გამოაგორა დღემ საზარელი,
ცრუ, ერთფეროვან საქმის გორგალი,
მოსაწყენი და გაუხარელი.

ახლაც მომესმის სიმღერა არღნის,
იმ სიმღერაში ნაღველს ვპოვებდი:
„მოსახდენელი მოხდება, არ ღირს...“
გავიდა დრო და გავხდი პოეტი.

ო, ადრეული სევდის თვალები
და სიყვარულით გამთბარი სისხლი!
მონა ვყოფილვარ ბევრჯერ ქალების,
დატყვევებული ვარდისფერ ნისლით.

„მოსახდენელი მოხდება“, მოხდა:
ლექსები, სევდა და სიყვარული
და გაილია ცხოვრება კოხტად,
ჩემი ცხოვრება ნიავქარული.

მე ბრმა ვიყავი ღამეზე მეტად,
მე ბრმად ვცხოვრობდი მარტოდენ ჩემთვის,
ერთხელ მოვიდნენ, უეცრად, ერთად
და მითხრეს: შენთან არისო ღმერთი.

იმ ღამით ყინულს ფარავდა ბინდი,

მიაქანებდა შორს წყალდიდობა,
ვფიქრობდი ჩემთვის: მდინარე მიდის,
მეც მივდიოდი, წასვლა მინდოდა.

წყვდიადში იწვა მდინარის რკალი
და უდაბური წყვდიადის მხრიდან
უცებ მოვიდა უცნობი ქალი,
უცებ მოვიდა და შედგა ხიდთან.

ის ენთო, როგორც ცოცხალი ცეცხლი, –
თოვლის და ღვინის ცეცხლი ბრიალა, –
ვინც ერთხელ ნახა, ვერაფრით შეცვლის,
ვერ დაივიწყებს ნეტარ იარას.

ჩუმად და მშვიდად ჩამკიდა ხელი
და შემომხედა სახეში თრთოლვით,
მიბოძა თეთრი ნიღაბი – მხსნელი
და უნათლესი ბეჭედი – რგოლი.

„გეყო სიცოცხლე, სიტყვებს მოეშვი,
მე ვარ წკრიალა, როგორც ქარბუქი,
სხვა სამყაროდან ძირს გადმოვეშვი,
ცისაა ჩემი გამონაშუქი.“

ისევ მომიხმობს, ისევ მიზიდავს,
გამოჩნდა მიწა თოვლის თვალებად...
ნეტავ რად მიხმობს ან რას მიმზადებს –
სხვაგვარ სიცოცხლეს თუ მიცვალებას?!

ბოდვა

ვიცი, ახლოს ხარ... თუმცა სადა ხარ...
სნეულს მარადი სურს მყუდროება...
ვბოდავ სიზმარში, მე ავადა ვარ
და ვეხუტები წარსულ დროებას.

შენ მაიმედებ სნეულს, დარდიანს,
სულგატანჯული რომ ვითენთები,
თუმცა მპირდები ნათელ განთიადს,
მე ამ სანთელთან ჩავიღვენთები.

მე ვბოდავ, მაგრამ არ ვიბინდები,
მეხსიარება ისევ მაგონებს
გუშინდელ სურვილს ვნების მინდვრების
და საოცნებოდ აღთქმულ მთა-გორებს.

მე დავეძებდი უთეთრეს ქალწულს,
შენ გესმის? გჯერა, თუ ჩაიძინე?
მე მარადიულს ვეძებდი ქალწულს
და ბუკის ხმაში კვლავ ჩავიძირე.

მაგრამ ამაოდ, რაღა ვინატრო,
როცა ზამთარი მახრჩობს, უფალო,
ქარით ნაცემი და უსინათლო
ბუკს ვამღერებდი ტყუილუბრალოდ.

გთხოვ, მომისმინო, ახლაც, ისევე,
ქარიშხალის ხმა ვარ გულგამგმირავი,
რაც იყო, იყო, – აღარ ვიხსენებ,
ვერც გამახსენებს ალბათ ვერავინ.

მტკიცე ნაბიჯით მივემართები,
სანუკვარ ანდერძს ვერ შეველიე,
გთხოვ, მომისმინო, ღამენათევი
მე გავაღვიძებ ქალწულს მშვენიერს.

აი, მას სძინავს ბინდის ღრუბელში,
დასტრიალებენ თავს არწივები
და ჩაბნელებულ კლდეთა უბეში
ჩაბუდებულა სევდა წვიმების.

უცხოა ჩემი მბოდვარე გლოვა
გაღატაკებულ, საბრალო სულის,
სინათლე ჩემი! ნუთუ ის მოვა
და გამიცოცხლებს მწუხარე სურვილს.

შავი სიზმარი მემყუდროება,
გამინელდება ხსოვნა სიზმარში,
ჩავეკონები წარსულ დროებას,
მოჩანს ნაცნობი ქვეყნის მირაჟი.

კი, ჩვენ ვცოცხლობდით, მაგრამ სხვა მხარეს
წავედით, ახლა აღარ ვბერდები,
მე მახსოვს როგორ დამასამარეს
და მომაყარეს შავი ბელტები.

ნება შემოდგომისა

გზას დავადგები თვალწინ გადაშლილს,
ქარი აწვალებს ბუჩქებს საბრალოს.
ქვა დამტვრეული წვება ტალახში,
ყვითელმა თიხამ უნდა დამალოს.

ქარმა გაშალა სველი მანტია,
გამოაჩინა მიწა საფლავთა,
სოფლად ცირცელი წითლად ანთია, –
რა მხიარულად შემოანათა.

აი, ხილული ბედნიერება,
ისევ და ისევ უნდა გავხედო,
თითქოს და ვუმზერ, – ცრემლი მერევა, –
შენს მაქმანიან ფერად სახელოს.

ვინ გამიტყუა გზაზე პირველად,
ვინ დამავიწყა სახლის კარები,
იქნებ ფსალმუნმა გასაკვირველმა,
შორს რომ გალობდა ვინმე ყარიბი.

არავის ძახილს მე არ ვუსმენდი,
არც არაფერი არ დამაბარეს,
მოვუსმენ ღრიალს მთვრალი რუსეთის,
სამიკიტნოებს თავს შევაფარებ.

სიყმაწვილის წლებს ვჭვრეტ დანანებით, –
ღვინოში ვკლავდი დღეებს სალოცავს,
მატირებს დარდი შენი ყანების
და შენი სივრცე მიყვარს საოცრად.

უსიყვარულოდ ვკვდები ნელ-ნელა,
შენს შვილებს შენვე უნდა უშველო,
შენ შეგვიფარე, თვალუწვდენელო,
არ ღირს ტირილი,
ყოფნა უშენოდ.

თოვლის ქალწული

იგი მოვიდა სხვა სამშობლოდან –
უხსოვარ დროთა ღამის ქალწული,
არ შეხვედრიან მოსულს მშობლები,
მისი მშობელი იყო წარსული.

თოვლიან ღამით, როცა დაჰბერა,
როცა ქარბუქით იყო დაღლილი,
ის სფინქსის სახეს ნევის ნაპირას
შეხვდა უეცარ ამოძახილით.

თოვლის ციმციმით შენაციები
რაზე ფიქრობდი, მე ვერ შევიტყვე.
განათებული თოვლის მთიებით
სიზმრად ხედავდა მშობელ ეგვიპტეს.

დაღლილი თოვლით, ქარების რწევით,
ჩემი ქალაქი ბინდში განეპო,
რუხი ქალაქი ბუნდოვან რწმენით
ისე მიიღო, როგორც სამეფო.

ის შეეჩვია ცივ სასახლეებს –
ღამის დუმილში წყნარად ჩათვლემილს,
როცა ფანჯრებთან თვალებს ახელენ
და ციმციმებენ ბნელში სანთლები.

მისთვის ნაცნობი გახდა ყოველი
და მიიჩვია თითქოს ყოველმა,
ჩემი ქალაქი შეუცნობელი
უცებ შეიცნო შეუცნობელმა.

ქარიშხლის ბეჭედს იგი მაჩუქებს,
რადგან მთიებით სავსე მაქვს კალთა,
ჩემი აბჯრიდან გამოაშუქებს
ჯვარი, რომელიც ჩემს სვე-ბედს მართავს.

მერე თვალებში დიდხანს ჩამცქერის,
შემიქებს მტრობას, სურვილს უშიშარს,
შემოვარდება სულში ნამქერი,
ცივი ციმციმი თვალთა შუშისა.

ამაო არის ჩემი მუდარა,
ის არასოდეს აღმართავს მახვილს,
არ ჩამილეწავს ფარს და მუზარადს
და არ შეისმენს ვნებიან ძახილს.

ძვირფასო, შენი სურვილი მათრობს,
თოვლის ქალწულო, ცივი ხარ მარად,
მსურს მოგეხვიო, მე ისევ გნატრობ
და მონატრებას თრთოლვაში ვმალავ.

შემოდგომის სიყვარული

ქარმა ფოთლოვანს არ მოუსმინა,
ვუმზერდი ცირცელს ტყეში შენიღბულს,
მალე ჯალათი ბოლო ლურსმნითაც
ჯვარს მიაჭედებს დაღლილ ხელისგულს.

მალე ტყვიისფერ მდინარის ციმციმს,
მაღლა – ნესტიან, ცივ სირუხეში –
ცრემლს უკანასკნელს სიმწრისგან შევკრებ,
ვიხილავ ქრისტეს, ლურჯი მდინარით –
ორჩხომელათი წამოსულს ჩემკენ.

თვალები მშვიდი, მშვიდი და წმინდა,
განა სიბრაზით შენისლულები,
შემომხედავენ, ძველი ძაძიდან,
ნალურსმევებით ხელისგულები.

ღმერთო! სამშობლო მწუხრით მოცულა,
როგორლა უნდა გაუძლოს კაცმა, –
ნუთუ მაგ ნავით ჩემკენ მოცურავ,
რათა იხილო სიმაღლის ჯვარცმა.

შემოდგომის დღე

შენ, მეგობარო, ღმერთმა გიშველა,
რომ მივსეირნობთ ერთად ნამკალში,
სული თავისთვის გადმოიშლება,
ვით ჩაბნელებულ სოფლის საყდარში.

შემოდგომის მზით დღეა გამთბარი,
მხოლოდ ჟამიჟამ ესმით ამ ველებს, –
ყორანი ყორანს უხმობს ყრანტალით
და დედაბერი მძიმედ ახველებს.

თავისთვის ხრჩოლავს ცეცხლი დაბალი,
კვამლი ჰაერში მიმოიფინა,
შევყურებთ ისევ, მიუსაფარი
წეროთა გუნდი როგორ მიფრინავს.

შორს წინამძღოლი წამით ყოვნდება,
მისი ტირილი უცებ მოისმა.
რას მოასწავებს შორი გოდება,
რას ნიშნავს გლოვა შემოდგომისა?

ჩვენ ვერ დავითვლით ამ ღატაკ სოფლებს
და, სამწუხაროდ, ვერაფერს შევცვლით,
დღეს ბინდმორეულს სინათლეს მოჰფენს
შორს დანთებული მაღალი ცეცხლი.

ღარიბ-ღატაკო სამშობლოვ ჩემო,
შენი ქვითინი გულში გროვდება,
ო, უპოვარო მეუღლევ ჩემო,
რას მოასწავებს შენი გოდება?

როკვანი შემოდგომისა

მოუსვენრობა მელის მუდამდღე,
შევიცან შენი ფარული ნება,
იდუმალ შრიალს მივაყურადებ,
მზე ოქროს ქსოვილს ოქროს უმატებს
და სული ჩემი თანდათან თბება.

ცრემლს შემოდგომის ანათებს ფიქრი
და მიისწრაფვის ცისკენ ვედრება,
ნორჩი არყის ხის მაქმანთა იქით
ამღერებულ ბუკს რა შეედრება.

ისე მაღელვებს ნაზი ბგერები,
თითქოს, ძვირფასო, მესმის შენი ხმა,
დუმხარ, ხელებით ცას ეფერები,
ჰაერი შენი თრთოლვით შეირხა.

მორკალულ მკლავთა კრთომა, კანკალი,
მხრებიდან თეთრი შუქის მოფენა
და ჩუმი როკვა, –
ამ სიანკარის
და ამ სინათლის ცად მიმოფრენა.

ვგრძნობ შემოდგომის უგრილეს ლივლივს
შენს გაშლილ თმაში
და არ ვეჭვდები:
შენ როკავ, იწვი,
თითქოს შენს ირგვლივ
ბრუნავს, იზრდება ოქროს ბეჭდები.

შენს გასაოცარ მუსიკას ვეტრფი,
მიპყრობ ჯადოსნურ შუქით ნაფენი,
რასაც შეეხე მსუბუქი ტერფით,
იწვის, ნაცრდება სუყველაფერი.

ო, ფრთამსუბუქი ახალგაზრდობა
ჰაეროვანი ხვედრია ჩვენი
და სიხარულის ჩუმად განდობა
ამ გასაოცარ სიწყნარეს შვენის.

ფოთოლთა ცრემლი შეუშრობელი,
ჟამი მწუხარე, მაგრამ ნათელი,
სიზმარი, გუშინ ჩაქრა რომელიც,
დღესაც ჩაქრება, როგორც სანთელი.

რაა დროის და სურვილის ქროლვა, –
ქალწულის ხელთა თრთოლვა მარტოდენ,
გარდაუვლობის წრისაკენ ლტოლვა,
წრისკენ, დროებით რომ მივატოვებთ.

მზე მოშრიალე ღრუბელს გვიმალავს,
რომ მდუმარების ჩქამიც მოგვესმეს,
გაზაფხული კი ტყეს და გრილ ბალახს
დაავიწყდება განა ოდესმე?!

მაგრამ ოდესმე წამოვა თოვლი,
ჩამოიშლება სხვა სამყაროდან,
წაშლის ნაკვალევს
ნანატრი თრთოლვის
იქ, სადაც შენი ნება ჰყვაოდა.

სარკმელი ეზოში

მარტოდენ ერთი იმედი დამრჩა:
ვიყურო ჭაში,
ვეძებო ჩრდილი.
თენდება, მოჩანს ნათელი ფარჩა
ამობრწყინებულ, უეცარ დილის.

ვუსმენ ჭის ფსკერზე გამოღვიძებულ
უძველეს სიტყვებს.
რას მიყვებიან?
ვხედავ, ფანჯრებთან ყვითლად მინაბულ
სანთლებს, ჩაქრობა დავიწყებიათ.

ჩაცუცქებულა საწვიმარ ღართან
მშიერი კატა, თვლემას ბარდება.
სხვა არა დამრჩა ტირილის გარდა,
რადგანაც გძინავს შენც უდარდელად.

შენ გძინავს!
ბაღი სუნთქავს ნიავით
და გული ტანჯვით ლამის აფეთქდეს.
აუტანელი ჩემი სიავე
კვლავ უკაკუნებს დაღლილ საფეთქლებს.

ჰეი, ყმაწვილო, წამით შეჩერდი!
არა, შენ წახვალ, არა გცალია...
თითქოსდა ზამთრის მზე ვარ ჩერჩეტი, –
მე მის სიცივეს ვგავარ ძალიან.

* * *

ის აღარაფერს აღარ ელოდა,
გაზაფხულის დღე, უაზროდ მშვიდი,
მეუღლე ჩემი სევდით მღეროდა,
როგორც გალიის პატარა ჩიტი.

მოგონებებით ვარსებობ ისევ,
წარსული მუდამ მემახსოვრება,
მოულოდნელად, – მე მივხვდი მყისვე, –
რომ ჩავლილია ჩემი ცხოვრება.

კი, დაბრუნდება ფიქრიც, დარდებიც,
მაგრამ ცხოვრება გაფრენილია,
რად ჩავაბნელო სახლი ფარდებით,
გული ისედაც ჩაფერფლილია.

* * *

დაცლილი ქუჩა... ფანჯარაში შუქი ჭიატებს,
ღრმა ძილში კვნესის ებრაელი მეაფთიაქე.

ძველ კარადასთან, წარწერა რომ მოჩანს – Venena[1],
ჩანს საქმიანად მუხლჩახრილი, ჩანს მოჩვენება.

მოჩანს ლაბადით შემოსილი ჩონჩხის პროფილი,
რაღაცას ეძებს, აღრჭიალებს ყბებს კმაყოფილი.

იპოვა... მაგრამ უცებ ძვალმა გაიჩხრიალა, –
შებრუნდა ქალა, ებრაელმა დაიღრიალა.

წამოდგა, მერე ძირს დაემხო, იცვალა გვერდი,
ჩონჩხმა სასწრაფოდ მოიპარა ბოთლაკი ერთი

და უცხვირპიროს და უსახურს გადასცა ორ ქალს,
ქალები ჰგავდნენ ფარნის შუქზე სიფითრეს მბორგავს.

1 Venena (ლათ.) – საწამლავი

ისინი კითხულობენ ლექსებს

მე ამერია ყველა ფურცელი,
შენი თვალები ჰყვაოდნენ ვიდრე,
თოვლის ფრინველის ფრთები უცვლელი
ქარიშხლის სუნთქვით გონებას მიმღვრევს.

რას გვიამბობდა ნეტავ ნიღაბი!
უფალმა იცის და სხვამ არავინ,
ჩვენ თეთრ სიზმარში წამით ვიყავით,
დავთმეთ ცხოვრება პროზის კარავი.

განუყოფელი იქნება ჩემთვის
ღამე, მდინარე, შენი სიცილი,
კვამლი, რომელიც სივრცეებს ერთვის
და მხიარული რითმის ციმციმი.

ნუ აგევსება ბრაზით თვალები,
უეცარ ნიღბით ნუ შემაშინებ
და ბნელ ხსოვნაში, გემუდარები,
ნუ გააღვიძებ ხანძარს საშინელს.

* * *

თეთრ ღამეებთან დავრჩები მალე,
სულს მომიწამლავს თეთრი სინათლე,
ამომკორტნიან ყვავები თვალებს
და ვეღარაფერს ვერ მოვინატრებ.

ის მოვა ჩემთან ყველაზე მალე,
ვისაც ვუყვარდი, ზღაპრულად ვწამდი,
ის დამიკოცნის სხივჩამქრალ თვალებს,
გადამაფარებს ქათქათა მანდილს.

და მოვლენ სხვებიც,
დამფლავენ როცა –
თეთრ ღამეებში წავლენ ცალ-ცალად.
ვიცი, მათ სურდათ ჩემთვის ელოცათ
და თეთრმა ღამემ არ დააცალათ.

რაინერ მარია რილკე

(1875 - 1926)

განსაკუთრებულ ხარისხში აყვანილი რწმენა

„რილკეს წერილები ისევე, როგორც სხვათა მოგონებები რილკეზე, სავსეა იმ „მსხვერპლთან“ დაკავშირებული მოსაზრებებით და ფიქრებით, რომლებსაც ხელოვნება ცხოვრებისაგან მოითხოვს; რადგან მას არა აქვს უფლება, „ჰქონდეს ბედისწერა“, აქედან გამომდინარე (რასაც თავად ისევ და ისევ აღნიშნავს), მას არა აქვს „შეხება ადამიანებთან“, ის არის კაცი, „რომელთანაც არავის აქვს შინაგანი კონტაქტი“, მას არა აქვს უფლება, „თავისი გულის ენერგია ადამიანებთან ურთიერთობას დაახარჯოს“, მისი ხვედრია, „ადამიანის გვერდის ჩავლით მივიდეს ექსტრემალურობამდე“, იმავე ვითარებასთან გვაქვს საქმე, როცა პოეტი ამბობს, რომ მან გადააბიჯა ადამიანურს და ანგელოზს მიუახლოვდა. ამგვარად, „მსხვერპლი“ სხვა არაფერია, თუ არა „ადამიანის უსაზღვრო და ყოველმხრივ შეუზღუდავი გადაწყვეტილება, მიაკვლიოს თავის შინაგან შესაძლებლობებს“ (ლუდვიგ ლაგენფელდი – „რაინერ მარია რილკე“).

რა უნდა ვუწოდოთ რილკესეულ უმაღლეს რწმენამდე აყვანილ აუცილებელ მსხვერპლშეწირვას: კერძოდ, უარი თქვას ადამიანურ ყოფაზე, ადამიანებთან

„ბედისწერულ“ ურთიერთობაზე, საერთოდ, ცხოვრებაზე, რა არის ეს, თუ არა მსხვერპლშეწირვა პოეზიისათვის?!

ასეთივე თავგანწირვითაა აღსავსე სიორენ კირკეგორის ცხოვრება და შემოქმედება. შემთხვევითობას ვერ მივაწერთ იმ ფაქტს, რომ რილკემ საგანგებოდ ისწავლა დანიური ენა, რათა დედანში გასცნობოდა კირკეგორის ტექსტებს. „ჩემთვის სავსებით ნათელია, რომ (წერს კირკეგორი) თუ სამსახური დავიწყე, მაშინ უარი უნდა ვთქვა ყოველგვარ საუკეთესოზე, რისი გაკეთებაც შემიძლია“. ...ბოლოს და ბოლოს, კირკეგორმა უარი თქვა სამსახურზე და მთელი სიცოცხლე შეალია „მწერლურ შრომას“. მასში თანდათან იზრდებოდა რწმენა საკუთარი წერითი საქმიანობის „განსაკუთრებულობისა“. იგი დარწმუნებული იყო, რომ გამორჩეული ნიჭიერების გამო ქვეყანას მოევლინა განსაკუთრებული მისიით.

ასე რომ, წერა, ქმნა, შემოქმედება იმ რწმენის, თვითგადარჩენის ცდაა, რომელიც არ ქრება, ყოველგვარი დაეჭვების მიუხედავად. თვითგადარჩენა სრულებითაც არ ნიშნავს მარადიულთან გარანტირებულ თანაარსებობას. თვითგადარჩენა „ცხოველთან ნათესაობის“ დაძლევა და „ანგელოზთან მიახლოების“ ბუნებრივი სწრაფვაა, ნოსტალგიაა, აბსოლუტის ძიებით გამოწვეული.

შესავალი

ვინც გინდა იყავ, მოდი საღამოს,
დათმე ოთახი ამ საღამოთი,
სჭვრეტს შენი სახლი ცას უსამანოს,
გარეთ გამოდი.

უკიდურესად დაღლილი მზერით
გაცვეთილ დირეს ძლივს რომ დაშორდი,
შავ ხეს აღმართავ თანდათან ზევით,
ცისკენ აღმავალს და ტანაშოლტილს.

შექმნი სამყაროს, ის ემგვანება
სიტყვას, დუმილში რომ მწიფს წვალებით,
ოდეს შეიცნობ – დაუნანებლად
დათმობენ სივრცეს შენი თვალები.

გოგონებზე

I

თუ სხვებს გრძელი გზის გავლა სჭირდებათ,
რომ მიაღწიონ ბნელ პოეტებთან,
თან კითხულობენ, იცით ვინმე, სიმღერით რომ ისევ
ინთება,
სიმებს ცეცხლივით რომ მოედება.
არ სურთ გოგონებს არც შეკითხვა, არც მაგალითი,
ლექსის ხატებთან რა გზით მივლენ მათი დასები,
ნაზი ღიმილი, გამჭვირვალე, ვით მარგალიტი,
თვითვე უპყრიათ ვერცხლის თასებით.

მათი ცხოვრების ყოველი კარი
სამყაროსია,
პოეტის არის.

II

თქვენგან სწავლობენ პოეტები და სურთ ამოთქმა
თქვენი განცდების, მარტოობის ჩუმი დათმენის,
სწავლობენ სწრაფვას, შორეულთან ყოფნას დროებითს;
მარადისობას გრძნობენ, როგორც საღამოები,
დიდრონ ვარსკვლავთა ამონათებით.

ნუ დანებდებით პოეტს, თუნდაც იყოს აღსავსე
მისი თვალები მძაფრი წყურვილით,
უმანკოებად წარმოგიდგენთ და გალამაზებთ,
ო, თქვენს თვალებში ჩაიშლება მძაფრი სურვილი,
ო, ფარჩასავით ჩაიშლება, ჩაიალმასებს.

წადით, დატოვეთ თავის ბაღში, სად უკვდავებად,
არამქვეყნიურ არსებებად თითქოს ეჩვენეთ,

გაჰყვეს ბილიკებს, ის ჩრდილებში უნდა გაებას,
დატოვეთ მარტო, გრძელ მერხებთან უნდა
შეჩერდეს,
ეწვიოს ოთახს, სადაც მუდამ უცდის ბარბითი.

წადით! ღამდება. არ დაეძებს იგი არავის,
არც თქვენს სახეებს, აღარც ხმებს თქვენსას,
სწყურია. გზები უდაბური, გაუკვალავი,
ჩაბნელებული სანახისკენ მიიწევს დღესაც,
მყუდრო ოთახი ენატრება და სხვა არავინ.
უშორესიდან ერთვის თქვენი ხმა წარმავალი,
თქვენ დარჩით ხალხში, ვისაც იგი გაურბის მარად,
გაახსენდება: შემოგცქერით თვალი მრავალი
და მოულოდნელ ტკივილს ვერ ფარავს.

სიგიჟე

დღენიადაგ ფიქრობს ქალი: მე ვარ, მე ვარ, მე ვარო...
მაინც ვინ ხარ, ნეტავ ვინ ხარ, მარიამო, ნეტარო?
    დედოფალი, დედოფალი, განა ეს სიზმარია,
    ჩემს წინაშე ყმანი ჩემნი მუხლმოყრილნი არიან.
მერე ტირის: მე ვიყავი... მე ვიყავი, ძალიან...
იქნებ გვითხრა, ვინ იყავი, ვინ იყავი, მარიამ?!
    არასმქონე და ღატაკი, როგორც სხვები არიან,
    არც კი ვიცი როგორ მოხდა, მე ვარ თუ სიზმარია...
ობოლი და ტანშიშველი, როგორ გაქალბატონდი,
შენს წინაშე მუხლი როდის მოიყარეს, მარიამ?!
    როგორ? როგორ და საგნები, გლახაკნი რომ
    ვნატრობდით,
    თურმე სინამდვილეში სხვანაირნი არიან.
მაშ, საგნებმა აგამაღლეს, სივრცე მოგცეს საფრენი,
მაგრამ როდის შეიცვალე, ან ხომ არ შეგაშინეს?!
    ერთ ღამეში, ერთ ღამეში, უცებ გადავსხვაფერდი
    და საგნები გასაგებად ამეტყველდნენ მაშინვე.
ქუჩა ჰგავდა ვიოლინოს, ამღერებულს სიმებად
და ჰაერი ციმციმებდა უცნაური ნათებით,
    მარიამმა მელოდიად გარდასახვა ინება...
    მარიამი ცეკვა-ცეკვით სადღაც მივფარფატებდი.
მაგრამ ხალხი დაზაფრული დასამალავს ეკვეთა,
სუროსავით მიცოცავდნენ დაბნეული ლანდები,
    დედოფალი თუ ჩაივლის ქუჩაბანდში ცეკვითა –
    და ჰა: ვცეკვავ დედოფალი ჩემი ქუჩაბანდების.

მუსიკა

რას უკრავ, ნეტავ? ბრძანებები, ჩურჩულით თქმული,
ვით ნაბიჯები უხილავთა, ბაღს ჩაუვლიან,
რას უკრავ, ნეტავ? სალამურში ახლა სრულიად
ჩამწყვდეულია, ბიჭო, შენი უმანკო სული.

რად უხმობ, ნეტავ? დილეგია თითქოს ქვიტკირის
მუსიკის ჰანგი, სადაც სული კვლავ აიმღვრევა,
შენს სიცოცხლეზე ძლიერია შენი სიმღერა, –
ჩახუტებია მონატრებას წრფელი ქვითინით.

მიეც დუმილი, ძველებურად იყოს მდუმარი,
რომ დაუბრუნდეს მდუმარებას, წამით გაწყვეტილს,
ვიდრე საბრალოს სალამურში გამოამწყვდევდი,
ის იზრდებოდა, ბრძენდებოდა თავისუფალი.

ვიდრემდი შენი სულის ფრთები არ დაუძლურდა,
ო, მეოცნებევ, ნუ გათელავ სწრაფვას გაფრენის,
ფრთა გაელევა, არ შეგრჩება აღარაფერი,
ჩემს გალავანზე ვერასოდეს გადმოფრინდება,
დღესასწაულზე რომ მიიწევს ხმა აღმაფრენის.

ადამიანები ღამით

არ შეუქმნიათ თურმე ბრბოსთვის ღამე დიადი.
მეზობელს, ვისაც მოგწყვეტს წყვდიადი,
ნუ ეძებ, იყოს, სხვებიც თან ახლავს,
თუ გსურს აანთო სახლში სინათლე,
თუკი მავანთა ნახვა ინატრე,
დაფიქრდი, თუ ღირს მათი დანახვა.

ადამიანებს აუსახურებს
შუქი, სახეებს რომ ეღვენთება
და როცა ღამით ბრბო შეერთდება,
ატორტმანებულს სჭვრეტ სამყაროებს, –
ახორხლილები თითქოს ხარობენ,
ფიქრს უკანასკნელს სწრაფად განდევნის
შუქი, შუბლებზე ჩამონადენი.
თვალებში ღვინო რომ აალდება –
ხელებში მძიმედ გაიბლანდება,
ჩაეკიდება ბრმა მოძრაობა,
მერე იშლება ყველა სხვაობა,
„მე, მეს“ ყვირილი უყვართ მზვაობართ
და გულისხმობენ სულ სხვას ყოველთვის.

მეზობელი

ნუთუ შენ, უცხო ვიოლინოვ, თან მდევ ნიადაგ?
რამდენ ქალაქში, არც კი მახსოვს, არ მიმატოვე,
შენი ღამეა ჩემს ღამეში რომ ახმიანდა,
სთქვი, ვინ გამღერებს: მრავალი თუ ერთი მარტოდენ?

დიდ ქალაქებში შეუმჩნევლად ნუთუ ქრებიან
და ნუთუ ისევ მრავლად არიან,
მდინარეებში ვინც უშენოდ იკარგებიან,
მე რად მეხება ყველაფერი, საოცარია.

რად აღმოვჩნდები იმის შემწე და მეზობელი,
ვინც შენ გამღერებს შიშნარევად და ნაღვლიანად
და გათქმევინებს, რომ მძიმეა წუთისოფელი,
ვიდრე საგანთა წონა მთლიანად.

მარტოსული

შორეულ ზღვიდან, თითქოს, მოვხვდი უცხო ნაპირთან,
უცხო ვარ თქვენთვის, თქვენ არ იცნობთ ჩემს
ძვირფას შორეთს,
თქვენს მაგიდებთან გადის მსუყე ცხოვრება მდორედ,
მე კი შორეთი სხვა სიმბოლოს, სხვა ცას დამპირდა.

ჰგავს უკაცრიელ და უდაბურ ღამეულ მნათობს
სამყარო, ჩემში რომ შემოდის მარად კითხვებად,
თქვენ არცერთ გრძნობას არ ტოვებთ მარტოდ,
მყისვე გარდაქმნით გრძნობებს სიტყვებად.

ჩემი საგნები მომყვებიან იმ სამყაროდან,
გარეთ გახედვა იშვიათად თუ მოუნდებათ,
დიდ სამშობლოში, ვით ნადირნი, ისე ხარობდნენ,
სირცხვილისაგან ახლა სული რომ ეხუთებათ.

მოგონება

იმ საიდუმლო წუთს ელოდები,
შენს ცხოვრებას რომ ზრდის და ამრავლებს,
მარად მძინარე ქვებსაც აფითრებს,
გიწვდის შენივე სულის გასაღებს
და შენს სილრმეში შენვე ჩაგითრევს:

წიგნის თაროებს ბინდი ედება,
ყდათა ფერადებს ეფინება საღამოს კალთა,
შორი ქვეყნები გაგახსენდება
და მოშრიალე კაბები ქალთა, –
შენ რომ დაკარგე შორეულ გზებზე
და ახლა ისევ თავიდან კარგავ,

რადგანაც ხედავ: რომ გგონია უკვე ჩავლილი,
უეცრად თვალწინ აგესვეტება,
ერთი წარსული, წელიწადის დრო ჩანავლული,
შიში და ტანჯვა, ლოცვა-ვედრება.

ხარება

(ანგელოზის სიტყვები)

შენ ჩვენზე ახლოს უფალთან არ ხარ,
იგი შორს არის, უფლის ნებას ვერვინ წავუვალთ,
მაგრამ შენს ხელის მტევნებს რომ ვნახავ –
კურთხეული ხარ, ვგრძნობ, სასწაულად.

მწიფე სხივებით და სინარნარით
ნათელს მოაფენ, ისე გაივლი,
მე დღე ვარ ვრცელი, მე ვარ ცვარნამი,
ხოლო შენ ხე ხარ – გითრთის ყვავილი.

გადავიღალე, შენს სახლამდე გზა შორეული
გამოვიარე, დამავიწყდა, ველარ გაჩუქე,
მისი ნათქვამი „ცის" ოქროში ვინც შერეულა,
ვინც მზეშია და მზესვე აშუქებს.

რაც დამაბარეს, დამავიწყდა, ვერას გავბედავ,
ოთახის სივრცემ დამაბნია, გონი წამართვა,
ო, ფიქრიანო, აქ უცხო ვარ და ახალბედა,
შენ ხარ შრიალი და სურნელი იასამანთა.

ფრთები გავშალე, რადგან შენკენ უნდა მეფრინა,
გავცდი სივრცეებს, მოველ შენს კართან
და შენს სახლაკში მიმოეფინა
ჩემი დიადი სამოსის კალთა.

როგორც არასდროს, შენ ხარ მარტოკა,
მეც ძლივს შემნიშნე, ჩემს ქროლვას რომ თვალი შეავლე

მე ის ქროლვა ვარ, ჭალაკები რომ შეატოკა,
ხოლო შენ ხე ხარ ტანმოშრიალე.

ცად აღელვებულ ანგელოზთა დასი მოფრინავს,
ყველა ცალ-ცალკე თავის სივრცეს დაუბრუნდება,
ო, მონატრება ასე მძაფრი როდის ყოფილა?!
ვგრძნობ მონატრებას უდიადესს, მაგრამ ბუნდოვანს.

რაღაც მოხდება, უჩვეულოს თითქოს მოველით,
ის, რაც მოხდება, შენ იხილე უკვე ზმანებად,
სალამი შენდა, ნათელია ჩემთვის ყოველი,
თავად მწიფდები, მე ვასრულებ შენს განმზადებას.

შენ ხარ ჭიშკარი, სისპეტაკით სული აგევსო,
შენ განიხსნები, უხილავის ნებას მიჰყვები,
ჩემი გალობის მოყურადევ, უსაყვარლესო,
ახლა ვიგრძენი, – ჩემი სიტყვები
იკარგებიან შენში, როგორც ტყეთა წიაღში.

ათასმეერთე ეს სიზმარი ასე მორჩება,
მე დაგანახე, თუკი რამე გულში გავივლე,
ბრწყინავდა ღმერთი ჩემს პირდაპირ
თვალისმომჭრელად...

ხოლო შენ ხე ხარ რტომოყვავილე.

სერიოზული წუთი

ვინც ახლა სადმე ტირის ამქვეყნად,
ვინც უმიზეზოდ ტირის ამქვეყნად –
ჩემს გამო ტირის.

ვინც ახლა სადმე იცინის ღამით,
ვინც უმიზეზოდ იცინის ღამით, –
ჩემზე იცინის.

ვინც ახლა სადმე მიდის ამქვეყნად,
ვინც უმიზეზოდ მიდის ამქვეყნად,
ის ჩემთან მოდის.

ვინც ახლა სადმე კვდება ამქვეყნად,
ვინც უმიზეზოდ კვდება ამქვეყნად,
მე მიმზერს იგი.

ხმები

(ცხრა ფურცელი ერთი სატიტულო სათაურით)

რა ენაღვლებათ, არ სჭირდებათ მდიდრებს წვალება,
ყოფიერება ბედნიერთა არის საჩინო,
მაგრამ მათ რა ჰქნან, უსაშველოდ დამაშვრალებმა,
რომ თავი თვისი წარმოაჩინონ.

უნდა იყვირონ: „ბრმა ვარ, ეული“,
„მინდა დავბრმავდე, მტანჯავს სოფელი“,
ანდა: „შვილი მყავს, ხალხნო, სნეული!“
უილბლო, ამგვარ დღეში მყოფელი,
მოიმედეა მხოლოდ განგების,
ხალხი კი მათი უარმყოფელი
უმზერს, თითქოს და იყვნენ საგნები.

ალბათ, ამიტომ უნდა ამღერდნენ.

რათა ნამდვილი სიმღერები ისევ გაისმას,
ჭრელია ხალხი, გემოვნება მათი იმღვრევა,
ეკლესიებში საჭურისებს მეტი ხალისით
უსმენენ, ვიდრე ნამდვილ სიმღერას.

მაგრამ უფალი დამაშვრალთა სიმღერას ისმენს
და განწირულთა თვალებიდან შეგვყურებს ისევ.

მათხოვრის სიმღერა

დავალ კარდაკარ, დავიარები,
მზით გარუჯული, გალახული სველი ქარებით,
ზოგჯერ ხელისგულს ვიფარებ ყურზე,
მეუცხოება ჩემივე ხმა,
თითქოს სხვას ვუსმენ.

და მეეჭვება: მე ვყვირი თუ
ყვირის მავანი,
კუჭი მაყვირებს,
პოეტებს კი – დარდი მრავალი.

ბოლოს ჩემს სახეს
დავახურავ ორთავ ქუთუთოს,
ჩუმად ჩავაწვენ ჩემსავ პეშვში
სევდით დადრეკილს,
რათა არა სთქვან გამვლელებმა:
ხედავთ, საბრალოს,
არ გააჩნია თავმისადრეკი.

ბრმის სიმღერა

ჩემი სიბნელის გარეთ მყოფნო, სიბნელე ჩემი,
უსინათლობა არის წყევლა და ძალადობა,
მე შემიძლია ქალის მკლავზე ხელით დანდობა,
მის ნაცრისფერ ხელს მიჰყავს ჩემი სინაცრისფერე,
სიცარიელის ხეივნებში მიიბლანდება.

თქვენ მიმოდიხართ, მიფუსფუსებთ, მიმოირხევით
და ხმებს გამოსცემთ, როგორც ქვები ქვებზე მიხლილი,
სინამდვილეში მე ვარსებობ ჩემი სიმხნევით,
მე ვიტანჯები, მე ვხმიანებ დაღლილ სისხლივით.
ჩემში ყვირილი უსასრულო ცხოვრობს ნიადაგ,
არ ვიცი წეღან, უცაბედად ვინ ახმიანდა,
გული აყვირდა თუ წიაღი ჩემი სიბნელის?!

ჩემი სიმღერის გარეთ მყოფნო, გეცნოთ სიმღერა?!
თქვენ ხომ ყოველდღე სულ სხვადასხვა ხმით
ღიღინებდით,
თქვენს ოთახებში დილის შუქი შემოიღვრება,
ყოველდღიურად აგევსებათ შუქით ბინები.

მხოლოდ ზედაპირს, სახეს გრძნობენ თქვენი თვალები,
მზერა გაცდუნებთ, მომზირალნო, და გებრალებით.

ლოთის სიმღერა

არ არსებობდა იგი ჩემში, მხოლოდ ჟამიჟამ
შემოდიოდა, გადიოდა, მე კი იმედად
მსურდა, რომ ჩემში ყოფილიყო, რომ არ გამეშვა...
ამ გრძნობას ჩემში მხოლოდ ღვინო ახანგრძლივებდა.

აღარც კი ვიცი, რა ვუწოდო ტკბილ მოდუნებას,
ღვინო სიამეს მთავაზობდა, ბოლო ეს არი,
უკვე მივენდე ღვინის ცდუნებას
მე უმეცარი.

თავის ჭკუაზე მათამაშებს ღვინო და მფანტავს,
ფულივით მაგებს პირუტყვ სიკვდილთან,
აბუჩად მიგდებს, მანიავებს და ძალას მატანს
ის, ვინც ცდუნება ჩემი იტვრითა.

ვით დასვრილ ბანქოს, მფანტავს ღვინო, სასომიხდილი
განვემზადები მალე კვდომისთვის,
მუწუკებიან თავს მოიფხანს ჩემით სიკვდილი
და სანაგვეში ცივად მომისვრის.

თვითმკვლელის სიმღერა

სულ ერთი წუთი. არ სჭირდება ბევრი მისნობა.
თუ არ ვიჩქარე,
გადაჭრიან ყულფს და გათავდა.
ამას წინათ ხომ მზად ვიყავი,
მარადისობა
უკვე მივსებდა წიაღს თანდათან.

რისთვის მთავაზობთ ერთ კოვზ
სიცოცხლეს,
არ მინდა, ვწირავ ჩემს სიმარტოვეს,
უნდა ჩავბარდე ჩემს თავს, მადროვეთ!

ვიცი, სიცოცხლე საამო და მშვენიერია
და ეს სამყაროც აღუვსია ბედნიერებას,
მე არ შემერგო, როგორც შხამი სისხლს შეერია
და სიცოცხლისგან გული მერევა.

სხვებს ასაზრდოებს, მე დღითიდღე მაავადმყოფებს,
ვერ შევითვისე საზრდო, თქვენთვის ასე ჩვეული,
ხელს ნუ შემიშლით, დიეტაზე ერთ ხანს მამყოფეთ.
სულ ცოტა ერთი ათასწლეული.

ქვრივის სიმღერა

სიმხნევე, სითბო მაშინდელი მემახსოვრება,
როცა ვიხსენებ, სული ნათლით ისევ მევსება,
მე რა ვიცოდი, თურმე ცხოვრება
თავიდან ყველას ერთნაირად ეალერსება.
მე რა ვიცოდი არსი ცხოვრების,
ის იქცა წლების ჯაჭვად, წლების მონაცვლეობად,
დავრჩი შემყურე სიავკარგის და გაორების,
აწმყოს ცრემლები შევატოვე, წარსულს – მხნეობა.

ღმერთო, მაღალო, ჩვენ ვერავინ გადაგვაბრალებს,
თუ რამ გვებადა – მხოლოდ დათმენა,
მაგრამ სიკვდილი არას ითმენს, წუხილს ამრავლებს,
მოვიდა ავი, უსახური და გადამთელა.

მიჰყავდა ჩემგან შორებელი და ახლობელი,
თურმე ვიყავი არას მფლობელი.
რა გამაჩნია, რას დავარქმევ ჩემს საკუთრებას,
ეს სიდუხჭირეც ბედისწერის ყოფილა ვალი,
ის უკან ითხოვს განა მარტო ბედნიერებას,
მიაქვს ცრემლებიც, მწუხარებაც, კარგიც და ავიც.

კარზე მომადგა ბედისწერა და სულ იაფად –
როგორც ძველმანებს შეეფერება,
სურს შეისყიდოს ჩემი სახე,
თვალთა კიაფი,
ჩემი მიმოხვრა და მჭკნობარე მშვენიერება.
ყოველდღიურად მიაქვს, ყიდულობს,
ამ ვაჭრობაში უნდა დამნაცროს,
რომ მიიტაცოს სუყველაფერი
და არაფერი მომცეს სანაცვლოდ.

იდიოტის სიმღერა

ხელს არ მიშლიან, სეირნობას არ მიკრძალავენ,
მეუბნებიან: წადი, ხიფათს ნულარ მოელი.
ო, რა კარგია!
აღარაფერი შემემთხვევა. თურმე ყოველი
მოდის და ბრუნავს სულიწმიდის ირგვლივ ნიადაგ,
(შენ უკეთ იცი) – რაღაც სული ადამიანთა,
ო, რა კარგია!

აღარ ვიფიქრებ აღარასოდეს –
გარეთ ხიფათი თუ არსებობს, საფრთხე თუ მელის,
საფრთხე სისხლშია, უნდა მახსოვდეს,
მძიმეა სისხლი, ყველაფერზე მძიმე და ძნელი,
ზოგჯერ მგონია, მეტს ველარ შევძლებ.
(ო, რა კარგია.)

კარგი ბურთია, მშვენიერი, როგორ მიგორავს
ბურთი წითელი, მრგვალი, სავსე, ვით ირგვლივეთი,
ო, რა კარგია, რომ ეს ბურთი გამოიგონეს,
რომ დავუძახო, მოვა ჩემთან, თუკი მასთან მე
არ მივედი?

რაც ერთმანეთში შეედინება, ვინ გაარკვია –
მერე ერთმანეთს რად ტოვებენ, მეგობრობა თუკი
უნდოდათ,
უცნაურია, ყოველივე მოჩანს ბუნდოვნად,
ო, რა კარგია.

ოგლის სიმღერა

მე ვარ არავინ, მომავალშიც არვინ ვიქნები,
ახლა ყოფნისთვის პატარა ვარ და უსუსური,
ასე დავრჩები, არასოდეს გარდავიქმნები.

უცხო დედებო და მამებო,
თქვენ შემინწყალეთ.

თუმც რა აზრი აქვს, ნუ მომხედავთ, ნუ გაჩერდებით,
მალე მოვკვდები, თვალში შუქი ნელა მიქრება,
ჯერ პატარა ვარ, ჯერ ადრეა, არვის ვჭირდები.
მერეც არავის დავჭირდები, გვიან იქნება.

რა გამაჩნია?! ერთადერთი კაბა საცოდავს,
გახუნებული, გაცრეცილი, სად არ ნაგდები,
არ უწერია ჩემს ერთადერთ კაბას გაცვეთა,
ვიცი, უფალთან ამ გაცრეცილ კაბით წარვდგები.

რა გამაჩნია?! მარტოოდენ ერთი ბღუჯა თმა,
(თითქოს უცვლელი და შესაფერი),
ვისაც ჩემი თმა ყველაფერზე მეტად უყვარდა,
იმ ადამიანს აღარ უყვარს აღარაფერი.

ჯუჯის სიმღერა

ვინ იცის, იქნებ ჩემი სული მშვენიერია,
მაგრამ ჩემს სხეულს, რომ მოხრილა და მოშვებულა,
უმძაფრეს ტკივილს, დაკრუნჩხულ ტანს რომ შეერია,
არ შეუძლია, რომ ატაროს სული შვეულად.

სულო, ნატანჯო, შენთვის ბაღი არ დარწეულა,
სულო, უბაღო, უსავანო, რა გაგახარებს,
ალესილ ჩონჩხზე ხტიხარ ეულად,
შეძრწუნებული ფრთებს აფართხალებ.

დაღონებულნი ძირს დამთრევენ მძიმე ხელები,
ამ უმომავლო ხელებს როგორ განვეშორები,
ხტიან ხელები გაოფლილნი, განახელები,
ვით წვიმის შემდეგ გომბეშოები.

ყოველი ნაკვთი, ყველა კუნთი ანდა კიდური
გაცვეთილი მაქვს, მონგრეული და უნიათო,
რას უცდი, ღმერთო, ჩემი ფიტული
ნაგავში როდის უნდა მიაგდო?

ვინ იცის, იქნებ მიბრაზდები, ღმერთო, ძლიერო,
რადგან გონჯი ვარ, მოქუფრული და უსახური,
მრავალჯერ ვცადე, მე მზად ვიყავ, მაგრამ იერი
ვერ შევიცვალე, ვერ გავნათდი სახედახრული.

ვინ მოდიოდნენ ჩემთან ახლოს, ტკივილით ვამხელ:
ქუჩის ძაღლები,
მაგრამ ძაღლებს არა აქვთ სახე.

კეთროვნის სიმღერა

ყველაფრისაგან მიტოვებულს მომხედე, ღმერთო,
არა იციან ჩემს შესახებ ქალაქში ახლა,
კეთრმა შემიპყრო, თანდათან დამხრა,
მივაჟღრიალებ სევდიან ეჟვანს.
ვინც უცაბედად ჩამივლის გვერდით,
მათ ყურადღებას მივიპყრობ მკვეთრი
ჩხარუნ-ჟღრიალით.
და ყველა გარბის, უყურადღებოდ
ტოვებს ჩემს განცდებს, თავის გზას ერთვის.

ჩემი სახლია სივრცე, სავსე ეჟვნის ჟღრიალით,
ვერვინ შემოვა, სადაც მე ვსახლობ,
მაგრამ, უფალო, ეგებ ეს ხმა გააძლიერო:
რომ, ვინც შემთხვევით მოვიდნენ ახლოს
და გამირბიან სნეულს და დაღლილს, –
ჩემს სიშორესაც არ გაეკარონ,
გაზარდე ჩემი ეჟვნის ხმის სახლი.
რომ გზად ვიარო ძალიან დიდხანს,
არავის შევხვდე, განილტვოდეს ჩემგან ყოველი,
უცხოა ყველა: ქალიც, ბავშვიც, კაციც, გოგონაც –
მაგრამ... დამტანჯავს, რომ შევაკრთო მშვიდი
ცხოველიც.

მჭვრეტელი

ხეებში ჩამდგარ ქარიშხლებს ვხედავ,
ქარიშხალს ფრთები აღარ ეღლება,
ჩემს შეშინებულ ფანჯრებს ეხლება,
მესმის სივრცენი ამბობენ საგნებს,
რომელთა გზასაც უმეგობროდ ვეღარ მივაგნებ,
და უდობილოდ მე ისინი ვერ მეყვარება.

დრო-ჟამს, ტყესა და სივრცეს გაჰკვეთავს,
ქრის ქარიშხალი, გარდამსახველი,
რა უასაკო მოჩანს აქედან –
სანახი, როგორც ლექსი ფსალმუნში, –
არის დიადი, მარადისი და უსახელო.

რარიგ მცირეა, რასაც ჩვენ ვებრძვით
და რაც ჩვენ გვებრძვის, არის ძლიერი,
ჩვენც რომ გვეწვნია ბედი საგანთა,
დავნებდებოდით გრიგალს თანდათან –
ჩვენც უსახელოდ შეგიწოვდა თვალსაწიერი.

რაზეც ვიმარჯვებთ, ის უძლურია
და გამარჯვება გვამცირებს თვითვე,
მარადისობა ყველაფერს ითმენს
და არ სურს იყოს ჩვენგან ძლეული.
ის ანგელოზად მოგვევლინება
და ძველი აღთქმის მორკინალთ ეძებს,
მათი ძარღვების ცხელი დინება,
როგორც ფოლადი, დაიჭიმება,–
ის კი თითებით მებრძოლთა მყესებს
ღრმა მელოდიის იგრძნობს სიმებად.

თუკი ბრძოლების უარმყოფელი
ანგელოზისგან არის ძლეული,
დაგვიბრუნდება იგი, რჩეული,
უტყუარი და თავაწეული.
ის იარსებებს ერთი მიზნითაც –
გამარჯვებები არ მიიზიდავს,
ეს გაზრდის მხოლოდ: იქმნეს ძლეული –
უფრო და უფრო დიდი ძალისგან
სულ უფრო მეტად დამარცხებული.

დაბრმავებული ქალი

სხვებივით უჯდა იგი მაგიდას,
ჩაის ფინჯანი ეჭირა ოდნავ
განსხვავებულად. ღიმილი ჰქონდა
იმდაგვარი, რომ გული ამტკივდა.

წამოიშალა როდესაც ყველა
სიცილ-კისკისით და მასლაათით,
ღია ოთახებს გაჰყვნენ ტაატით,
მხიარულ სტუმრებს მისდევდა ნელა.

როგორც სიმღერის წინ მომღერალი,
ღელავდა. ნეტავ რა ახარებდა?!
შუქი თვალებზე სცემდა გარედან,
ვით გუბეებზე სხივთა ჩქერალი.

თვალწინ კი – ზღუდე. იგი კრთებოდა,
რომ რაღაც იყო გადასალახი
და რასაც ვგრძნობდი ბედის კარნახით –
იფრენდა, ზღუდეს თუ გასცდებოდა.

კრებულიდან მარიამის ცხოვრება

მწყემსთა ხარება

ზეამომხედეთ, კაცნო, ცეცხლს რომ მიეფიცხენით,
მწყემსნო, თქვენ უწყით ეს უსაზღვრო ზეცის თავანი,
ზეამომხედეთ, ახალ ვარსკვლავს,
ვარსკვლავთმრიცხველნო,
მე ვარ ვარსკვლავი მოკაშკაშე, ამომავალი.
მთელი არსებით ვბრწყინავ, ისე დაუსაბამო
შუქით ვივსები, აღარ მყოფნის ცა უსამანო,
გთხოვთ, თქვენს ყოფნაში ჩააღვენთოთ ჩემი ნათელი,
რადგან ივსებით ღამის მზერით, ღამის თვალებით,
ხართ ღამეული ბედისწერით განაწვალები.
მწყემსნო, თქვენთანაც მე ვარ ეული,
თუმც უცაბედად მებოძა სივრცე, –
ცა ვარსკვლავებით გადარწეული.
ნუ გაგაკვირვებთ, პურის ხემ რომ ჩრდილი დაჰფინა,
იგი ხომ ჩემგან აღმოცენდა, ჩემგან გაფრინდა.
შეუდრეკელნო, უშიშარნო, ჩანს, მომავალი
თქვენს ამომზირალ სახეებზე როგორ ანათებს,
ჩემს მძლავრ ნათელში შეიცვლება მალე მრავალი,
მართლმორწმუნენო, თქვენ გენდობით, არ მიღალატებთ.
ო, მდუმარენო, საიდუმლოს თქვენ გიწყალობებთ,
თქვენ გესიტყვებათ წვიმა, გვალვა, მწვანე კორომი,
თქვენ გესიტყვებათ ქარი, მდელო, ჩიტთა გალობა,
თქვენა ხართ მცველნი მიწიერი წონასწორობის.
თქვენ არ ესწრაფით გარდასახოთ ამპარტავნებად
ის, რაც თქვენშია. არ აწვალებთ საგნებს თავნება
რაღაც წადილით, მკერდში, როგორც ვიწრო დილეგში.
ანგელოზია სიხარულის წმინდა სათავე,
თქვენ კი – სათავე მიწიერის, მისი დინება,

და თუ მაყვლოვანს უფლის შუქი აათავთავებს,
იხმობს ქერუბიმს უფალი და თუკი ინება,
რომ ჩაუაროს თქვენს ფარას და შეყოვნდეს იქვე,
არ გაოცდებით,
და იმათაც აღიქვამთ მიწად,
აღავლენთ ლოცვას,
დაემხობით მიწაზე პირქვე.
ეს უკვე იყო, ამჟამად კი მოვა ახალი,
დედამიწის წრეს ვინც განავრცობს მეტი ჭიდილით,
რა არის ჩვენთვის ეკალბარდი, ღმერთი მაღალი
ქალწულის წმინდა საშოთი რომ განიმსჭვალება!
მე ვარ წიაღის უწმინდესის აელვარება,
რომ წაგიძღვებათ, მწყემსნო, მარადის.

გეორგ ჰაიმი

გეორგ ჰაიმის (1887-1912) პირველი ლექსები 1899 წლიდან იწერება. იგი საცხოვრებლად გადადის ბერლინში და აგრძელებს სწავლას გიმნაზიაში. 1902 წლიდან ინტენსიურად წერს ლექსებს.

გეორგ ჰაიმზე მძაფრი გავლენა მოახდინა ჰიოლ-დერლინმა, ნიცშემ, ნოვალისმა, მერეჟკოვსკიმ. ჰაიმი შტადლერთან და თრაკლთან ერთად გერმანული ექსპრესიონიზმის ერთ-ერთ დამფუძვნებლად ითვ-ლება. სიკვდილი, ომი, დიდი ქალაქები, გამძაფრებუ-ლი ტრაგიზმი, აი, მისი პოეზიის უმთავრესი თემები და შესაბამისი მისტიკური მუხტი.

სიცოცხლეში ჰაიმმა გამოსცა ერთადერთი კრე-ბული „მარადი დღე" (1911) მისი გარდაცვალების შემდეგ ჰაიმის ლექსები დაიბეჭდა ექსპრესიონიზმის ლეგენდარულ ანთოლოგიაში, რამაც მისი პოპულა-რობა არნახულად გაზარდა.

ჰიტლერის მმართველობისას ექსპრესიონიზმი გამოცხადდა „დეგენერატულ ხელოვნებად" და გეორგ ჰაიმიც მიივიწყეს.

1960 წელს გერმანიაში გამოიცა გეორგ ჰაიმის თხზულებანი ოთხ ტომად – ლექსები, პროზა, დრამები, წერილები და დღიურები.

ოფელია

1.

დაფათურობენ წყლის ვირთხები მის გაშლილ თმაში,
მისი მკლავები, როგორც ფრთები მიაქვსა დინებას,
მიდის, მიჰყვება წყალმცენარის ჩრდილი თამაშით,
რომელიც ფსკერის უღრანიდან ტანს ეფინება.

მზე ჩამავალი, შეღამების კარად მისული,
შეუერთდება მისი ტვინის კივილს შემზარავს,
ღად მიიცვალა მარტოსული, თვალდანისლული,
გულამღვრეული წყლის დინებას რად დაემგზავრა..

ქარი შამბნარში შემალული ხელს უცაბედად
თითქოს აიქნევს და ღამურებს ისე ამოშლის,
ღამურები კი ბინადარნი მღვრიე ღამეთა,
ააბოლებენ წყალს მიმავალს ბნელ საღამოში.

გვამს ღრუბელივით ეხვევიან, იკლაკნებიან,
ჭიაყელები ფუთფუთებენ, მიაცილებენ,
დაიტირებენ ტირიფები, ბინდში კრზტებიან
და გარდაცვლილის მუნჯ ტკივილებს მიაცილებენ.

2.

წითელი ოფლი მცხუნვარე მზემ ჩამოიწურა,
ჩასძინებია მინდვრად ყვითელ ქართა ბუდარას,
ის – დაქანცული ფრინველივით ისევ მიცურავს,
გედების ფრთები ეფინება, როგორც სუდარა.

იცურე, წადი! იქ, ქალაქთა აურზაური
არხში მოამწყვდევს თავისუფალ სწრაფვას მდინარის,
სადაც ქალაქთა მღვრიე ექოს კვლავ უცნაურად
გამოსცემს ქუჩა მოთუხთუხე და უძინარი.

ისევ ქუჩებში, კვლავ ზარების რეკვა გაისმის,
ბრძოლა, ღრჭიალი მანქანების, ხმა დაზაფრული,
ჩამქრალ ფანჯრებში დასავლური მძიმე დაისი
და ვებერთელა ამწეს ხელი ბინდში ჩაფლული..

შუბლშეჭმუხნული, უძლევალი მოჩანს ტირანი –
და მის გარშემო მუხლმოყრილი შავი მონები,
მძიმე ხიდები და ხიდებქვეშ წყალი მტირალი,
მძიმე ფანჯრები, არეკლილი ჯაჭვის რგოლები.

ის კი მიცურავს უსიცოცხლო და უდრტვინველი,
მაგრამ სადაც კი ბრბი გროვდება, როგორც მორევი –
ვეებერთელა ფრთით განდევნის შავი ფრინველი
დაფრთების ჩრდილებს მოიმოაფენს ნაპირს ორივეს...

იცურე! წადი! იქ, სიბნელეს ეზიარება
დღე დასავლურად უმაღლესი, ქრობა ზაფხულის,
სადაც ველების მწვანე სივრცეს მიეზმანება
საღამოების დაღლილობა სულგანაბული.

მიაქვს მდინარეს, მდინარე კი დინებით ნიღბავს
პორტების წუხილს, ზამთრის სუნთქვას ნისლად
მოწოლილს,
მიაქვს მდინარეს ამქვეყნიურ სივრცეთა მიღმა,
სადაც გიზგიზებს ჰორიზონტი, როგორც კოცონი.

ნაირა გელაშვილის ბწკარედის დახმარებით
თარგმნა გივი ალხაზიშვილმა

ქალაქთა შერისხვა

თქვენ ხართ წყეულნი, თუმც ყვავილობთ კვლავ ნეტარებით,
როგორც ნაყოფი ტლანქი კოცნის, ბულწი ტუჩების,
როცა სიბნელე თქვენს ქონგურებს მიეპარება –
სადღაც გაქცევას რად ლამობენ შენი ქუჩები?!

მაშინ დარეკავს, ათრთოლდება ზარი ყოველი,
ზარების ხმები მზის ყვავილთა ფერში ჭკნებიან,
იქ, სადაც მოჩანს ტანჯვის ფუძე მოოქროვილი,
სახრჩობელები აღმართულან, ჯვრისებრ ჩნდებიან.

ცეცხლის ზღვასავით დუღს ქალაქი ავად
მგრგვინავი,
წაეკიდება რვალის წითელ ბრწყინვად მერე ცას
და დასალიერს განათებულს სისხლის გვირგვინით –
ხარის შუბლივით პრიალა მზე რქებით შელეწავს.

თარგმანი გივი ალხაზიშვილისა
ბწკარედი ნაირა გელაშვილისა

ქალაქის ღმერთი

სახურავებზე გადამჯდარა, გადამხობილა,
ქარაშოტები კერპის შუბლთან კვლავ ბინადრობენ,
მრისხანედ უმზერს გარეუბანს, სადაც ობოლი
ბოლო სახლები, თითქოს ცაში წასვლას ნატრობენ.

მეწამულისფრად ულაპლაპებს დაისი მუცელს,
სწამთ მუხლმოდრეკილ დიდ ქალაქებს მისი დიდება,
ეკლესიათა ზარების ხმა გაისმის უცებ,
შავი კოშკების ზღიდან მისკენ მიიზვირთება.

ისმის მუსიკა მილიონთა, ხმა დამღუპველი...
ველური როკვა... ჩანს უთვალავ თვალის სარკმელი,
მილების მჭვარტლი, ფაბრიკათა კვამლის ღრუბელი
მიიწევს მისკენ, მიიწევს ვით სუნთქვა საკმევლის.

ავი ტაროსი კერპის წარბებს რომ შეერევა,
საღამო მიდის ღამისაკენ ბინდის ფათურით,
კერპის თმაგაშლილ უღრანიდან, როგორც ძერები
იმზირებიან ქარიშხლები ფრთებშემართული.

განრისხებული გადმოსტყორცნის ციდან ცეცხლის ზღვას,
გავარვარებულ ცეცხლის ნაკადს ხმელეთს მიანთებს,
მუშტს მოუღერებს და ქალაქის ქუჩებს შერისხავს
და ქალაქს შთანთქავს გეჰენია გამთენიამდე.

თარგმნა გივი ალხაზიშვილმა
ბნკარედი ნაირა გელაშვილისა

ტუდორ არგეზი

ტუდორ არგეზი (1880-1967) სამართლიანად ითვლება რუმინეთის უდიდეს პოეტად. მისი ლექსები თითქმის ყველა ევროპულ ენაზეა თარგმნილი.

ცხოვრების რთული გზა განვლო ტუდორ არგეზმა. სიყმაწვილეში ჯერ მართლმადიდებელ ეკლესიას ემსახურა, მერე – კათოლიკურს, ბოლოს კათოლიკური ეკლესიაც მიატოვა და ხუთი წელი იხეტიალა ევროპაში, ფეხით შემოაიარა შვეიცარია, საფრანგეთი, იტალია, ინგლისი.

ტუდორ არგეზის შემოქმედება ახალი რუმინული პოეზიის სათავეა.

სიმღერა

დასრულდა ომი, ვეშურები ბრძოლით დაღლილი,
დალეწილია ჩემი შუბი, ფარი, მახვილი.
ამ სიჩუმეშიც ჩემთანა ხარ, გული აენთო,
ასეა მუდამ – ჩვენ ერთად ვართ უერთმანეთოდ.
ბილიკ და ბილიკ მივაბიჯებთ მთაში და ბარად,
ოცნების, ფიქრის, სიყვარულის, მზის ანაბარა.

ოდეს წყურვილი მტანჯავს ყარიბს ზაფხულის მზეში,
მყისვე წყაროს წყლით აგევსება პატარა პეშვი.
ჩემო ძვირფასო, იქნებ ნატრობ – პეშვი კი არა,
შემომაგებო სავსე მკერდი ბროლზე კრიალა.

მიახლოვდები, წყალში ფეთქავს
ბალახის ღერი,
მე გავიგონე – საიდუმლოდ
აჩქამდა ფსკერი.
მიახლოვდები ჩუმად, როგორც მსუბუქი ჩრდილი,
შენი სურნელით გაჟღენთილან ყვავილნი დილის.

სიჩუმეს შენსას იმეორებს შრიალი ხეთა,
უსაზღვროებას განათებულ თვალებში ვხედავ.
დაკარგულია თითქოს ზღვარი, ჩემო ხატებავ,
შენა ხარ იგი – რაც კვდება და კვლავ იბადება.
მუდამ ჩემთან ხარ, დედოფალო, ვით ორეული,
უსპეტაკესი, მარადისი და შორეული.

დაბრუნება

ცოტაღა დარჩა შესაცნობი, გადასალახი,
განვლილი გზები ერთდებიან და მზერას აწვიმს,
ბნელი ქუჩები, ბილიკები, ტყენი, სანახი,
როგორც ბორბალი ტრიალებს თვალწინ.

რას გვახსენებდა სურნელი მსგავსი?
რამ ააყვავა ყვავილები გარდასულ დროის?
მოდის საღამო და ზეცის გარსი
გამჭვირვალეა, მაგრამ მოაქვს ბურუსი გლოვის.

ო, რა მოგველის? უდაბნოთა სიმშვიდე ვრცელი?
ნუთუ ესაა იმ გამოვლილ დღეთა მიზანი?!
ზე გაშლილია ულურჯესი, უვრცესი ველი,
ირგვლივ სიმწვანე – ახდენილი ყრმობის სიზმარი.

აი, სასტუმრო განზე მდგარი გვეძახის თითქოს,
ისმის სიმღერა, იქ ღვინოა, თბილი საწოლი...
ლივლივა თმებში თუ ჩავყვინთე, შეგუბულ სითბოს –
გამოსხივებულს ვინ გაზომავს, ვინღა აწონის.

ო, თუმცა დრო-ჟამს სრულიადაც არ უყვარს მოცდა,
მდუმარებაში დავასრულებთ ცხოვრების გზა-კვალს,
ვით ჯადოსნური საწამლავი – მხურვალე კოცნა,
რომ დავუბრუნოთ კაცთა მიწას – მშობლიურ აკვანს.

სიუხვე

გაგრძელდა კვალი, შენ გაიხარე,
შენ ხარ ძვირფასი ტვირთის მზიდველი.
შორიდან მოჩანს – თითქოს ქვის ხარებს
ბრინჯაოსფერი კაცი მიდენის.

ხორბალი, ქერი არ დაილევა,
თესავს გლეხკაცი, იღვწის სახლისთვის,
მიჰყვება გუთანს, ზოგჯერ იელვებს
ჩამავალ მზეზე მჭრელი სახნისი.

დროგამოშვებით გახედავს სოფელს,
თან აქუცმაცებს მიწას ბელტებად,
ხნავს, ვიდრე მთვარე ჩრდილებს მიმოფენს
და გაშლილ ველზე დაიღვენთება.

ხოლო ალვის ხე ცად მიმავალი
ღამეულ ბადეს ფრთხილად მოისხამს,
თრთის ვარდისფერი მთებთან სავანე,
ეშვება ბინდი საღამოისა.

გარდასულს აღარ მიიტან გულთან,
წარსული ფიქრთა სამოსახლოა,
შეჰყურებ – ღმერთი მიჰყვება გუთანს
და გიკვირს – ღმერთი ისე ახლოა.

ფსალმუნი

შენ გამომძერწე, სასიცოცხლო სული შთამბერე,
მას მერე ვცოცხლობ, მაჭაბუკებ, კიდეც მაბერებ.

მე ყოველ წამში ვიღუპები და სიკვდილი ისევ მკაცრია,
მკაცრი წუთები მშვიდ ცხოვრებას აღარ მაცლიან.

შენ მასწავლიდი, უხილავო, საწყალს თავიდან:
– სიკვდილს ამარცხებს სიყვარული დასაბამიდან.

მითხარი ცრემლზე ერთი სიტყვაც, ნისლით დაფარე,
გლახაკს ცრემლების ოკეანე შემომაპარე.

დღესასწაულზე მიმიწვიე, შემხვდი მდუმარე,
არც კი მაუწყე – ამა ქვეყნის რომ ვარ სტუმარი.

ვით სასაფლაო, ვით აკლდამა დარდის მთხრობელი,
უსიყვარულოდ შეგიქმნია ესე ყოველი!

გარდასახვა

მხოლოდ უფალმა
იცის ჩემი ავანჩავანი...
შუაღამისას გაურკვეველს
ვგრძნობდი მოლოდინს,
გამომიწოდა ნისლით სავსე
თასი მავანმა,
დაუფიქრებლად შევსვი ბოლომდი.

რა შევსვი ნეტავ
საამო და გონის წამრთმევი?! –
თითქოს ძარღვებში
საწამლავის ვიგრძენ დინება,
რა მემართება,
ვთვრები თუ ვკვდები?! –
მე ვუბრუნდები
ჩემს ბავშვობას და მეძინება.

აკაკუნებენ – თითქოს მესმის
ნისლით შებურვილს,
ვყვირი: მომშორდი!
ისიც გამშორდა,
ვის დავენახო უსახური,
გაბავშვებული,
ვის დავანახო
გამჭვირვალე ჩემი ბავშვობა?!

ფსალმუნი

ჩემი ბრალია,
მიულწეველს ველტვოდი მარად,
რად ვესწრაფოდი აკრძალულ მხარეს?!
კუნაპეტ ღამის ბნელ დროშაში გამოხვეული –
ფიქრში, სიზმარში, ოცნებაში
მუშტშემართული
ფეხაკრეფით შევდიოდი მძინარ ქალაქში,
უსასტიკესი სიამოვნებით,
განურჩევლად ვძარცვავდი ყველას...
მსუბუქად,
ფრთხილად მიცურავდა ჩემი ნაბიჯი
მარმარილოს გრძელ კიბეებზე,
ვარსკვლავიან ცის დროშის ჩრდილში
მმალავდა ღამე
და აძინებდა გრძელ შუბებზე ჩამოყრდნობილ
ყეყეჩ დარაჯებს.

ძვირფას ნადავლით დატვირთული
ვტოვებდი ქალაქს,
წაბლისფერთმიან მზეთუნახავს მოვიტაცებდი...
ო, მზეთუნახავს
აბრეშუმის იდუმალი შარიშურიდან
ამობურცვოდა მაყვლისოდენა,
უმკვრივესი ძუძუსთავები.
არასოდეს,
არც სიყრმეში, მეტადრე ახლა,
არ მამშვიდებდა მიღწეული,
ჩემი სურვილი, გული ჩემი
და სული ჩემი
გაჟღენთილია მეამბოხის სისხლით და სწრაფვით.

კლდეზე მძინავს, ყინულით ვთბები,
ბნელ ღამეში შევიჭრები ჩირაღდანივით,
სიჩუმეს ვბზარავ ბორკილთა მსხვრევით,
ვაგლეჯ ჟანგიან საკეტურებს
                მძიმე კარებებს,
მაღლა და მაღლა,
                უფრო მაღლა
სახიფათო ბილიკებს ვეძებ,
ხახადაღებულ უფსკრულის პირას მივაბიჯებ
მტკივან ზურგზე ტვირთმოგდებული,
გაბრუებული, აგზნებული.
                შენც უფალო,
შენც მუშტს გიღერებ და გემუქრები,
შენც გიმიზნებ ნაცად მშვილდისარს,
მაგრამ უეცრად მესმის შენი ხმა
მაგიური და მშვიდზე მშვიდი:
– ფრთხილად, ფრთხილად, ადამის ძეო!

სიმღერა დუდუკზე

მწუხრმა მოიცვა დედამიწა უმთვარო ღამით,
მრავალს ეგონა, მოახლოვდა განკითხვის ჟამი.
სასახლეთა და სიმაგრეთა ბჭენი მშიშარა,
ღამის წყვდიადში ჩამოინგრა, ჩამოიშალა.

მოქეიფეებს გაეყინათ ხახაში ლუკმა,
უღრანი ღამე გაანათა ღვთიურმა შუქმა
და გაიშხლართნენ იატაკზე,
როგორც მონები –
უფლისწულები,
დიდებულნი,
ქალბატონები.

მძიმე ჰაერში თალხისფერი გალღვა თუ არა,
ვეება ტალღამ დარბაზს ზათქით გადაუარა.
ახსნეს ურდული და დაიძრა
ხალხი მძვინვარე –
ღია ჭიშკარში, სასახლისკენ, როგორც მდინარე.

ამსხვრევენ ღმერთის ქანდაკებებს,
ხალხი არ ცხრება,
ხალხი იმარჯვებს,
მარმარილოს ღმერთი მარცხდება.
ნამთვრალევ სახეს მოიფშვნიტავს უცებ ტირანი,
მოჩვენებაა, – გაიფიქრებს ბრბოსკენ მზირალი.
ეს ვინ გაბედა?!
ვინ დამიფრთხო ჟამი მოლხენის?!
დიან დროშათა იალქნებით მეამბოხენი.

მოეჩვენება დამფრთხალ მეფეს,
ხმაურით შეშლილს,
მოდის დევკაცი სიბნელეში ჩირაღდნით ხელში.
ჰეი, მცველებო! სიზმარია ნუთუ ყოველი,
თუ მართლა მოდის ხალხი – მეფის უარმყოფელი?!

დალეწეს კარი,
ხალხის ტალღა ტალღას მოება
და გადათელა დარბაზების ბრმა მყუდროება.
შორს, ცხრაკლიტულში
მოჩანს, როგორც ლანდი სიკვდილის,
დამფრთხალი მეფე –
მოცახცახე და ფერმიხდილი.

რა გადასწონის,
თრთის სასწორი, შედგნენ მდევრები,
ტირანის სისხლი
თუ ტანჯული ხალხის ცრმელები.

სიმღერა დუდუკზე

ჩემი გულია –
                    წვიმები, გზები,
ჩრდილები ხეთა,
                    ძველი ნიშები,
მზეს ჩახვეული ვენახები,
სახურავებზე აღერილი ცისფერი კვამლი,
ძაღლების ყეფა,
                    სუფთა ჰაერი,
ნაცარი – კვლებზე მიმობნეული,
                    დაუსაბამო სათიბები,
                    ყვავების გუნდი,
სივრცეს უაზროდ მიშტერებული
ლაფიანი კამეჩის მზერა –
                    ჩემი გულია!

ჩემი გული ცემს ბავშვის ტირილში,
ჩვილის ხელებში,
                    ჩვილის სხეულში,
აუხელელ თვალებში ფეთქავს...
სად არის წყარო გამჭვირვალე?!
ამღვრეულან სათავეები,
მზით გადამწვარი მდელიები ფერფლს და ლოცვას
                    წაულეკია;
დავეძებ ახალ მდინარეებს
და ვპოულობ ლამსა და წუმპეს,
მაგრამ ეს გული,
წეროების გუნდს ადევნებული
მიარღვევს სივრცეს, როგორც ისარი...

ფუტკრის ზუზუნში,
მინდვრის თაგვების ჩამიჩუმშიც
ფეთქავს ეს გული,
გული ყველამ და ყველაფერმა
გაინაწილეს.

Morgenstimmyng[1]

შემოიპარე ჩემში სიმღერით,
როს დაგმანული ზამთრის ფანჯრები
შემოალო ძლიერმა ქარმა
და მოზეიმე დღის კვალდაკვალ
გაისმა შენი მღელვარე ხმა –
სიცარიელის უარმყოფელი.

მონატრებული ხმა უეცრად
მოედო ოთახს,
მტვრიან ყუთებს ააგლიჯა საკეტურები,
კარადებში გაინკრიალა...
იდგა ჩემი მონასტერი,
ვით ქარისაგან გახსნილი ყუთი.

ვინ იცის, იქნებ არც მომხდარიყო,
გაყინული სულის სიმების აჟღერება
რომ არ გეცადა,
რომ არ შეგეხო კლავიშებისთვის
დუმილის თითი
ზეციური ფრინველების გამოსახმობად.

ყოფიერების ნაცრისფერ წრეში
ველური ჟინით აქანავდა გრიგალის ფრთები,
შემოახედა ჩემს ფანჯარაში
ზეცას,
ტყეებს, ტბის ცისფერ თვალებს.
ხუხულასავით ინგრეოდა
ჩემი ნაქები ციხესიმაგრე,
შევცქეროდი გაოგნებული და დაბნეული.

---

1 დილის განწყობა (გერმ.)

რამ აგამღერა?
შენი სიმღერა რად გავიგონე?

მე მოვდიოდი შენკენ ციდან,
შენ კი მიწიდან იზიდებოდი,
შენმა სიმღერამ გამაცოცხლა,
გამომაღვიძა.
ახლა იქ, ზევით,
როგორც კლდის ქიმთან
წყვილი ღრუბელი,
ჩვენ ერთმანეთში ნებიერად გადავიზარდეთ.

ფსალმუნი

მარტოსული ვარ, მკაწრავს ეკალი,
უდაბნოს ხე ვარ კენტი,
დაღლილი,
მოხეტიალე და მოდრეკილი,
მწარე ნაყოფით ტოტებდახრილი.

მტანჯავს დუმილი. ცისა ციალო,
რად არ აშუქებ მოწყენილ ჩეროს?!
ფრინველმა მაინც შეიფრთხიალოს,
დუმილი წამით რომ შეაჩეროს.

გამთენიაზე ფრინველთა ქორო,
შეღამებისას შაშვის გალობა,
გვედრებ, ჟამი-ჟამ კვლავ გამაგონო,
ეს მდუმარება ვინ მიწყალობა?!

უსურნელოა,
სურნელს ადრეულს
ჩემი ყვავილი ვერ გაახსენებს,
მერქანდაკოჟრილს,
ფოთლებამღვრეულს,
დღეს სევდიანი ცვარი მასველებს.

ჩირაღდანია თითქოს ვეება,
ბებერი მთვარე დასალიერთან,
სულგანაბული დგანან ხეები,
თითქოს სამყარო დაცარიელდა.

ო, ნუთუ კმარა, ასე მოღლილი,
რომ კვლავ ვანთივარ წმინდა სანთლებით,

შენი ბრძანებით წელში მოხრილი,
ბნელში ფესვებით რომ ვიხლართები?!

რისთვის დამაგდე,
                    რისთვის დამღალე,
ურვას და სევდას აწ შეჩვეული,
როდის მეწვევა შენი რჩეული –
მნათობის შუქზე ფრთაანეული,
კეთილი რჩევით რომ გამახაროს.

გემუდარები, გამილე კარი

რა სიბნელეა...
თვლემს უკუნის მძიმე ქაოსი...
მომიკაკუნა კარზე ვინმემ,
თუ მეჩვენება.
ნუთუ ხეების შრიალია, ყურს რომ აოცებს –
ანდა ვინ არის სიბნელეში შეუჩერებლად,
უჩირაღდანოდ რომ მოარღვევდა ღამეულ ფარდას,
ვინ ეხეტები,
ვინ ათრთოლებს იდუმალ კალთას,
ნეტა ვინ არის
მარტოსული ჩაკეტილ კართან?!

გაპარტახებულ სავანეში დღეს სულერთია,
რომ ეხეტება,
მიპასუხე, ვის ეძებ ნეტავ.
უკუნეთია,
ამაზრზენი უკუნეთია,
ჩუ, ნუთუ შენი ხმა ისმის, დედა?!

იქ, სამარეში, იმალება წარსულის ჩქამი
და მდუმარება გარდასულ დღეთა,
დაკარგულია ყოველივე ამ უღრან ღამით,
დაკარგულია დღეს შენთან ერთად.

გაქრა მავანი, აღარ ყეფს ძაღლი,
გადახრუკულა,
გადამხმარა ხეები თუთის,
ცარიელია ბებერი სახლი,
აღარ დაფრინავს მერცხლების გუნდი.
დგას კენტი ალვა და ასწლეული

მალალ ტოტებზე ბიბინებს ხავსად,
არც ჩქამი ისმის ანაზდეული –
დასასრულია...
არავინ არსად!

ეს ვინ აღვიძებს ცარიელ ბაღებს,
უჩინო, როგორც ზღაპრული ლანდი.
რისთვის მოხვედი,
კარს რატომ აღებ,
ოცი წელია არავინ დადის
ამ უსიცოცხლო მდუმარებაში.

ირგვლივ რიყეა,
ქვიშა,
ბალახი,
ჩამქრალი ზარი,
მკვდარი კარები,
ან რისთვისაა, ღმერთმა დალახვროს,
დღეს ყოველივე სიკვდილნარევი...

და ის ვინც ბაღში შემოპარულა,
უჩუმრად მოდის,
ჰგავს საოცრებას,
ო, იქნებ იგი უმზერს მალულად
ჩემს ფიქრებს,
ეჭვებს
ანდა ოცნებას.
– ეჰეი, ვინ ხარ,
ვინ ხარ მავანი,
მიტოვებული და უსახლკარო,
რად მიკაკუნებ მარტოდმავალი,
ამ მიყუჩებულ ტკივილს დაფარულს
რისთვის მიღვიძებ, მიუსაფარო?!

– წყურვილი მტანჯავს,
თუმცა აქამდი
თითქოსდა პირში მაყრიდნენ ნაცარს,
წყურვილი მტანჯავს,
აჰა, ნაკადი
უღლელი სისხლის – მადლობის ნაცვლად.

– გამოვექეცი ჯვარსა და ჯვარცმას,
აქაც სიცივე, ბინდი და ქარი,
გემუდარები, გამიღე კარი,
გამიღე კარი და შემიფარე.

ფსალმუნი

მე გევედრები და სივრცეს ვზვერავ,
მინდა შეგიპყრო, ჩემო დემონო,
მაგრამ არ ვიცი,
                არ ვიცი ჯერაც,
გაგანადგურო თუ დაგემონო.

მე გითვალთვალებ, ჩემო არწივო,
ჩემო ეჭვო და ჩემო იმედო,
მითხარ,
          ო, მითხარ როგორ გაგწირო,
როგორ გესროლო და გაგიმეტო.

არ ვიცი, ვინ ხარ –
თრთოლვა თუ რისხვა,
სამყაროს ხმა თუ ფერფლი კაეშნის?!
ველურ მზერაში ციმციმებ ისე,
როგორც ვარსკვლავი ხარის თვალებში.
იწყება ბრძოლა, ერთურთს შევებით,
მსურს საკუთარი თავის ღალატი –
ნეტავი მძლიოს, რომ წარსთქვა
                შვებით:
იგი არსებობს აწ და მარადის.

არქეოლოგია

გადახლართულა გარდასულთან
ფიქრი ფესვებით,
ვეხები წარსულს
მდუმარების ცივი თითებით,
საუკუნეთა მძიმე ფერფლით
ჩუმად მევსება
მშფოთვარე სულის ლაბირინთები.

დავდუმებულვარ სიყვარულის მქადაგებელი, –
როგორც მიწაში მიკარგული
ლანდი მეფური,
როგორც ქვესკნელში
უძველესი ქანდაკებები
და საფლავები მივიწყებული.

ო, აქ გუგუნებს უთვალავი ეპიტაფია
და წარწერების მკვდარი ქაოსი,
დრო გაყინულა,
იქ სიბნელე ისე მძაფრია,
როგორც სიჩუმე სასაფლაოსი.

მაგრამ მოისმის ცისკენ წასული
კვამლის შრიალი,
ო, ასე წყნარად
მიირწეოდა თვალწინ წარსული,
ვიდრე სივრცეებს არ შეეფარა.

გაოცებული წლების ნამქერით
და უხილავის შორი ძახილით
საუკუნეთა კიბეს გავცქერი
და ფხიზელი ვარ, როგორც მახვილი.

დაკარგული ფურცლები

ორმოცდაათი წელიწადია
ანათებ, ქრება, როგორც ცთომილი –
ძვირფასი ლექსი და რაც მწადია
რჩება მარადის მიუწვდომელი.

აი, ფურცელზე სიტყვები სდუმან,
გულში ღვთიური ცეცხლი ინთება
და ბურუსიან ფსკერიდან უმალ
იწყება ლექსის ამოზვირთება.

კვლავ გაჭიმული სიმივით ელის
კენტი სტრიქონი ხელის შეხებას,
რომ ჩაუქროლოს ზეციურ ველებს
და იბრჭყვიალოს მზის ნატეხებად.

და ისევ სიტყვა –
ვფიქრობ და მუდამ
სულგანაბული სიტყვას მოველი.
აჰა, ეს ლექსიც,
მაგრამ რაც მსურდა,
რჩება მარადის მიუწვდომელი.

ფანქრით ჩანახატი

მიაბიჯებს გაბმულ ხიდზე
გოგო თვალებბრიალა,
მოშრიალე კაბის კალთა
ქარმა აუფრიალა.

გააყოლა თვალი წყალმა,
თითქოს ამას ელოდა –
დამწიფებულ თავთუხისფერ,
მოქანავე თეძოთა.

მიიჩქარის, აფახულებს
წამწამების მარაოს,
თეთრი ხიდი, როგორც ნავი
ფეხქვეშ ისე ქანაობს.

თეთრო ხიდო, თეთრო გედო,
გამოისხი ფრთები და
აქ მომგვარე ჩემი ტურფა,
ძალით არა, ნებითა.

მოვატარებ მწვანე ნაპირს,
ვასმევ ფერად აკვარელს,
პურს რომ ნატრობს დამშეული,
ისე ვნატრობ საყვარელს.

ვიმალები ანწლიანში,
გოგო თვალებბრიალა,
ვხედავ, კოცნას მიგზავნის და
აქ არ ჩამოიარა.

ო, ნიჟარის შარიშურო,
იდუმალო ბუნებავ,
შინ მშვიდობით მიიყვანე,
აარიდე ცთუნება.

ტინკა

ხომ გახსოვს ტინკა,
მაგიდებს შორის
მიაცურებდი მიხაკებით სავსე კალათას,
თეძოთა რხევით მიაქანებდი.
ჩვენ კი გვეგონა,
მზემ წყვდიადში შემოანათა.

დაელმებული შესცქეროდა დარბაზი მთვრალი
შენს მკერდს უმკვრივესს –
ორ მწიფე ნაყოფს,
სუყველას შენზე ეჭირა თვალი,
შენ კი მიხაკებს ჰყიდიდი კრძალვით.

ვინ დაგიმშვენა, ტინკავ ლამაზო,
მძიმე ბეჭდებით ნაზი თითები?!
ნუთუ ნასტასემ ასე აგავსო
ბრილიანტით და მარგალიტებით?!

შენი სხეული ეკალმუხის
ვინ გადათელა,
ვისმა წყურვილმა აგათრთოლა
აგრე საამოდ.
ვინ დაარწყულე,
ვისთვის ჩაქრი როგორც სანთელი,
ულამაზესო,
უუღრმესო,
დაუსაბამოვ?!

ვინ მოგახია კაბის კალთანი,
ვინ მოგეხვია უსაზღვრო ვნებით,
ვის მკლავზე დარჩა
უნაზესი სურვილი თმების
ან ვისი ცეცხლით დაიფერფლე,
ფერი გეცვალა,
რომ იგრძენ –
თითქოს მიწა ფეხქვეშ გამოგეცალა?!

სად არის იგი?
ციხეში ზის საღ-სალამათი,
მაგრამ მწუხარი,
დაკოდილი შენი ღალატით.

სურნელოვანო, შე, შროშანო
მაისისაო,
ღალატისათვის შენი მკერდი
დაისისხლაო.

საპყრობილეში ზის ნასტასე,
შენ კი მისი დანით დაჭრილი
მიემართები
აჩრდილების ქვეყნად –
აჩრდილი.

* * *

რაზე ვიდარდო?!
შემოდგომას ვეფერები ნათელს და მზიანს,
ჩემი სახლი ჰგავს ჭრელ თაიგულს –
პატარძალს რომ ტაძარში მიაქვს.

ღია სარკმელში ფოთოლცვენის მოისმის ხმები
და ზეციური, უმშვიდესი ლაჟვარდებიდან
მზე იცქირება და მზეზე ვთბები.
საგნებზე მუდამ უჩუმარი დაცოცავს სხივი
და ჩრდილოვანში წვება და ღვივის
ღიმილი მისი,
უმანკო და მარადიული.
რაზე ვიდარდო, როს დინებას მინდობილი
თავისთვის მიდის,
მიცურავს მჩატედ – ცხოვრება მშვიდი?!
ვჭვრეტ წიგნთა დასტას,
ასე ძვირფასს,
ახლობელს მეტად,
ახალ ცხოვრების უძლეველ შუქს
საფლავთა ზედა.
ცვივა ფოთოლი ნაირფერი,
ჯერ კიდევ თბილი,
ავერცხლისფერებს მთვარე ფოთლებს,
ღამღამობით ედება თრთვილი.
დაფრინდებიან სახურავზე მტრედები ოდეს,
მათ ღუღუნს ვუსმენ,
სატრფიალო, უმანკო ნოტებს.
ხომლი ვარსკვლავთა ჩემთანაა
ციურ ჰანგებით,
ღამეული ცა გავსებულა ფარშავანგებით...
და მარტოობის მტანჯველი სევდა

აქ, ახლოს ჩემთან –
გარინდებულა, უჩუმრად ფეთქავს
და ჩამჩურჩულებს თვალახელილს: –
ფიქრში სად მიხვალ?
ისევ ჩემთან ხარ,
ისევ ჩემთან იქნები დიდხანს.

აღარას ვდარდობ ამ სიმარტოვეს,
რომ სულში სადღაც უჩინარი ძარღვებს ატოკებს.
რაზე ვიდარდო?
ვერ შთავბერე მოხატულ სურებს
ვიოლინოთა ციური ჰანგი,
რომ მოვისურვე.
დგას სახლი ყავრით დახურული,
თაიგულივით კოხტა და ნაზი,
გაურკვეველი მავსებს განცდა –
ნაღველის მსგავსი.

მონასტერი

დღემ რტოებში მიიძინა
ფიქრით და იმედებით,
ფანჯარასთან ჩამოფრინდნენ
თოვლზე თეთრი მტრედები.

თვლემენ, არ აფარფატებენ
მსუბუქ ფრთების მარაოს,
დღე ჩიტებთან ერთად გაქრა,
სადღაც მიიმალაო.

ვარსკვლავი რომ ამობრწყინდა,
ბინდმა ცა რომ გამურა,
მიყრუებულ სამრეკლოდან
ამოფრინდა ღამურა.

მნათობი ქსოვს მთვარის ჩიტებს,
მთვარის ჩრდილებს ჭალებში,
თრთის ვარსკვლავთა ნამცეცები
ქლიავისფერ თვალებში.

რეკს საათი,
ჯადოსნური
წუთის მოსვლა მახარა,
თითქოს ზეცამ ალმასები
თავზე გადმომაყარა.

ამაო დღე მიიფერფლა,
ლურჯი ღამე აქვეა,
შეუცნობელ სიხარულის
შუქი შემომაფრქვია.

სოფელი

სასაფლაოზე გადასახლებულა სოფელი,
ვერ გაიგონებ სახლის კარების ჭრიალს,
გაჰყურებ შორით
საფლავებს ჯვრებით მოფენილს,
ყოველდღიურად ახალ სამარეს ჭრიან.

და ჯვრები ჰგვანან ვიოლინოებს მდუმართ,
გარინდულან ღვთის –
დირიჟორის ნებით,
ცარიელია ქუჩა,
გამინდვრებულა გზები,
ჯვრები...
ჯვრები...
ჯვრები...

აბალახებულ, ვიწრო ბილიკით მიხვალ
ხელისცეცებით,
შემკრთალი ჩუმი ხმებით,
ფრთხილად იყავი,
ან მოარულო თიხავ,
გზას დარაჯობენ
მოხეტიალე მკვდრები.

მძიმე ჩექმებით ბევრი ტალახი ზიდე
და მარტოსული მოყვასის სითბოს ნატრობ,
ვერც კი შენიშნავ
კარზე ჩაჟანგულ კლიტეს,
სთხოვ თავშესაფარს
სახლის გარდაცვლილ პატრონს.

დღე-ღამის ზღვართან

გამოიხედა დღემ რიჟრაჟის იისფერიდან,
ჩუმად და ცივად შეარხია
სარკმელთან ფარდა.
ღამის წყვდიადი იისფერში როგორ განზავდა,
ვინ შეამჩნევდა უფალის გარდა.

ღამის სიგრილე, ვარსკვლავები,
მე – მარტოდ-მარტო,
ვუმზერ განთიადს, არ მეძინება,
თითქოს იგივე ჭაბუკი ვარ
და აღარ ვდარდობ,
დრო თავის ღარში
თქრიალით რომ მიედინება.

როდის მინავლდნენ იმედები,
აენთნენ როდის?!

ვისლავა შიმბორსკა

ქ

ვისლავა შიმბორსკა (1923-2012), ლექსების ათიოდ ტომის ავტორია, თანამედროვე პოლონური, თუნდაც მსოფლიო პოეზია, მისი პოეზიის გარეშე ძნელი წარმოსადგენია. იგი წერს ნელა, ლექსებს დიდხანს რანდავს, გაურბის პოპულარობას, უხალისოდ იძლევა ინტერვიუს, შემთხვევათა წყალობით მონაწილეობს ლიტერატურულ ცხოვრებაში, მაგრამ იგი ზედმიწევნით მნიშვნელოვანი პიროვნებაა.

ლექსთა კრებულები: „იმიტომ ვცხოვრობ“ (1952 წ.) და „შეკითხვები საკუთარ თავს“ (1954 წ.), „იეტის მოთხრობა“ (1957 წ.). ამ ტომების თანამდევი მოტივი – მელანქოლიური სიმწარე. „მეთოდური ყოყმანი“, შემეცნების სიფრთხილე, სოკრატესეული „ვიცი, რომ არაფერი ვიცი“. კარტეზიული „ვიცი მხოლოდ, რომ ვაზროვნებ“, აი, მისი შემდგომი პოეზიის მახასიათებლები. ამასთან, ისტორიული კატეგორიებით აზროვნებამ პოეტი ისტორიიდან პრეისტორიაში გადაიყვანა, აქედანაა, რომ შიმბორსკას პოეზია ანთროპოლოგიურ ხასიათს იძენს. გამოიკვეთა აგრეთვე პრინციპული კითხვებიც: „რა არის ადამიანი?“

შემდეგი კრებულები: „მარილი“ (1962 წ.), „ასი სიხარული“ (1967 წ.), „ყველა შემთხვევა“ (1972 წ.), „დიდი რიცხვი“ (1976 წ.), „მიყვარს ხიდზე“ (1986 წ.),

„დასასრული და დასაწყისი“ (1993 წ.) – ამ ტომებისათვის დამახასიათებელი თვისებებია პოეტისათვის ჩვეული სკეპტიციზმი და ლექსის მაცოცხლებელი წყარო – ირონია.

„ეგებ არიან პოეტები, რომლებმაც იციან, რა არის პოეზია. მე კი – არ ვიცი. და მე მგონი, ძალიან კარგიც კი არის, ზოგიერთი რამის არყოფნა არცოდნაა“, ამბობს ერთგან შიმბორსკა.

შიმბორსკა გვაცინებს და გვხიბლავს, თუმცა, ხანდახან, გვაშინებს კიდეც:

ჩემი ნიშნები განსაკუთრებულია: აღტაცება და სასოწარკვეთა. პოეტს აინტერესებს: კონტინენტების მოგზაურობა, ჯიშიანი ძაღლების გამოფენა და კატალოგები, დეტექტიური მოთხრობების პოეტიკა და თეოკრიტეს „იდილიები“. ნობელის პრემიის ლაურეატი (1996), ვისლავა შიმბორსკა უაღრესად რაფინირებული და ინტელექტუალური პოეტია. მისი ინტელექტუალური სიღრმე გამოსჭვივის ირონიულ ღიმილსა და მინიშნების კონოტაციაში. სამაგალითოდ შეიძლება გავიხსენოთ „იგავი“, „დაკარგულ საგანთა ბიუროში ნათქვამი“, „ქვასთან საუბარი“, „ბაბილონის გოდოლი“ და მისი სხვა ლექსები.

წინათქმაში გამოყენებულია ცალკეული ამონარიდები შიმბორსკას პოეზიაზე არსებული ქართული წყაროებიდან!

მადლობას ვუხდი ქალბატონ ნათელა გავაშელს, შიმბორსკას ლექსების ბწკარედების მომზადებისთვის, რაც საფუძვლად დაედო მისი ლექსების ჩემეულ თარგმანს.

იგავი

მეთევზეებმა ერთხელ ზღვაში ბოთლი იპოვეს, ბოთლში – წერილი. ის წერილი იუწყებოდა: „ხალხო, მიხსენით, მე აქ ვარ, აქ ვარ. ოკეანემ გამომრიყა უცხო კუნძულზე. ნაპირთან ვდგავარ და ხსნას ველი. იჩქარეთ ხალხო, მე აქ ვარ, აქ ვარ".

– უთარიღოა, – თქვა პირველმა, – დავაგვიანეთ, იქნებ ეს ბოთლი დიდი ხანია ზღვაში დაცურავს?!

– არც კუნძულის სახელია აღნიშნული, – თქვა მეორემ, – და არც ის ვიცით, თუ რომელი ოკეანეა.

– არც გვიანაა, არც შორია, აქ კუნძული უამრავია, – თქვა მესამე მეთევზემ და უხერხული მდუმარება გამეფდა მყისვე.

ზოგჯერ სიმართლე განსხვავებულ აზრებსაც ბადებს.

ჩრდილი

ჩემი ჩრდილი კუდში დასდევს დედოფალს,
კუდში დასდევს, როგორც ვინმე მასხარა,
ისიც თავს ხრის –
დედოფალმა თუ კი თავი დახარა,
კუდში დასდევს, ენარცხება შენობას.

არ მშორდება, ისე შემოჩვევია,
თუმცა იქნებ სულ არაა მხიარული,
არც კი მოსწონს ჩემთან ერთად სიარული,
შესაძლოა, რომ სხვა როლი ერჩია.

ფანჯრისაკენ როცა მიდის,
ის დედოფალს აცილებს,
მერე უცებ გადახტება ფანჯრიდან,
რას არ სჩადის თუ დედოფალს დასჭირდა,
საქმეები უსირცხვილოდ ასე გაინაწილეს.

თავის ნებით იმანჭება
ის ტეტია ძალათი,
თავის ნებით იჭაჭება და ლაქუცით მიწვება,
მეფის ტახტზე და გვირგვინზე ხელი არ მიმიწვდება,
ოცნებაა – მეფის კვერთხი და სამეფო ხალათი.

აჰ, მეფეო! მხრებს შევარხევ ანაზდად,
თავს დაგიკრავ უნაზესად, ნებისად,
როცა დაჰკრავს ჟამი განშორებისა,
იქ, მეფეო! – იქ, რკინიგზის ვაგზალთან.
ო, მეფეო! ახლა ისე გვიანია,
რომ მასხარა უეჭველად
ცივ რელსებზე დაწვება.

დაკარგულ საგანთა ბიუროში ნათქვამი

ქალღმერთი დავკარგე რამდენიმე
სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ გზად მიმავალმა,
მრავალი ღმერთი გამიუჩინარდა,
როცა აღმოსავლეთიდან ვეშურებოდი.
სამარადისოდ ჩამეფერფლა წყვილი ვარსკვლავი,
გადიხსენ ცაო,
ზღვაში ჩამეძირა ბევრი კუნძული.
აღარც კი მახსოვს ბასრი კლანჭები სად დამეკარგა,
ვინ ცხოვრობს ჩემში, ჩემს ნაჭუჭში
და ჩემს ტყავში გამოხვეული?
დამეხოცა და-ძმა, ყინულზე რომ ამოვფორთხდი,
მარტოდენ ძვალი, რომელიღაც ძვალი ზეიმობს
გადარჩენის წლისთავს.

ვლამობდი ტყავიდან გამოძვრომას,
მეკარგებოდა გზად ხერხემალი, კიდურები.
მრავალჯერ შევიშალე.

და რაც გადამხდა, მე დავხუჭე მესამე თვალი,
ჩავიქნიე ფარფლი და შტოები ავაშრიალე.

ქარმა წაიღო, ყველაფერი გაქრა, არა ჩანს
და მარტოსული ადამიანი ჩემში გადარჩა,
რომელიც ახლა კვლავ მარტოა და ისევ ბორგავს,
რადგანაც გუშინ ტრამვაიში დაკარგა ქოლგა.

ქვასთან საუბარი

ქვას მივუკაკუნე კარზე,
– მე ვარ, მე ვარ, შემომიშვი,
მსურს შენს წიაღში მიმოვიხედო,
შემოვიდე, სული მოვითქვა.

– გამშორდი, ქვა ვარ
ჩაკეტილი და შეუვალი,
შეუღწეველი ვიქნები მარად,
თუნდაც მთლიანად დამაქუცმაცონ,
რომ დამნაყონ, ქვიშად მაქციონ,
ჩემში არავის, არასოდეს არ შემოვუშვებ.

ქვას კარზე ვუკაკუნებ:
– შემომიშვი, მე ვარ, შემომიშვი.
ცნობისწადილმა მომიყვანა შენთან მარტოდენ,
ცხოვრება არის ცნობისწადილი დაოკებისთვის
ერთადერთი შესაძლებლობა:
ჯერ შენს დარბაზებს შემოვივლი,
მერე ფოთლების და წვეთების
სასახლეებს უნდა ვესტუმრო,
დრო კი, რადგანაც ცოცხალი, ვარ, ცოტაღა დამრჩა,
ვინძლო ჩემი წარმავალობა გულს აგიჩუყებს.

– ქვისა მაქვს გული,
ჩემს სიდიადეს უეჭველად შევინარჩუნებ,
განვედ, გამშორდი!
შემეძლოს მაინც, გულიანად რომ გავიცინო.

ქვას კარზე ვუკაკუნებ:
– მე ვარ, შემომიშვი,
მსმენია თითქოს შენს წიაღში
ვეებერთელა დარბაზებია, –
უკაცრიელი, თვალდაუდგამი
და ლამაზი დარბაზებია,
სადაც არასდროს ნაბიჯების ექო არ ისმის...
გამოტყდი, შენც ხომ ბუნდოვნად იცი,
შენს წიაღში რა იმალება.

ქვა კი პასუხობს:
– ვეებერთელა, უკაცრიელი დარბაზებია,
თუმც იქ ადგილი მაინც არაა.
შესაძლოა, რომ ლამაზი დარბაზებია,
ოღონდ საბრალოვ, შენი გონება და გემოვნება
იქ ვერ ჩააღწევს, იმ დარბაზებს ვერ მოიხილავს.
შენი ხვედრია, ჩემს ზედაპირს უმზირო მარად
და ვერასოდეს შემიცნო, რადგან
სამყარო ჩემი მიღმეული უხილავია.

ქვას კარზე ვუკაკუნებ:
– მემომიშვი, მე ვარ, შემომიშვი,
მე შენს წიაღში მარადიულ თავშესაფარს კი არ დავეძებ,
უსახლკარო და უბედური არ გეგონო,
მე დავბრუნდები, ჩემს სამყაროში ღირს დაბრუნება.
მხოლოდ შემოვალ, მერე მყისვე გამოვბრუნდები.
ხოლო დასტურად, რომ ვიყავი შენს დარბაზებში,
რას წარმოვაჩენ? მხოლოდ სიტყვებს.
მაგრამ სიტყვებს ვინ დაიჯერებს.

– არ შემოგიშვებ, ვერ შემოხვალ,
თანაგრძნობა არ შეგიძლია
ან რა შეცვლის თანაგრძნობას,
ყოვლისმხილველი თვალი რაა უთანაგრძნობოდ –
ამაოა, არაფერია.
ვერ შემოაღწევ, რადგან შენში
თანაგრძნობის ჩანასახი ბჟუტავს მარტოდენ.

ქვას კარზე ვუკაკუნებ:
– შემომიშვი, მე ვარ, შემომიშვი.
არ შემიძლია, უთვალავი წელი ვიცადო
შენს დარბაზებში შემოსასვლელად.
ქვა კი მპასუხობს:
– არ გჯერა ჩემი?
მიდი ფოთოლთან, იგივეს გეტყვის,
წყლის წვეთთან მიდი, ისიც იგივეს გაგიმეორებს,
შენი თმის ღერიც იმავეს გეტყვის.
სიცილით ვკვდები,
რადგან სიცილი არ შემიძლია.

კარზე ვუკაკუნებ:
– ქვაო, შემომიშვი!
ქვა კი მპასუხობს:
– კარი არა მაქვს!

ფილმი – სამოციანი წლები

ეს მონიფული მამაკაცი –
ადამიანი დედამიწაზე,
თურმე შედგება ათი მილიარდი
ნერვული უჯრედისაგან.
სამასგრამიან გულისათვის
გააჩნია სისხლი,
რალაც, ხუთიოდე ლიტრი.
ხოლო მის შექმნას
სამი მილიარდი წელი დასჭირდა.

თავდაპირველად მოგვევლინა,
როგორც ბიჭუნა,
რომელსაც თავი
დედამისის მუხლებზე ედო,
მაგრამ სად გაქრა ის ბიჭუნა
ან ის მუხლები სად მიიმალნენ.
ბიჭი გაზრდილა
და ის უკვე სრულიად სხვაა.
საშინელებაა
ქვაფენილივით გაპრიალებულ
სარკეთა ხილვა.
მან გუშინ კატა გაიტანა,
დიახ, თითქოსდა ჰქონდა მიზანი,
რათა კატა გამოეხსნა
ამქვეყნიური ჯოჯოხეთიდან.
მანქანაში ჩასკუპებულმა გოგომ
გულგრილად შეავლო თვალი კაცს,
რომელმაც გაიფიქრა: –
ამ გოგოს არა აქვს ისეთი მუხლები
მე რომ დავეძებ...

ამ მუხლებს შეუძლია
თავისთვის ინებივროს და
იშრიალოს ქვიშაში...
არაფერი აქვს თურმე საერთო
იმ კაცსა და გარე სამყაროს.
ის თითქოს დოქის
მოგლეჯილი ყურია და
სხვა არაფერი.
თუმც დოქს ამაზე წარმოდგენა
არ გააჩნია
და იგი წყალს ეზიდება
დაუზარებლად.
გასაკვირია,
რომ ვილაც შრომობს დაუზარებლად.
გასაკვირია,
რომ ვილაც შრომობს კვლავინდებურად.
სახლს აშენებენ,
კარის სახელურს აჩუქურთმებენ,
ხე იტოტება,
ცირკი ხალხის მოლოდინშია.
ამ მთლიანობას
სურს ფეხზე იდგეს,
თუმც კარგად იცის,
რომ ის შედგება
დაქუცმაცებულ ნამცეცებისგან.
როგორაა ერთმანეთს მიწებებული
მძიმე და სქელი.

თუმც ყველაფერი აბდაუბდაა,
რადგან ამ ქვეყნად
საზარელი სიბნელე სუფევს.
ამ სიბნელეში დარჩა ბიჭუნა.

სიცილის ღმერთო,
შეეწიე,
სიცილის ღმერთო,
შეეწიე,
მიეშველე,
გემუდარები.

ატლანტიდა

ნეტავ კუნძულზე თუ სადმე სხვაგან
სახლობდნენ ანდა არ არსებობდნენ.
ან ოკეანემ, ან უაზრო გაურკვევლობამ
შთანთქა ისინი, ანდა არ შთანთქა.

იქნებ უყვარდა მავანი მავანს?
თუ არსებობდა მტერი, ვისაც მარად ებრძოდნენ?
იქ შრიალებდა მარადმწვანე ხე სიცოცხლისა,
იქ, თუ სულ სხვაგან?

და თურმე იდგა ქალაქი შვიდი.
ო, ნუთუ მართლა?
მარადიული სურდათ სიცოცხლე.
ვის დაარწმუნებ?
ის იქცა ფერფლად. განა ფერფლი გამოიგონეს?
გამოიგონეს, დიახ, ფერფლი გამოიგონეს.

უკვალოდ გაქრა, სათუოებს და საეჭვოებს
ვერც ჰაერიდან გამოვიხმობთ,
ვერც მიწიდან, წყლიდან, ცეცხლიდან,
არც წვიმის წვეთში
და არც ქვაში არარსებულნი –
ვით გაფრთხილება –
იდგნენ ოდესღაც უმწეონი დარბაისლურად.
იქნებ დაეცა მეტეორი?
მეტეორი არ დასცემია.

იქნებ ვულკანი ამოდუღდა?
არ ყოფილა თურმე ვულკანი.

ვილაც რალაცას გაჰყვიროდა.
არაფერსაც არ გაჰყვიროდა.

ან გაფანტული ბურუსივით ჩანს ატლანტიდა.

ძალიან სასაცილო

ერთი ამას დამიხედეთ!
ბედნიერება მოუნდა,
სიმართლე მოისურვა,
უკვდავება მოიწადინა!
უყურეთ ამას!

ძლივს განასხვავა სიზმარ-ცხადი,
ძლივს მიხვდა რომ ეს თვითონაა,
ძლივს გამოჩორკნა ფარფლისაგან
კვესი და რაკეტა
და ლამისაა ერთ კოვზ წყალში
დაიხრჩოს ახლა.
სასაცილოა,
ოღონდ თავის სიცარიელე ამოივსოს
და მხოლოდ თვალებით იმზირება,
მხოლოდ ყურებით ესმის
და მისი მეტყველების მიღწევად
მარტოოდენ პირობითი კილო ითვლება.
გონებით მისდევს გონებას,
მოკლედ რომ ვთქვათ:
არარაობაა.

თავისუფლებამ გააყოყოჩა,
ძონძროხა ტანის მიუხედავად
თავი მოაქვს ყოვლის მცოდნედ
და ყოვლის შემძლედ.
ერთი ამას დამიხედეთ!

თუმცა მე ვიცი,
მას ნამდვილად შეიფარებს

რომელიმე პროვინციული ვარსკვლავი –
უცნაურად მოძრავი
და ძალიან მკვირცხლი.
როგორც უაზროდ გადაგვარებული კრისტალი,
იგი საკმაოდ ყოყოჩურადაა გაოცებული.
ერთი ამას დამიხედეთ!

მხოლოდ ამგვარად,
მხოლოდ ასე,
თუნდ ერთი წუთით,
თუნდ ერთი წამით...
ოღონდ გააჩნდეს
გალაქტიკა პაწაწკინტელა.

მერე რა ვუყოთ
თუ ძონძროხაა,
რაც არის, არის.
ის ჯიუტია,
ვერ შეიცვლება.

უნდა გამოვტყდე:
იგი ჯიუტი კი არა და
თითქმის კერპია –
ხელჩანთიანი, სვიტერიანი,
თანაც ცხვირზე რგოლჩამობმული.
იგი ძალიან სასაცილოა.
იყოს მერე,
რაც არის, არის!
საცოდავი,
ჭეშმარიტი,
ადამიანი.

სიტყვა

La Pologne? La Pologne?1 პოლონეთში საშინლად ცივა, ხომ ძლიერ ცივა? – მკითხა და შვებით ამოისუნთქა. ისე მომრავლდა ეს ქვეყნები, რომ ამინდზე საუბარი ნაღდი საქმეა.

მსურს ვუპასუხო: – ო, ქალბატონო, ჩემს ქვეყანაში პოეტები ხელთათმანებს წამოიცვამენ, რომ თითები არ წაეყინოთ და მხოლოდ შემდეგ წერენ ლექსებს. ათასში ერთხელ ხელთათმანებიც არ სჭირდებათ, ეს მაშინ, როცა მთვარე ამოვა და ჩამოცხება. პოეტები მხოლოდ მწყემსების მარტივ ყოფაზე შეთხზულ სტროფებს გაჰყვირიან ანდა მღერიან, რადგან გრიგალში მხოლოდ ამგვარი ლექსები ჟღერენ ძლივსგასაგონად. კლასიკოსები ნამქერებში ჩამდგარ მელანში ჩააწებენ ყინვის ლოლუებს და ისე წერენ. დეკადენტები მხოლოდ ყინულის ვარსკვლავებზე მოთქვამენ მარად. ხოლო თუ ვინმემ თავის დახრჩობა განიზრახა, უნაჯახოდ ვერას გახდება, რადგან ყინული თუ ვერ გააპო, მდინარეში თავს ვერ დაიხრჩობს. ასეა, ჩემო ქალბატონო, უძვირფასესო ქალბატონო!

ამგვარად მინდა ვუპასუხო, მაგრამ ვერაფრით გავიხსენე, როგორ იქნება ნამქერი ფრანგულად, არც ლოლუასა და ნაჯახის შესატყვისი არ მაგონდება.

La Polegne? La Polegne?[1] პოლონეთში
Pas du tout![2] – ვპასუხობ ცივად.

---

1 La Polegne – პოლონეთი

2 Pas du tout – სრულებით არა

სიცოცხლე დაუყოვნებლივ

სიცოცხლე დაუყოვნებლივ!
სპექტაკლი ურეპეტიციოდ!
სხეული მიუზომებლად!
თავგანწირვა წინდაუხედავად!

უცნობი როლი, მე რომ ვთამაშობ,
მხოლოდ ვიცი, რომ ის ჩემია
და როლის შეცვლა
აღარავის არ შეუძლია.

ალბათ სცენაზე უნდა მივხვდე
ხელოვნების დანიშნულებას.

ო, რა ცუდად ვარ მომზადებული,
რათა ღირსება დავიცვა ჩემი,
რათა გავუძლო თავსმოხვეულ შტამპს.
თუმც მეზიზღება,
მაინც ვცდილობ გარდასახვას,
თუმც მყისიერად ვლინდება ჩემი უვიცობა,
ახალ საგნებს როცა ვაწყდები
და ჩემს უსუსურ პროვინციალიზმს –
თურმე ჩემივე არსებობა ააშკარავებს.

ჩემი არსებობა დილეტანტობას ნიშნავს.
მარიგებენ:
მღელვარება წარმოდგენაზე გამოსვლის წინ
უფრო ამცირებს ადამიანს,
მე კი სიმშვიდეს
და გარემოს დამამშვიდებელს
ასე მტარვჯველად რატომ განვიცდი?!

მაგრამ ვერ შევცვლი
ვერც ერთ სიტყვას,
ვერც მოძრაობას,
თუმც ხასიათი
ჰგავს ვარსკვლავების უსასრულობას
და სირბილისას შეკრულ ლაბადას...

აი, სიჩქარის ფუჭი შედეგი.

ოთხშაბათს ცოტა რომ მევარჯიშა
ანდა ხუთშაბათს ხელმეორედ გადამეხედა
ჩემი როლისთვის?!
არა და, უკვე
პარასკევი კარს მომდგომია
შეუსწავლელი სცენარით ხელში.

ვეკითხები თავს:
ნუთუ, ღმერთო, სწორად ვიქცევი?!
(ხმა ჩამხრენწია,
არ მაცალეს კულისებში ჩახველება).

ცდებით,
ვისაც გეჩვენებათ, რომ ყოველივე
მხოლოდ ზერელე გამოცდა იყო
სახელდახელოდ შენობაში ჩატარებული.
არა.
მე ვდგავარ დეკორაციებს შორის
და ვხედავ:
უცნაური სიდარბაისლე
გამეფდა ირგვლივ.

გულს მიკლავს ყველა დეკაორაციის
სიზუსტე და შეუმცდარობა.
და ბრუნავს სცენა,
ერთი წუთია ბრუნავს და ბრუნავს.
აქ ვერცერთ კუნჭულს
ვერ იხილავთ გაუნათებელს
და მეღამია მწერი რაღაცას
ჩამწუის ყურში.

არ მეეჭვება,
ეს ხომ უკვე პრემიერაა
და თუ რაიმე შევქმენი დღემდე –
დაუფიქრებლად გადავცვლიდი ყოველივეს
დღევანდელ დღეზე.

მეხსიერება ბოლოს და ბოლოს

მეხსიერებამ
ბოლოს და ბოლოს ჰპოვა იგი,
რასაც ეძებდა.
მიპოვნა დედამ, მიხილა მამამ.
ჩემი ოცნებით შექმნილ მაგიდას
კვლავ შემოუსხდნენ,
კვლავ ჩემთან იყვნენ
და ცოცხლობდნენ ჩემთვის მარტოდენ.
სიბნელეში კი ორი სახე –
ორი ნათურა,
როგორც რემბრანდტის პორტრეტები
ისე ბრწყინავდა.

ხომ შემიძლია,
ახლა მაინც გიამბოთ ყველას
რამდენ სიზმარში,
რაგვარ ბრბოში ეხეტებოდნენ.
რამდენჯერ ვიხსენ სიკვდილისაგან
სულთამობრძავი, განწირულები.
თავმოკვეთილებს თავი ირიბად ამოსდიოდათ,
ყოველდღიური უაზრობა აიძულებდათ,
შენილბულებს ამგვარად ევლოთ.

მერე რა ვუყოთ,
თუ ჩემს გულში გამოვლილი მათი ტკივილი
მათ სრულებითაც არ სტკიოდათ,
არ აწუხებდათ.

დასიზმრებულ ბრბოს ესმოდა,
როგორ ვუხმობდი დედას

იმ რაღაცისკენ,
ტოტებზე რომ წრიპინით ხტოდა.
მამას თმაზე ბაბთი ეკეთა
და ბრბო სიცილით იგუდებოდა.
მე ვილვიძებდი დარცხვენილი.
და როგორც იქნა,
ერთ ჩვეულებრივ ხუთშაბათს და შაბათს შორის
ჩვეულებრივი რომ ჩაწვა ღამე,
სწორედ ისეთნი გამომეცხადნენ,
როგორიც მსურდა.

კარგად ვიცოდი, მესიზმრებოდნენ,
მაგრამ სიზმარზე უფრო ცხადად
ვხედავდი თითქოს.

მხოლოდ სურათით შუაგულში
სხვა სურვილები ჩამქრალიყვნენ,
შემთხვევითობას
საბოლოო ფორმა აკლდა მარტოოდენ.

მხოლოდ მშობლები ბრწყინავდნენ ერთად,
რადგან ისინი ერთმანეთს ჰგავდნენ.
დიდხანს ვუმზერდი და ვივსებოდი
მათი უსაზღვრო ბედნიერებით.

გამოვილვიძე
და ვიხილე კედელზე შუქი,
როგორც ჩონჩხი ჩუქურთმიანი.

ბაბილონის გოდოლი

ნეტავ რომელი საათია? *დიახ, უსაზღვროდ*
ბედნიერი ვარ
და მარტოოდენ ზანზალაკი ყელს არ მიმშვენებს,
შენს სიზმრებში, რომ ეწკრიალა.
ნუთუ გრგვინვა ვერ გაიგონე? როცა ქარი კედლებს
მოაწყდა
ჩვენმა გოდოლმა თითქოს ლომივით დაამთქნარა
ანჯამებზე დაკიდებულ ვეება კარით. *უნცაურია,*
აღარ გახსოვს?
ჩვეულებრივი კაბა გეცვა მონაცრისფერო,
ნაოჭები ამშვენებდა კაბას მხრებთან. მყისვე განიხვნა
ნაირფერად კარი ზეცისა. როგორ გავბედე
შენთან შემოსვლა,
შენ ხომ მარტო არ იყავი. მე დავინახე ანაზდეულად
უხილავი ფერები ცაში. *სამწუხაროა,*
არ შეგიძლია, პირობა მომცე. შენ მართალი ხარ,
იქნებ მართლა სიზმარი იყო. რატომ მატყუებ,
რად მეძახი იმ ქალის სახელს,
ნუთუ კვლავ გიყვარს? როგორ მინდოდა,
იგი ჩემთან დარჩენილიყო. *აღარას ვნანობ,*
თავიდანვე უნდა მცოდნოდა.
ისევ ის კაცი გახსენდება? მე არ ვქვითინებ.
სხვა არაფერი? — *თუმცა შენსავით მაინც არავის...*
მადლობელი ვარ აღსარებისთვის. *მშვიდად იყავი,*
მე ამ ქალაქს მივატოვებ. მშვიდად იყავი.
მეც წავალ, წავალ; *რა მშვენიერი ხელები გაქვს.*
ეს წინათ მოხდა, როცა მაძგერეს მახვილი,
ძვლებზე არც შემხებია. *ო, არაფრის,*
ჩემო ძვირფასო. არ ვიცი, არა
და აღარც მინდა, რომ ვიცოდე,
რომელი საათია.

საკუთარ თავზე ცუდი შეხედულების შექება

საკუთარ თავზე სასაყვედურო
რა აქვს კაკაჩას?!
შავი პანტერაა
სხვისი სვინდისის ქენჯნა.
ცხოველებს არ აეჭვებთ
საკუთარი მოქმედების სისწორე.
თავს უყოყმანოდ მოიწონებს
ჭრელი მცურავი.
ამ ქვეყანაზე არ არსებობს თურმე
ტურა თვითკრიტიკოსი.
კალია, ბორა,
თრითინა და ალიგატორი
ისე ცხოვრობენ
თურმე, როგორც მოესურვებათ,
კმაყოფილებიც არიან მარად.
ზვიგენის გული
ას კილოგრამს იწონის თურმე,
მაგრამ სხვაგვარად ის მსუბუქია.
რა უნდა იყოს
ქვეყნად უფრო დიდი სიმხეცე,
სუფთა სვინდისი
მზის მესამე პლანეტაზე რომ აღმოჩნდება.

* * *

ახლო ვარ მასთან,
ისე ახლო ვარ,
რომ არასოდეს დავესიზმრები.
მის ოცნებაში არ დავფრენ და
არც ფესვებთან არ ვემალები.
ახლო ვარ მასთან
და ბადეში გაბმული თევზი
უკვე ჩემი ხმით აღარ მღერის,
ხმასაც არ იღებს.

თითზე შემზრდია მძიმე ბეჭედი.
მეტისმეტად ახლო ვარ მასთან.
სახლი რომ იწვის
ის უჩემოდ მოუხმობს მშველელს.
ისე ახლო ვარ,
რომ ჩემს თმაში
გუგუნებს ზარი.

ისე ახლო ვარ,
რომ სტუმარივით შევდივარ მასთან,
რომლის წინაშეც
კედლებიც მყისვე გაიხსნებიან.

ასე იოლად
მეორეჯერ აღარ მოვკვდები,
აღარ დავრჩები სხეულის მილმა
შეუცნობელ სივრცის იმედად
როგორც ოდესღაც,
მის სიზმარში აღარ დავრჩები.

ახლო ვარ მასთან,
მეტისმეტად ახლო ვარ, ახლო,
გაქვავებული ვთვლემ მის მკლავებში,
მესმის შიშინი
და მობრჭყვიალე
სიტყვების ქერცლს მივჩერებივარ.
ამ წუთას იგი
ჩემზე მეტად ეკუთვნის ალბათ
მის ცხოვრებაში
ერთხელ ნანახ ცირკის მოლარეს –
ლომების პატრონს –
რადგან მე მას გვერდით ვუწევარ.
იზრდება მასში
იმ მოლარე გოგონასათვის
მეწამული მინდვრის სივრცე, –
დათოვლილ მთებით შემოზღუდული
და ლაჟვარდოვან ზეცის ლივლივი.

ისე ახლო ვარ,
ზეციდან ვერ მოვევლინები
და თუ ვიკივლებ,
დაკივლება მარტოოდენ გამოაღვიძებს.
მე ვარ საბრალო
და საკუთარი სხეულით ვარ შემოგარსული.

თუმცა, ოდესღაც
არყის ხე ვიყავ –
ან სულაც ხვლიკი,
გამოვდიოდი დროიდან და
ატლასებიდან
და კანის ფერს ვიცვლიდი მხოლოდ.

თუმც ხომ შემეძლო
მის გაოცებულ თვალებში რომ
გავმქრალიყავი.
ო, რა უსაზღვრო ბედნიერებას
მოვიპოვებდი.

ძლიერ ახლო ვარ,
ისე ახლო,
რომ არასოდეს დავესიზმრები.
მძინარე ფრთხილად გამოვუცურებ
ხელს თავქვეშიდან,
ხელს გახევებულს,
თმის სარჭებისაგან
ნვრილად დაჩხვლეტილს.

ყოველ ნაჩხვლეტზე
მოცელილი ანგელოზები ეფინებიან.

მეგობრებს

დედამიწაზე ვარსკვლავებამდე
თვალუწვდენელი მოჩანს მანძილი,
ჩვენ ერთმანეთი იქ გავიცანით,
ხოლო მიწაზე სწრაფად დავცილდით.

დაუსაბამო სივრცეა თითქოს
სიბრალულიდან ალალ ცრემლამდი,
სიმართლისაკენ გზად მიმავალი
ჩვენ სიყმაწვილეს ნებით ვცელავდით.

რეაქტიული თვითმფრინავები...
მწამს, მდუმარების ცივი ნაპრალი
აფრენასა და იმ გუგუნს შორის
სასაცილოა და დამზაფრავიც.

დაგვიანებულ ხმას მოუსმინე –
(კი, უფრო სწრაფად ფრენდნენ ოდესღაც.)
ჩვენ ძილქუშიდან ხშირად გვაბრუნებს
ხმა, წლების შემდეგ რომ შემოგვესმა.

რა დავაშავეთ? ჩვენ მართლები ვართ!
გაოგნებული ისმის ძახილი,
ვისი ხმებია ფანჯრებს რომ გვინგრევს,
სად იყო ცაში გადანახული?!

ხმა მიყუჩდება, წყდება უმალვე
და ვარსკვლავები ლურჯი კაშკაშით
მოცვივა, როგორც აფეთქებისას
სახლის ჭერიდან ძველი ბათქაში.

* * *

ისე მარტონი იყვნენ ხშირად,
ისე მარტონი,
ისე უსიტყვოდ, ისე უბრად,
უსიყვარულოდ, რომ ღირსნი იყვნენ
სასწაულის, მკაცრი ვაების,
მეხის დაცემის ან გაქვავების.
რა ბედენაა სიმარტოვეში დანთქმულ წყვილისთვის
ბერძნული მითოლოგიის ორი მილიონი ტირაჟი,
ყოველივე ხომ ამაოა
და გზა ხსნისა შორით მოჩანს, როგორც მირაჟი.

ღია კარებში ვინმეს მაინც შემოეხედა,
თუნდ ერთი წუთით, ერთი წამით და გამქრალიყო,
ყოველი მხრიდან, არსაიდან შემოეხედა,
სულერთი იყო ვინ იქნებოდა,
ღიმილისა თუ შიშის მიმგვრელი
ანდა საიდან შემოეხეტა;

რა უნდა მოხდეს, არაფერი. კვლავ სიმარტოვე,
ჩამქრალი რწმენა – განშორების მსუსხავი გამა,
და ოჯახური ჩვეული დრამა.
რაა სხვათათვის?! –
ყოველდღიური ერთფეროვნება და სიმარტოვე.
დგანან სარკესთან,
პირისპირ დგანან
და მწუხარების ფონად მოჩანს თეთრი კედელი;
უერთმანეთოდ, თითქოს ერთად სარკესთან დგანან,
ხოლო სარკეში სევდა მოჩანს გამოკვეთილი.

სხვა არაფერი, გარდა წყვილი ანარეკლისა,
ფხიზლობს ქვეყანა ნივთიერთა
და უხილავი ყოვლის მხილველი –
იგია ყველგან, ყველაფერში, მარად პირველი
და ისე ზრუნავს ხალხის სვე-ბედზე,
რომ ეჩვენება, თითქოს ოთახში შემოვარდება
ფეხმარდი შველი გასაკვირველი
და მთელ სამყაროს შემოიყოლებს.

ვაშლის ხე

მაისია, სამოთხეა,
სიო რტოებს არხევს,
თრთის ვაშლის ხე,
სურნელოვან ყვავილებში გამხვევს.

დგას ვაშლის ხე, არ დაგიდევს
კეთილსა და ბოროტს,
მოვარდისფრო ყვავილებით
ეცინება მხოლოდ.

არავისი არ არის და
არც იქნება სხვისი,
თრთის ნაყოფის მომლოდინე
წინათგრძნობის ნისლით.

არ აფიქრებს, სად იზრდება,
რიცხვი, თვე და წელი,
არც საითკენ ისწრაფვის და
არც არავის ელის.

მუდამ სიუცხოვესა და
სიახლოვეს ავლენს,
არც არაფერს მანუგეშებს,
არც არაფერს მავნებს.

და თრთის მოთიმნებისაგან
თითქოს ფოთოლ-ფოთოლ,
გულგრილობა მოსდებია
მის ყვავილებს თოთოს.

სიზმარივით ბუნდოვანო,
მონატრებავ მწველო,
ძილ-ღვიძილში ჟრუანტელი
მინდა გავიგრძელო.

მსურს, ცოტა ხანს შენთან დავრჩე,
ფიქრს გავშორდე მსუსხავს,
ვინძლო, სახლში დაბრუნება
უნდა მხოლოდ ტუსაღს.

წერის სიხარული

ქაღალდზე დაწერილი სიტყვა „შველი“
რატომ გამირბის
ქაღალდზე დაწერილ სიტყვა – „ტყეში“?
იგი გამირბის
ქაღალდზე დაწერილი სიტყვის –
„წყლის“ დასალევად.
წყალში მისი დრუნჩის
ზუსტი ასლი ირეკლება.

ყური რად დაცქვიტა,
ხომ არაფერი შემოესმა?
იგი დგას
სინამდვილისგან ნასესხებ ოთხ ფეხზე,
დგას ჩემს თითებქვეშ
ყურდაცქვეტილი.
„სიწყნარეა“, –
ფურცელზე ეს სიტყვაც კი შრიალებს
და სიტყვა „ტყეც“
ამოძრავებს დაბურულ ტოტებს.

ჩასაფრებულან თეთრ ფურცელზე გადასახტომად
ასოები ნაირ-ნაირი,
რომლებიც შეიძლება ცუდად დაჯგუფდნენ,
შემოჯარდნენ წინანდებურად,
რომელთა შინაარსმა
შეიძლება მიაღწიოს ამაოების ზღვარს.

მელნის წვეთებში ჩასაფრებულან
თვალმოჭუტული მონადირენი,

ისინი მზად არიან
ციცაბო კალმის წვერიდან ჩამოცოცდნენ,
გზა შეუკრან საბრალო შველს
და ესროლონ დაუნანებლად.
მათ ავიწყდებათ,
რომ ქაღალდზე ნამდვილი სიცოცხლე
არ სუფევს,
რომ აქ წერის კანონები
მართავენ ყველაფერს.

დავაქუცმაცებ დროს
უმცირეს მარადისობებად
და გასროლილ ტყვიას
შევაჩერებ ჰაერში.

თუ მოვისურვე,
არაფერიც არ მოხდება,
ფოთოლიც არ გაიშრიალებს,
ბალახის ღერიც არ შეირხევა.

არსებობს კი მსგავსი ქვეყანა,
სადაც ბედი
თავის ნებაზე მართავს ყველაფერს?!
სად დროის ჯაჭვით
აბამენ ნიშნებს
და სინამდვილე მარადისია, თუ მოვისურვე?!
წერის სიხარული.
განმტკიცების შესაძლებლობა.
შურისძიება –
ხელის სწრაფი მოძრაობით გამოხატული.

მოფრენა

ამ გაზაფხულზე ფრინველები
კვლავინდებურად ადრე მოფრინდნენ.
რაღა გახარებს?..
ალღოც არაა შეუმცდარი,
იგი მოტყუვდა.
გაუშტერდებათ ერთხანს თვალი
საბრალო ჩიტებს
და მერე თოვლზე ეცემიან,
იხოცებიან ტყუილუბრალოდ.

ლამაზი ხორხის და კლანჭების,
საქმიან გულის
და ნაწლავების ლაბირინთების,
ნეკნების გემის
და ხერხემლის შესანიშნავი
ანფილადის მიუხედავად,
სამუზეუმოდ ვარგისი ფრთების,
მიუთმენელი ნისკარტების მიუხედავად
იხოცებიან,
იხოცებიან ტყუილუბრალოდ.

არ გეგონოთ, რომ ვგოდებდე.
მე აღვშფოთდი,
რადგან დავრწმუნდი,
რომ ანგელოზიც შექმნილია
კვერცხის ცილისგან.

სიმღერ-სიმღერით მიიწევს ცაში
ქათქათა ფრანი,
ხელიდან ხელში ისე გადადის,

თითქოს აერთებს ადამიანებს
ერთ მთლიანობად
და ისე იცვლის დროს და ადგილს,
ვით პერსონაჟი
კლასიკური ნაწარმოების.

მერე ეცემა,
ფრთების ფათქუნით და შხუილით
ქვასთან ვარდება
და არქაული უბრალოებით
ისევ შეჰყურებს მთელს ცხოვრებას,
ვით მთლიანობას –
აწ უარყოფილს.

ალბომი

სიყვარულისთვის არ მოიკლავს თავს ალარავინ,
რაც იყო, იყო, გამქრალია ის დიდი მითი.
რომეოს ჭლექი? ჯულიეტა? რის დიფტირიტი?
გელით სიბერე უდრტვინველი, გაუბზარავი.

არავითარი თავგანწირვა და დარდი შენზე,
ცრემლით დანამულ წერილებში პასუხი მკვეთრი,
ბოლოს ყოველთვის მოელიან მეზობელს კეთილს –
ხელში ყვავილი რომ უჭირავს და შვენის პენსნე.

ვინ შემალულა სიბნელეში ძველი კარადის,
როცა ოჯახში მიუსწრებდა საყვარელს ქმარი,
რისი ფანჯარა, რა ფანჯარა, არსებობს კარი...
ძველ სურათებზე წმინდანებად დარჩნენ მარადის.

სულში ერთხელაც არ გამკრთალა ბოსხი – წყეული,
სიყვარულისთვის არ მოუკლავთ თავი არასდროს,
კვდებოდნენ, მაგრამ სხვა მიზეზით, უნდა გაგანდოთ,
–
ბრძოლის ველზე და საკაცეზე კვდომას ჩვეულნი.

ლამაზკულულა ექსტაზურ ქალს, ნატანჯს სიმწრითა,
იხსენებ, ფიქრობ, უცაბედად როგორ გაფითრდა,
იგი გაჰყვა სისხლის დენას, ისე გაფრინდა,
სინანულისგან, დარდისაგან გამოიწრიტა.

სიყვარულისთვის მოკვდა ალბათ დაგეროტიპი,
მაგრამ მათგან, ვინც ალბომშია, ვფიქრობ, არც ერთი,
იცხოვრეს დიდხანს, ერთფეროვან ყოფით გაცვეთილთ
ჰკლავდათ დღეების უაზრობა, ხოცავდათ გრიპი.

სარჩევი

მთარგმნელისაგან 3

ათანას ფეტი

* * * (გამოვერიდეთ ბრბოს და სინათლეს...) 9

* * * (აღარ მოვუხმობ ჩავლილ სიხარულს...) 10

* * * (როგორ მოხვედი, ვერცხლისფერო ღამეო...) 11

* * * (ფარავდა წყაროს თხელი ყინული...) 12

ალვა 13

* * * (ბურუსში გაქრა ხეივნის ბოლო...) 14

არ შეიძლება 15

* * * (ოდეს ოცნება უსაზღვრო და მიუტეველი...) 16

* * * (მოგესალმები, ისევ მიყვარხარ...) 17

* * * (რა თავისუფლად ვსუნთქავ ღამით...) 18

* * * (ყოველი განცდა ღამით უფრო გასაგებია...) 19

* * * (გულო, ჩემო პატარავ...) 20

* * * (ნისლი დაეცა ველებს შორეულს...) 22

ავადმყოფი 23

* * * (ნუ მეკითხები, რაზე ვფიქრობ...) 24

* * * (დრო რაც უფრო გვაშორებს...) 25

* * * (გუშინ ტყე თრთოდა უკანასკნელი...) 26

* * * (ჩამოშალა აკაციამ...) 27

* * * (ნაძვმა ტოტით წამიშალა გზა-კვალი...) 28

* * * (მთვარის შუქი ილვრება...) 29

Romanzero 30

* * * (ცა, ტოტებიდან ჩამოჟონილი...) 32

* * * (ოდეს ვუცქერდი ვარსკვლავთა ციაგს...) 33

ზმანება 34

პირველი შროშანი 35
მაისის ღამე.....36
ციური ქალაქი.....37
ბუხართან.....38
სერენადა.....39
* * * (მთვარე ანათებს ციურ უდაბნოს...).....40
* * * (სამხრეთის ღამე, ბულული თივის...) 41
* * * (მხიარულებას მოწყურებული...).....42
* * * (მომიახლოვდი... ო, ვნება ღვივის...) 43
Nocturno 44
* * * (შორს თოვლიანი ჩანან ქედები...) 45
ახალგაზრდა მუხა 46
* * * (შორს მივდივარ – შორი გზითა...) 47
* * * (დამნაშავეა ჩემ წინაშე ხალხი? – ო, არა...) 48
წყარო.....49
* * * (ბრწყინავდა ღამე მთვარის სხივებით...) 50
* * * (ასე დავშორდით, შორს ეხეტები...).....51
ვარსკვლავთა შორის 52
* * * (როს გაზაფხულზე წიალი მიწის...) 53
* * * (თბილი ქარი უბერავს...).....54
მთის ხეობა 55
ბაღში 56
მოწყენილობა 57
მატარებელში 58
* * * (მე ავადა ვარ, ოფელია, მზერა მეღლება...) 60
ნავზე.....61
ექო.....62
* * * (თითქოს ცხოვრება უკვალოდ გაქრა...) 63

სოფელი....64
* * * (ო, რა ღამეა...)....66
* * * (ჩუ... სძინავს ქალაქს, ქუჩები დუმან...)....67
* * * (გაზაფხულია, ხმა იდუმალი...)....68
* * * (გავიდეთ ბაღში, მეგობარო...)....69
ბებერი ბაღი....70
ისევ მაისის დღე....72
* * * (ო, კიდევ დიდხანს იციმციმებს...)....73
* * * (როგორ მომბეზრდა ეს ლაყბობა...)....74
* * * (წვიმს, მიხარია...)....75
* * * (სული – კუნაპეტ ღამის მნახველი...)....76
* * * (გესმის თუ არა ფრინველთა ხმობა?)....77
* * * (ო, როგორ მიყვარს სიბნელეში სარკმელთან...) 78
მწვერვალი....79
* * * (მთვლემარე ტბასთან, ლერწმიანში აფრინდა...) 80
* * * (გადაიზარდა ჩრდილებში ჩრდილი...)....81
ა. ლ. ბრჟესკაიას....82
ა. ლ. ბრჟესკაიას....83
Alter ego....84
გაზაფხული სამხრეთში....85
* * * (მივემგზავრები, სიჩუმეს ერთვის...)....86

ვლადიმირ სოლოვიოვი

პრომეთეს....91
ალპებში....92
* * * (საბედისწერო დასასრული სიყვარულისა...)....93
* * * (ყარიბო მგზავრო, ჩამოვსხდეთ ერთად...)....94
* * * (გავიდა წელი, დაგტოვე დღეთა...)....95

* * * (მოჩანს სასახლე დარბაზოვანი...) 96
* * * (ეს სიცოცხლე თამაშია ლანდების...).....98
* * * (მშვენიერება ზეციური ზღვაში ინათებს...) 99
* * * (იქ, სიშორეში, გიხსენებ ჯერაც...) 100
* * * (თუმცა ჯაჭვებით უხილავით, მარადიულით...) 102
* * * (უცხო ქვეყანა, მეტად უცხო მოჩანს ხედები...) 103
* * * (თვალი შეავლე, რა ვრცელია...) 104
ნაწყვეტი 105
* * * (მიდიხარ, გული დარდით ავსილი...).....106
* * * (უცხო ქარიშხლის სულში შობილნი...).....107
* * * (უფრთებო სული მიწის ტყვეა...).....108
ა.ა. ფეტს, 19 ოქტომბერი, 1884 წ.....109
* * * (მოჩვენებათა კრებულებით დაუსაბამოდ...) 110
* * * (მე ვიყავ მაღლა, ქვევით კი ჩანდა...) 111
მოგილოცავ ახალ წელს 112
* * * (თუ სურვილები გაგვირბიან, როგორც...) 113
პანმონგოლიზმი 114
* * * (მე შეგიყვარე, შეგიყვარე, ო, უნაზესო...) 116
შობის ღამე.....117
წასულებს 118
სიყმაწვილის მეგობარი.....119
* * * (იყო მოხუცი სნეული დარდით...).....120
* * * (ისევ ამღერდა გული ბებრულად...) 121
* * * (რა დაგემართა...).....122
* * * (არ მსურს სიცოცხლე უამური და...).....123
უბრალო წინასწარმეტყველება.....124
* * * (რასაც ჩვენ ვუმზერთ და მივაკვლიეთ...).....125
* * * (ზურმუხტისფერ თვალებს ვუმზერ შენსას...) .126

* * * (დღე მიიწურა, ამაოთა გაქრა იერი...) 127
* * * (ამაო სიტყვა, გრძნობა – სტუმარი...) 128
* * * (ო, მგობარო, არ მჯერა შენი...) 129

ანდრეი ბელი

ა.ა. ბლოკს 137
მე 138
ბედისწერა 140
ჩხუბი 141
შემოდგომა 144
ღამე და დილა 145
ზამთარი 146
პოეტი 148
გაქცევა 149
გზა 150
განდევნილი 151
მშვიდი დასვენება 152
ველად 153
ცხოვრება 154
ვლადიმირ სოლოვიოვი 155
ჩრდილოეთის მარში 156
შემოდგომა 157
მოგონება 158
არ მეშინია 160
მიტოვებული სახლი 162
მინდვრად 164
სერენადა 166
ქუჩაში 168

ვლ. სოლოვიოვის მიბაძვით 169
უიმედობა 170
ლიანდაგებზე 171

ალექსანდრ ბლოკი

* * * (მე ბნელ ტაძარში შევდივარ კრძალვით...) 177
* * * (ჩუმად გადიან დღეები, წლები...) 178
* * * (იხუვლებს ქარი მიუსაფარი...) 180
* * * (ისევ მაშინებს შენთან შეხვედრა...) 181
* * * (სამწირველოში თუმც დროებით ვარ...) 182
* * * (შენ ბევრს ცხოვრობდი, მე კი ვმღეროდი...) ... 183
რა საჭიროა 184
* * * (რა გაგვაჩნია წამების გარდა?!) 185
* * * (ჩვენ დაგვესიზმრა ცა ღრუბლიანი...) 186
* * * (საღამოს სხივი ციმციმებს შორით...) 187
* * * (თითქოს ვარსებობთ, მივდივართ, ლამის...) ... 188
* * * (გესმის? სოლვეიგ! ო, სოლვეიგ!) 189
* * * (ღამეული, გაფოფრილი ნისლი...) 190
განკითხვის ჟამი 192
* * * (ამა ცხოვრების ავანჩავანი...) 194
* * * (მივალ, უდაბნო მზით ავსებულა...) 195
ქალი 196
* * * (კვლავ მიმეორებ, რომ ვარ ცივი...) 198
* * * (აშრიალდნენ შეღამების ჩრდილები...) 200
* * * (შენ არასოდეს არ იქნები ჩემი ან სხვისი...) 201
* * * (ცას თოვლის ბინდი ერთვის...) 202
* * * (გარდავიცვლებით და დაგვმარხავენ...) 204
* * * (განთიადზე არ ჩანს გზები...) 205

* * * (ვიცი, საბრალოვ, რომ მძიმე ტვირთის...) 206
* * * (როცა ღამეა ბნელი, უმთვარო...) 207
* * * (ისევ მოვედი, ისევ ბინდია...) 208
* * * (თოვლიან ბინდში შავი ყორანი...) 209
* * * (ისევ მკრთალია სხივთა თამაში...) 210
* * * (დღე მოვა, როგორც წამი მოლხენის...) 211
* * * (იყო საღამო შემოდგომის და წვიმდა ისევ...) .. 212
* * * (შენი სახელი ვიცი მაცდური...) 213
* * * (კვლავ აფთიაქი, ქუჩა, ფანარი...) 214
* * * (მე ვუერთდები ჩრდილებს საშინელს...) 215
* * * (რა უცნაური სანახავია...) 216
მეორე ნათლობა 217
* * * (ლოდინში გადის ჟამი მშიშარა...) 218
* * * (იგი მოვიდა და მოინდომა...) 220
* * * (ცისფერთვალა უფალს გაუჩენია...) 221
* * * (შენ, მოჩურჩულე სიტყვით შობილო...) 222
* * * (თეთრი ხარ, როგორც თოვლი პირველი...) 223
მუზას 224
* * * (კვლავ სიჭაბუკე თავისებური...) 226
* * * (დღე მიილია, ქრება ნათელი...) 227
* * * (ბრუნავს ქვეყანა, წლები გადიან...) 228
* * * (ომის ხანძარი გრძელდება ისევ...) 229
* * * (შენს წმინდანობას...) 230
* * * (როგორც სურვილი, იზრდება სახლი...) 231
* * * (წახვედი, მაგრამ სუმბულებს გაშლილს...) 232
დემონი 234
კუნძულზე 236
* * * (ქრება, ინთება და მიმზიდველი...) 238

* * * (ჩემი ფიქრები...) 239
* * * (შენ მიიმალე, მიწა შეიძრა...) 240
* * * (ისე მეცნობა შენი ხატება...) 241
* * * (მე ბებერ მიწას მივაყურადე...) 242
* * * (რა საამოა ქარიან ღამით...) 243
* * * (ღამით ჩასახულს, ღამით გაჩენილს...) 244
ბოდვა 246
ნება შემოდგომისა 248
თოვლის ქალწული 250
შემოდგომის სიყვარული 252
შემოდგომის დღე 253
როკვანი შემოდგომისა 254
სარკმელი ეზოში 256
* * * (ის აღარაფერს აღარ ელოდა...) 257
* * * (დაცლილი ქუჩა...) 258
ისინი კითხულობენ ლექსებს 259
* * * (თეთრ ღამეებთან დავრჩები მალე...) 260

რაინერ მარია რილკე

შესავალი 265
გოგონებზე 266
სიგიჟე 268
მუსიკა 269
ადამიანები ღამით 270
მეზობელი 271
მარტოსული 272
მოგონება 273
ხარება 274

სერიოზული წუთი 276
ხ მ ე ბ ი 277
მათხოვრის სიმღერა 278
ბრმის სიმღერა 279
ლოთის სიმღერა 280
თვითმკვლელის სიმღერა 281
ქვრივის სიმღერა 282
იდიოტის სიმღერა 283
ობლის სიმღერა 284
ჯუჯის სიმღერა 285
კეთროვნის სიმღერა 286
მჭვრეტელი 287
დაბრმავებული ქალი 289
კრებულიდან მარიამის ცხოვრება
მწყემსთა ხარება 290

გეორგ ჰაიმი

ოფელია 297
ქალაქთა შერისხვა 299
ქალაქის ღმერთი 300

ტუდორ არგეზი

სიმღერა 305
დაბრუნება 306
სიუხვე 307
ფსალმუნი 308
გარდასახვა 309
ფსალმუნი 310

სიმღერა დუდუკზე 312
სიმღერა დუდუკზე 314
Morgenstimmyng..... 316
ფსალმუნი 318
გემუდარები, გამიღე კარი..... 320
ფსალმუნი 323
არქეოლოგია 324
დაკარგული ფურცლები 325
ფანქრით ჩანახატი 326
ტინკა..... 328
* * * (რაზე ვიდარდო?!) 330
მონასტერი 332
სოფელი..... 333
დღე-ღამის ზღვართან 334

ვისლავა შიმბორსკა

იგავი 339
ჩრდილი..... 340
დაკარგულ საგანთა ბიუროში ნათქვამი 341
ქვასთან საუბარი..... 342
ფილმი – სამოციანი წლები 345
ატლანტიდა 348
ძალიან სასაცილო 350
სიტყვა..... 352
სიცოცხლე დაუყოვნებლივ 353
მეხსიერება ბოლოს და ბოლოს 356
ბაბილონის გოდოლი 358
საკუთარ თავზე ცუდი შეხედულების შექება..... 359

* * * (ახლო ვარ მასთან...) 360
მეგობრებს 363
* * * (ისე მარტონი იყვნენ ხშირად...) 364
ვაშლის ხე 366
წერის სიხარული 368
მოფრენა 370
ალბომი 372